



ՏԵԽՆՈԼՈԳԻԱ

ARCHEION

XXIII-XXIV



*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა
და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება –
საარქივო სამმართველო*

*Sub-department of Ministry of Education, Culture and Sport of Ajara
Autonomous Republic – Archives Administration*

ISSN 2233-3541

ა რ ჩ ე ი ო ნ ი
A R C H E I O N
XXIII-XXIV

თბილისი 2022 Tbilisi

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე: მაია ივანიშვილი
რედაქტორი: თამაზ ფუტკარაძე

სარედაქციო საბჭო:

თეონა იაშვილი, რამაზ ბოლქვაძე, ბესიკ ბაუჩაძე, ანზორ თხილაიშვილი, ელგუჯა გოგიბერიძე, მაკა ალბაგაჩიევა, ელგუჯა ჩაგანავა, მაია რურუა, ფრიდონ ქარდავა, ნატო ქიქავა, ოთარ გოგოლიშვილი მერაბ კეზევაძე, ჯემალ კარალიძე, ციური ქათამაძე, ირაკლი ბარამიძე, მერაბ მეგრელიშვილი

Maia Ivanishvili – chairman of editorial board

Tamaz Putkaradze – editor

Editorial Board:

Teona Iashvili, Ramaz Bolkvadze, Besik Bauchadze, Anzor Tkhilaishvili, Elguja Gogiberidze, Elguja Chaganava, Makka Albagachieva, Maia Rurua, Fridon Kardava, Nato Kikava, Otari Gogolishvili, Merab Kezevadze, Jemal Karalidze, Tsiuri Katamadze, Irakli Baramidze, Merab Megrelishvili

კრებულში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს სარედაქციო საბჭოს შეხედულებებს.

ავტორების სტილი დაცულია.

Any opinion expressed in the book belongs to the author and may not reflect the view of the editorial board.

Authors' style reserved

აჭარის საარქივო სამმართველო, ტელეფონი: 0422 27 52 10

ვებ გვერდი: <http://adjara.gov.ge/branches/default.aspx?gid=2>

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჯორჯიძის ქ. №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

პანდემიით განპირობებული სირთულეების გამო ვერ ხერხდება XXIII და XXIV ნომრების ცალ-ცალკე გამოქვეყნება. ამიტომ გადავწყვიტეთ ერთ ჟურნალში გავაერთიანოთ ორივე ნომერი. XXIII ნომერში ქვეყნდება სამეცნიერო პუბლიკაციები, ხოლო XXIV ნომერში ვბეჭდავთ თემატიკურად მრავალფეროვან საარქივო დოკუმენტებს.

**სასაზღვრო დავების საკითხი მრუდე სარკეში
სომხეთ-საქართველოს ომი (1918 წ. დაკავშირები)**

აბსტრაქტი. 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ რუსეთის იმპერია დაიშალა. კავკასიის სამი რესპუბლიკა გაერთიანდა ერთიან ამიერკავკასიის ფედერაციულ-დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა მისი არსებობა. მალე ფედერაციული რესპუბლიკა დაიშალა და მის ნანგრევებზე, თითქმის ერთდროულად წარმოიშვა სამი სახელმწიფო. დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოშობისთანავე გაჩნდა საზღვრების გამიჯნვის საჭიროება, მაგრამ დაშნაკური ხელისუფლების უსაფუძვლო ტერიტორიულმა პრეტენზიებმა ქართული მიწების ძალადობრივი მიერთების მცდელობამ განაპირობა კონფლიქტი, რომელიც ისტორიაში სომხეთ-საქართველოს ომის სახელით არის ცნობილი. წინამდებარე ნაშრომის მიზანია ისტორიული წყაროების, სამეცნიერო ლიტერატურული მონაცემების საფუძველზე წარმოაჩინოს სომხეთის ხელისუფლების ტერიტორიული პრეტენზიების უსაფუძვლობა, ამ თემაზე გამოქვეყნებული სომეხი ავტორების ნაშრომების ტენდენციური ხასიათი და ისტორიის მრუდე პრიზმაში წარმოჩენის მცდელობა.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია ობიექტურობის, ყოვლმხრივობის და სისტემურობის უნივერსალური მეცნიერული პრინციპები, ისტორიულ-შედარებითი და ისტორიულ-ტიპოლოგიური მეთოდები.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, სომხეთი, კონფლიქტი, დაშნაკური მთავრობა, ლორე, ტერიტორია, საზღვრების გამიჯნვა, გეოპოლიტიკა.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ რუსეთის იმპერია დაიშალა. კავკასიის სამი რესპუბლიკა გაერთიანდა ერთიან ამიერკავკასიის ფედერაციულ-დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა მისი არსებობა. მალე ფედერაციული რესპუბლიკა დაიშალა და მის ნანგრევებზე, თითქმის ერთდროულად წარმოიშვა სამი სახელმწიფო.

იმ პერიოდში რუსეთი სერიოზული პრობლემების წინაშე იდგა, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლა ოტომანთა სახელმწიფომ და აქტიურად დაიწყო ბრძოლა კავკასიაში თავისი გეოპოლიტიკური ინტერესების გატარებისათვის. 1918 წ. 4 ივნისს, ოსმალეთმა აიძულა სომხეთ-საქართველო ხელი მოეწერათ ბათუმის კაბალური ხელშეკრულებისათვის. ამ დოკუმენტით სომხეთს უნდა ჩამოტროდა ერევნის, ეჩმიადინის და ახალ ბაიაზეთის ტერიტორიები, ხოლო საქართველოს კი ბათუმის ოლქი, ოღთისის და არტაანის ოკრუგი, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრების დიდი ნაწილი და უნარჩუნდებოდა მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები.

თურქებს მადა თანდათან ემატებოდათ. ბათუმის ხელშეკრულებით განსაზღვრული ტერიტორიების მიუხედავად, მალე მათ თითქოსდა „დროებით“

ლორეს მონაკვეთის გადაცემაც მოითხოვეს. ლორე იყო სტრატეგიული რეგიონი, რომლის მეშვეობითაც თურქებს გზა ეხსნებოდათ აღმოსავლეთით თურქეთის პროტექტორატ აზერბაიჯანისაკენ. ეს გზა უშუალოდ გადიოდა თბილისის გუბერნიის საზღვართან. თურქებს იგი ესაჭიროებოდათ სომხებისაგან უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. საქართველო იძულებული გახდა თურქთა ეს მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა.



ფოტო 1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა

ამდენად, სასაზღვრო – სადემარკაციო მონაკვეთის სამხრეთი ხაზი თურქებმა დაიკავეს. შესაბამისად, 1918 წ. ნოემბერ-დეკემბრამდე სომხეთის ტერიტორიასთან საქართველოს პირდაპირი შეხება არც ჰქონია (ენდრიუ ანდერსენი და გეორგ ეგგე, ნაწ. 1)

1918 წლის 30 ოქტომბერს თურქეთმა პირველ მსოფლიო ომში კაპიტულაცია გამოაცხადა. მუდორის ზავით თურქები უნდა დაბრუნებულიყვნენ რუსეთ-თურქეთის საზღვრის პირველ მსოფლიო ომამდე არსებულ პოზიციებამდე. შეთანხმების მიუხედავად, ოსმალებმა ლორეს უბნის სამხრეთი ნაწილი გადასცეს არა ქართველებს, არამედ სომხებს.

თურქების გასვლით ისარგებლეს სომხებმა და იმავე დღიდან, 18 ოქტომბრიდან დაიწყო საუკუნოვანი ოცნების და დაშნაკური ხელისუფლების უმთავრესი მიზნის – „დიდი სომხეთის“ გეგმის რეალიზაციისათვის ბრძოლა. სომხები შეიჭრნენ საქართველოს ისტორიულ რეგიონში და დაიკავეს გერმანულ-ქართული სასაზღვრო შენაერთის მიერ კონტროლირებადი ქობერის გასაყარი.

სომხებს ქართულ მიწებზე თვალი ოდითგანვე ეჭირათ. ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში, 1650-ნი წლებიდან მოყოლებული საზღვარგარეთ მცხოვრებმა ხითარისტებმა საერთოდ უარყეს საქართველოს არსებობა და რომის პაპის წინაშე განაცხადეს, რომ „კონგრეგაციის“ მიერ საქართველოდ მიჩნეული ადგილები საქართველო კი არა, სომხეთიაო. ეს აზრი უარყო პიეტრო დელა ვალემ (ი. ახუაშვილი, 1994:129).

1760-იანი წლებიდან სომხებმა გააქტიურეს ფარული საქმიანობა დიდი სომხეთის იდეის რეალიზაციისათვის. სომეხთა კათოლიკოსი სიმეონ ერევანცი აქტიურად ცდილობდა არსუეთის გამოყენებას ამიერკავკასიაში სომხური სახელმწიფოს აღდგენისათვის – ქართული მიწებისა და სუვერენიტეტის ხარჯზე. ამ საქმეში მათ ფინანსურად ძლიერი სომხური დიასპორები უჭერდნენ მხარს.



ფოტო 2. თურქეთის, საქართველოსა და გერმანიის პოსტების განლაგება საღმარეკაციო ხაზის გასწვრივ

სომეხთა შორსგამიზნული გეგმის ნაწილი იყო ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებაში მათი ირიბი მონაწილეობა. ფარული გზებით, მათ ყველაფერი გააკეთეს ქართლ-კახეთის სამეფოს დასუსტება-დაცემისათვის. სომეხთა კათოლიკოსი იოსებ არღუთინსკი პეტერბურგში ყოფნისას იქაურ სომხებს იყენებდა საქართველოს წინააღმდეგ, რათა ძველი, დაკარგული „არმენია“ ნაწილობრივ მაინც საქართველოში „გადმოეტანა“. ამიტომ იყო, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვა მათ მიერ საზეიმო პარაკლისით აღინიშნა და ეს დღე „სომეხთა ხსნის“ დღედ გამოცხადდა (თამარ და აკაკი პაპაევები, 1989: 83).

სომეხების მონაწილეობით, პეტრე პირველის და ეკატირენე მეორის დროს შეიქმნა პროექტები „დიდი სომხეთის“ შესახებ. ამ სტრატეგიული ამოცანის რეალიზებისათვის სომეხებმა არაერთი ქმედება განახორციელეს. ცნობილი ფაქტია, რომ 1830 წელს მათ თავი მოუყარეს დიდ თანხას – 2 მილიარდ რუპიას – ნიკოლოზ პირველისათვის გადასაცემად, რათა აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილიყო სომხური პოლიტიკური ერთეული – ცენტრით თბილისი. ეს ის დროა, როცა ერევანი ორიოდ წლის წინ არის გათავისუფლებული სპარსელებისაგან რუსების მიერ. ნიკოლოზ პირველს კატეგორიული უარი განუცხადებია (ვანო სულორი, პარადოქსული ომი საქართველო-სომხეთს შორის. <https://sputnik-georgia.com/columnists/20200317/247992631/> ნახულია 20 აგვისტო, 2021).

სომეხების ამბიციური გაგმები ნათლად წარმოჩნდა პარიზის საზავო კონფერენციაზე გასაგზავნად მომზადებული და დაშნაკების მიერ გამოცემული „დიდი სომხეთის“ რუკით, რომელშიც მოქცეული იყო საქართველოს, აზერბაიჯანის, სპარსეთის და ოსმალეთის იმპერიის მიწების ნაწილი (ვ. ნოზაძე, 1989:13). ასეთი რუკა სომეხებმა 1970 წელსაც დაბეჭდეს (ტირაჟი 50 000), ხოლო 1971 წელს გამოიცა ხანატურიანის შრომა „ჯავახკას სომხური ხალხური ცეკვე-

ბი“ რომელშიც ჯაგახეთი სომხეთის განუყოფელ ნაწილად არის მიჩნეული (თ. ფუტკარაძე, 1998:13). სომხურადაა გამოცხადებული სი – ბოლოსართით დაბოლოებული ყველა გეოგრაფიული სახელი (თბილისი, რუისი, ურბნისი...) თბილისის უნივერსიტეტის აღზრდილის პ. მურადიანის ნაშრომებში (იხ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“ 1971, № 3). ამავე შინაარსისაა ვინმე არგო კივირიანის სტატია „დიდი სომხეთი მცირე საზღვრებში-ეროვნული პროგრამა 2000 წლამდე, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ლარაგირში“ (თ. ფუტკარაძე, 1998:19, ასევე, გაზ. „რეზონანსი“, 1996 წ. 21-22 მარტი).

სომხები სარგებლობდნენ საქართველოს გამოუვალი მდგომარეობით და ცდილობდნენ მათი პოლიტიკური ამბიციების დაკმაყოფილებას საქართველოს ხარჯზე, თუმცა თვითონაც მძიმე მდგომარეობაში იყვნენ. პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის დამარცხება სომხებმა მათთვის ხელსაყრელ მომენტად მიიჩნიეს და მოიწადინეს აღმოსავლეთ ანატოლიის დაკავება. სომეხთა აჯანყება (რუსების წაქეზებით) თურქებმა სისხლში ჩაახშეს. ბევრი სომეხი გაწყდა, ბევრიც ლტოლვილად იქცა და ისევ ქართველმა გაუწოდა დახმარების ხელი. შეიქმნა სომეხთა დახმარების კომიტეტი, რომელმაც ლტოლვილი სომხებისათვის გამოყო იმ დროისათვის საკმაოდ დიდი თანხა – 100 000 მანეთი, დააბინავა და დააპურა ათასობით ლტოლვილი (განო სულორი. პარადოქსული ომი საქართველო-სომხეთს შორის <https://sputnik-georgia.com/columnists/20200317/247992631/> ნახულია 20 აგვისტო, 2021).



ფოტო 3. გ. კვინიტაძე. გერმანელი და ქართველი ოფიცრები ბორჩალოში

როგორც ითქვა, 1918 წ. 18 ოქტომბერს, სომხები შეიჭრნენ ადრე თურქების მიერ ოკუპირებულ ბორჩალოს მაზრის ტერიტორიაზე, გადაკვეთეს სადემარკაციო ხაზი და დაეუფლნენ საქართველოს მხარეს მდებარე ქობერის სარკინიგზო კვანძს. გერმანიის სარდლობის მოთხოვნა-დაეტოვებინათ ქობერი, სომხების მიერ არ იქნა შესრულებული (ენდრიუ ანდერსენი და გეორგ ეგგე, მეორე ნაწილი, <https://www.google.com/search?> ნახულია 19 აგვისტო, 2021). ქობერის

სადგური მხოლოდ მას შემდეგ იქნა დატოვებული, როცა ქართულმა სარდლობამ კონფლიქტის ზონაში გააგზავნა 250 კაციანი რაზმი და ორი ჯავშანმატარებელი. ამის შემდეგ სომხები იკავებენ სასაზღვრო ხაზის სამხრეთით მდებარე სადგურ შაგალს.

საქართველომ წაუყენა ულტიმატუმი შაგალის დატოვების შესახებ, მაგრამ უშედეგოდ. სომხეთის პრემიერმა კაჩაზუნმა აღსტაფიდან ნ. ჟორდანიას გაუგზავნა შიფროგრამა: „მინისტრთა თავმჯდომარეს ჟორდანიას, ასლი საქართველოში სომხეთის რწმუნებულს ჯამალიანს. დილიჟანის რაზმის უფროსმა მომახსენა, რომ ქართულმა არმიამ მას წაუყენა ულტიმატუმი შაგალის სადგურის დატოვების შესახებ. ჩემს მიერ სომხურ მხარეს მიეცა ბრძანება, რათა არ დასტოვონ სადგური, ხოლო ქართველების მიერ შეტევაზე გადასვლის შემთხვევაში – განახორციელოს თავდაცვითი ბრძოლა. მრავალტანჯული სომხეთისა და საქართველოსთვის ახალი უბედურებების თავიდან ასაცილებლად, სიმართლისა და სამართლიანობის სახელით გთხოვთ, თავი შეიკაოთ აგრესიული ქმედებისაგან და დასტოვოთ ქართული ჯარები არსებულ ხაზზე. ყველა სასაზღვრო საკითხს გადავჭრით მოლაპარაკებების გზით. შეგახსენებთ, რომ საქართველო არ აცხადებს პრეტენზიას ღორეზე და მას მხოლოდ დროებითად იკავებს, რათა არ დაიკავოს ის მესამე ძალამ. ველი თქვენს პასუხს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კაჩაზუნს (ენდრიუ ანდერსენი და გეორგ ეგგე, მეორე ნაწილი, <https://www.google.com/search?> ნახულია 19 აგვისტო, 2021).




ფოტო 4. გენერალი გ. წულუკიძე

სომხებმა შეუტიეს სოფელ კარინჯს და საგუშაგო პოსტზე მდგარ გერმანელებს უკან დაახევინეს. საქართველო იძულებული გახდა ბორჩალოში გამოეცხადებინა საგანგებო მდგომარეობა. მაზრის უფროსად დაინიშნა გენერალი წულუკიძე.

საბრძოლო მოქმედებებში ჯავშანმატარებლის ჩართვის შემდეგ სომხები იძულებული არიან უკან დაიხიონ და დატოვონ კარინჯი და ცატერი. საქართველოს მთავრობისადმი სომხეთის პრემიერ კაჩაზუნის მიერ 26 ოქტომბერს გაგზავნილ ტელეგრამაში **ამ სოფლების დაპყრობა სომხების მიერ ცხადდება თითქოსდა გაუგებრობად** (ენდრიუ ანდერსენი და გეორგ ეგგე, <https://www.google.com/search?q>). სომეხი ავ-

ტორები ამ საკითხზე რატომღაც არაფერს ამბობენ და თავიანთ ნაშრომებში მხოლოდ ის დოკუმენტები მოყავთ, რომელიც შეესაბამება მათ ინტერესებს.

პრემიერ-მინისტრის მიერ „გაუგებრობად“ შერაცხული აღიარების მიუხედავად, სომეხი ავტორები მაინც ქართულ მხარეს ადანაშაულებენ და ურცხვად წერენ, რომ ქართველებმა „იარაღის ძალით ვერ განახორციელეს დანაშაულებრივი გზით სომხეთის პოლიტიკური სხეულის ამჟღავნება“ და თავისი „ავანტიურის“ წარუმატებლობის გამო „სხვანაირად სცადეს იმ პრობლემების გადაწყვეტა, რომელიც ხმლით ვერ გადაწყვიტეს.“ „სომხეთ -საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი, 1919:19).



ფოტო 5. ჯავშანმატარებელი.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ეს იყო ის დრო, როცა პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო პირველი მსოფლიო ომის ბედი. სომხეთს სურდა ერთგულება დაემტკიცებინა ომში გამარჯვებული ანტანტისათვის პერსპექტივაში „დიდი სომხეთის“ იდეის რეალიზაციისათვის მათი მხარდაჭერის მოსაპოვებლად. საქართველო ხომ ფაქტიურად დამარცხებული გერმანიის მოკავშირე იყო. ამავდროულად ემსახურებოდა დეკემბრის თვეში განხორციელებული სომხური ავანტიურა, რადგან სწორედ მაშინ შეიყვანეს ბაქოში ბრიტანული არმიის ნაწილები. ცხადია, სომეხი ავტორები არც ამ ფაქტზე ამახვილებენ ყურადღებას. ამასთან, სომხებმა შეამოწმეს ქართული სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობა. მათ აინტერესებდათ სადაო ტერიტორიების ძალადობრივი გზით დაკავების შემთხვევაში რა რეაქცია და შესაძლებლობები ექნებოდა ახალგაზრდა ქართულ სახელმწიფოს.

სომხების მიერ წამოყვებულ ავანტიურაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მსოფლიო ომში დამარცხებული თურქეთის წამქეზებლურმა პოლიტიკამაც (თურქეთი ერთმანეთის წინააღმდეგ აქეზებდა სომხებსაც და ქართველებსაც, მაგრამ ქართველები არ წამოეგნ ამ პროვოკაციაზე) (ენდრიუ ანდერსენი და გეორგ ეგგე, მეორე ნაწილი, <https://www.google.com/search?q>).

პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ამიერკავკასია დიდი ბრიტანეთის გავლენის ქვეშ მოექცა, რამაც სომხებს კიდევ უფრო გაუძლიერა ტერიტორიული მადა „დიდი სომხეთის“ სახელმწიფოს „აღდგენის“ დაუოკებელი ჟინის რეალიზაციისათვის, რა თქმა უნდა საქართველოს ტერიტორიების ხარჯზე.

ოქტომბრის ბრძოლები შეწყდა, მაგრამ მთელი სიმწვავეთ დადგა სომხეთ-საქართველოს საზღვრების გამოიჭნის აუცილებლობის საკითხი (ენდრიუ ანდერსენი და გეორგ ეგგე, ნაწ. 1. <https://iberiana.wordpress.com/armenia-georgia/somxet-saqartvelos-omi-1/>).

სომეხი ნაციონალისტების აზრით ახალქალაქის მაზრა და ბორჩალოს მაზრის ძირითადი ნაწილი უნდა შესულიყო სომხეთის შემადგენლობაში. რადიკალები კი უფრო შორს წაივდნენ და შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვება ბათუმის ხარჯზე მოიწადინეს (ენდრიუ ანდერსენი და გეორგ ეგგე, ნაწ. 1. <https://iberiana.wordpress.com/armenia-georgia/somxet-saqartvelos-omi-1/>). გარდა ამისა, სომხურმა მხარემ მოითხოვა საზღვრის გავლება გორის მაზრის ცხრაწაროს

ულელტეხილზე (Armeno-Georgian War of 1918, http://www.conflicts.rem33.com/images/Georgia/arm_geor_war/E3.html). (ომის დაწყების წინ სომხეთის ხელისუფლებისაგან საქართველოს მთავრობამ მიიღო ტელეგრამა, რომელშიც ისინი ითხოვდნენ ქართველების მიერ ტერიტორიების დატოვებას გორის ჩათვლით (ვრცლად იხ. ჩაჩხიანი, 2006 წელი, ასევე, დოკუმენტური ფილმი -სომხეთ-საქართველოს ომი, იუთუბი <https://www.youtube.com/watch?v=F0j-GXfCSQo>).

სადაო ტერიტორიები ოდითგანვე ქართული პოლიტიკური სხეულის ნაწილი იყო. ეს ტერიტორიები იბერიის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა მეორე საუკუნემდე. II-I სს. იგი დაისაკუთრეს სომხებმა, შემდეგ, ახ. წ. II საუკუნიდან ქართველებმა შეძლეს მისი დაბრუნება. ღორეს პროვინცია ესაა ისტორიული გოგარენა და ტაშირი, რომელიც იყო სასაზღვრო ზოლი ამ ორ მეზობელ ქვეყანას შორის. აქ მცხოვრები ქართველური ტომები გუგარენელები თანდათანობით ასიმილირდნენ და რეგიონში მომრავლდნენ სომხები. გვიან, შუა და განვითარებულ შუა საუკუნეებში იგი იყო საქართველოს განუყოფელი ნაწილი.

X საუკუნის დასასრულს ქრისტიანების მიერ არაბთა სამეფოებისადმი წართმეული ტერიტორიების ბაზაზე ჩამოყალიბდა ღორე-ტაშირის სამეფო, რომლის საზღვრები მოიცავდა მომავალი ბორჩალოს მაზრის თითქმის მთელ ტერიტორიას, აგრეთვე ალექსანდროპოლისა და ყაზახის მაზრების ნაწილებს. სომხები მას სომხურ, ქართველი და რუსი მეცნიერები კი ქართულ – სომხურ სახელმწიფოდ მიიჩნევენ. მათეოს ურჰაეცი და არუთინოვ-ფიდანიანი, ასევე ბიზანტიელებიც ღორე-ტაშირის სამეფოს ქართული სამოციქულო ეკლესიისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიად განიხილავენ (ენდრიუ ანდერსენი და გეორგ ეგგე, ნაწ. 2. <https://iberiana.wordpress.com/armenia-georgia/somxet-saqartvelos-omi-1/>). 1224 წ. ღორე-ტაშირის სამეფო დაეცა და მთელი ჩრდილოეთი სომხეთი მოექცა საქართველოს გავლენის ქვეშ. სადავო მიწები შემდგომ პერიოდშიც საქართველოს შემადგენლობაში იყო (ენდრიუ ანდერსენი და გეორგ ეგგე, მეორე ნაწილი, <https://www.google.com/search?q>)

აღნიშნული რეგიონები საქართველოს პოლიტიკური ერთეულების შემადგენლობაში იყო რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამდეც (1801 წელი) და ანექსიის შემდეგაც. საქართველოს შემადგენლობაში დარჩა იგი 1918 წელსაც – სომხეთისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებს შემდეგ (ღორეს პროვინცია. <https://ka.wikipedia.org/wiki/>)

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ეს ტერიტორიები იყო ოტომანტა და ირანის გამუდმებული თავდასხმების ობიექტი, რამაც განაპირობა რეგიონში ეთნიკური სურათის ტრანსფორმაცია. დამპყრობლებმა აქედან აყარეს მკვიდრი ქრისტიანი მოსახლეობა და მათ ნაცვლად ჩამოასახლეს თურქმანული ტომები, რომელთა შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ ქვემო ქართლის ტერიტორიაზე. მოგვიანებით, რუსეთის იმპერიულმა ხელისუფლებამ რეგიონში ჩამოასახლა სომხები, ბერძნები – თურქეთიდან, გერმანელი სექტანტები გერმანიიდან.

იგივე პროცესები განხორციელდა საქართველოს ძირძველ კუთხეში-ახალქალაქში, სადაც XVII – XVIII საუკუნეებში მოხდა მასობრივი გამოდევნა იმ ქართველებისა, რომლებიც უარს ამბობდნენ მიეღოთ ისლამი ან კათოლიკობა. მოსახლეობის ნაწილმა შეიცვალა რჯული, მაგრამ შეთხედდა ან დაცარიელდა სასოფლო დასახლებები. დამპყრობლები (ოსმალები, სპარსელები, რუსები) ყო-

ველნაირად ცდილობდნენ დაპყრობილი ტერიტორიების კოლონიზაციას ეთნიკური სურათის შეცვლის გზით. სწორედ ამიტომ ასახლებდნენ საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ეთნიკური ჯგუფების, განსაკუთრებით სომხების წარმომადგენლებს. მე-18 ს. ბოლოს, 1795-1827 წლებში ქართლ-კახეთში 20 ათასზე მეტი სომეხი ჩამოსახლდა ქართლსა და კახეთში (George A. Bournoutian. 1999: 99-103.). ამას დაემატა გულისტანიდან შულავერში 400 სომხური ოჯახის გადმოსახლება (1797 წელს). ხაჩენიდან და ყარაბაღიდან 1799 და 1808-1809 წლებში ბოლნისსა და ქვემო ქართლში დამკვიდრდა 496 სომხური ოჯახი (<https://ka.wikipedia.org/wiki/%>).

აღა მაჰმად ხანის შემოსევის შემდეგ, 1804 წელს, მოსახლეობისაგან შეთხელებულ საქართველოს დედაქალაქში რუსების ხელშეწყობით 2 ათასზე მეტი სომეხი მკვიდრდება (Первая всеобщая перепись населения Российской Империи 1897 г.). შემდგომ წლებში პერიოდულად ხდებოდა მათი შემოსახლება. 1807-1808 წლებში ორი ათასამდე სომეხი (338 ოჯახი) შემოემატა თბილისს.

რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომში ჯავახეთის გამუსულმანებულმა მოსახლეობამ ანტირუსული პოზიცია დაიკავა, რის გამოც მათაც მოუწიათ მშობლიური ადგილების დატოვება. დაცარიელებულ მიწებზე 1828-1832 წწ. პასკევიჩისა და ბებუთოვის ინიციატივით თურქეთიდან, საკუთრივ არზრუმიდან, ბაიაზეთიდან, ყარსიდან, არტანიდან ჩამოსახლეს 14044 სომხური ოჯახი (90 ათასი კაცი) და დაასახლეს ჯავახეთში (თ. ფუტკარაძე, 1998:7). ორი ათასამდე სომეხი დამკვიდრდა ახალციხეში (შ. ღომსაძე, 1975:359). პირველი მსოფლიო ომის დროს ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებს კვლავ შეემატა თურქეთში გენოციდს გადარჩენილი სომხური მოსახლეობა.

გადმოსახლებულ სომხებს ადრიდანვე გაუჩნდათ ტერიტორიული პრეტენზიები. მათ დაიწყეს ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შერყვნა-დაზიანება და იდეოლოგიური პროპაგანდა იმის დასამტკიცებლად, რომ სომხები არიან ამ ტერიტორიების ავტოქტონი მოსახლეობა. ამ მხრივ აქტიურობდნენ ქერობე პატკანოვი, გერასიმ ეზოვეი, გრ. არწრუნი და მრავალი სხვა.

სომხურ პუბლიკაციებში ჩნდება ბრალდებები, თითქოსდა ქართველები რკინიგზის ბლოკირებას ახდენდნენ მაშინ, როცა სომხები შიმშილით იღუპებოდნენო. არადა იმდროინდელი პრესა საპირისპირო ინფორმაციებს იძლევა: მარტო ქუთაისში სომხების დასახმარებლად რვა საქველმოქმედო აქცია ჩატარდა, თბილისში გაცილებით მეტი, სრულიად საქართველოში ტარდებოდა სომეხთა დახმარებისათვის განკუთვნილი საქველმოქმედო ღონისძიებები (ისტორია ერთადერთ "პოლიტიკას" აღიარებს, <https://www.kvirispalitra.ge/history/5447-saqarthvelo-somkhethis-omi.html>).

გაზეტი „მშაკი“ აღვივებდა შუღლს ქართველებსა და სომხებს შორის, წამლავდა სომხურ მოსახლეობას, სიძულვილის ენაზე ბეჭდავდა ტენდენციურ სტატიებს. ილია ჭავჭავაძემ უმკაცრესი პასუხი გასცა თავისი „ქვათა ღარადით“ სომეხ ნაციონალისტებს. არგუმენტირებული პასუხი გასცა აგრეთვე მ. თამარაშვილმა თავისი ცნობილი ნაშრომით "პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარყოფენ ქართველთა კათოლიკობას" (თბილისი, 1904).

საქართველოში შექმნილი ეთნიკური სურათი ქმნიდა და ქმნის ნოყიერ ნიადაგს სხვათა მიწების დაუფლებისა და ტერიტორიული პრეტენზიების გამოც-

ხადებისათვის, რაც ოსტატურად გამოიყენა დაშნაკურმა სომხეთმა კავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების წარმოშობისთანავე.

საქართველოს მთავრობა საზღვრების გამიჯნვისას ეფუძნებოდა ისტორიულ პრინციპებს, რომლის მიხედვითაც ახალციხე, ახალქალაქი, ლორესა და ბორჩალოს მაზრები იყო საქართველოს ისტორიული ტერიტორია და განუყოფელი ნაწილი. სომხები ამოსავლად იღებდნენ რეალური მოსახლეობის პრინციპს და კანონიერად მიიჩნევდნენ ამ ტერიტორიების სომხებისადმი კუთვნილებას. სომხებს არც გაემტყუნებოდათ. ჯერ კიდევ 1912 წელს კიევში შედგა რუსეთის არასახელმწიფოებრივ ერთა კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ: ნ. რამიშვილი და ს. ჯიბლაძე – სოციალ-დემოკრატები და ოსიკო ბარათაშვილი და სამსონ ფირცხალავა – სოციალ-ფედერალისტებიდან. სწორედ მათ დაუჭირეს მხარი ეთნიკური პრინციპის, ანუ რეალური მოსახლეობის საფუძველზე ტერიტორიების გადანაწილების საკითხს, რომლის მიხედვითაც აფხაზეთი ექცეოდა ჩრდ. კავკასიის, საინგილო აზერბაიჯანის, ახალციხე-ახალქალაქი-ბორჩალოს მაზრა (ნავთლულამდე) სომხეთის შემადგენლობაში (რ. გაბაშვილი, 1959:119), რომელიც მათ შესაბამისი ხელმოწერით დაადასტურეს. რეალური მოსახლეობის მიხედვით ტერიტორიების გადანაწილება აღნიშნული იყო კიევიდან ჩამოტანილ რუკაზეც (მ. მჭედლიშვილი, 2004:106).

ტერიტორიების გამიჯნვის საკითებზე მსჯელობა გაიმართა პეტროგრადში, 1917 წ. ზაფხულში. ღონისძიებას კავკასიის სამივე რესპუბლიკიდან ორ-ორი წარმომადგენელი ესწრებოდა. ამ ღონისძიებაზეც მხარდაჭერილი იქნა ეთნიკური პრინციპის საფუძველზე ტერიტორიების გამიჯნვის საკითხი. შეიქმნა შესაბამისი კომისია, ზურაბ ავალიშვილის ხელმძღვანელობით. კომისიის შემადგენლობაში იყო აგრეთვე ფედერალისტი ლორთქიფანიძე (სომხეთ – საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი, 1919:7). სომხეთის მხრიდან კომისიის შემადგენლობაში იყვნენ შახატურიანი და ხატისოვი. კომისიის სხდომის ოქმში დაფიქსირებულია სომხების წინადადება – ლორეს მიმდებარე სომხებით დასახლებული სასოფლო თემების, ახალქალაქის მაზრის აშკალინის, ავრანდინის, და ნარდევანის სასოფლო საზოგადოებების, თრიალეთის უბანი – ბაკურიანის სასოფლო თემიდან ყიზილქილისისა და მოლითის სომხეთის შემადგენლობაში გადასვლის შესახებ. ამავე ოქმიდან ჩანს, რომ საზღვარი უნდა გასულიყო მდინარე ხრამზე და შექმნილიყო ალექსანდროპოლის გუბერნია ახალქალაქის, ლორეს, ყარსის, ყაგიზმანსკის შემადგენლობით. არც ამ წინადადებას შეხვედრია წინააღმდეგობა საქართველოს მხრიდან. იგივე პოზიცია გამოიხატა ოზაკომის საგანგებო სხდომაზე ჩხენკელის და რამიშვილის მონაწილეობით, იმ განსხვავებით, რომ მხოლოდ ეროვნული დემოკრატები არ დაეთანხმნ ზემოთ-დასახელებულ წინადადებას (სომხეთ – საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი, 1919: 7,8).

მოგვიანებით, როცა მენშევიკები მოვიდნენ საქართველოს ხელისუფლების სათავეში, კვლავ გააქტიურდა ტერიტორიული საკითხები კავკასიის რესპუბლიკებს შორის. როგორც ითქვა, საქართველოს კოსმოპოლიტიკური პოლიტიკური პარტიების ნაწილი მენშევიკების ჩათვლით თავდაპირველად არ ეწინააღმდეგებოდნენ ეთნიკური პრინციპის მიხედვით – თვითგამორკვევის საფუძველზე ტერიტორიების გადანაწილებას. 1917 წლის 21 ივნისის გაზეთ „ბრძოლაში“ გამო-

ხატული იყო სოციალ-დემოკრატების პოზიცია – საზღვრები დგინდება რეალური მოსახლეობის პრინციპის საფუძველზე სამეურნეო-ყოფითი თავისებურებების გათვალისწინებით და რეფერენდუმის ჩატარების გზით (გაზ. ბრძოლა, N. 39, 1917 წ. 21 ივნისი). იგივე პოზიციას ემხრობოდნენ ქართველი სოციალ-ფედერალისტებიც. მათი მოსაზრებით ბორჩალოს და ზაქათალის ოკრუგები იმ შემთხვევაში შევლენ საქართველოს შემადგენლობაში, თუ მკვიდრი მოსახლეობის უმრავლესობა გამოხატავს ამის სურვილს რეფერენდუმის გზითო (სომხეთ – საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი, 1919: 5,6).

სწორედ საქართველოს მმართველი ელიტის აღნიშნული პოზიცია დაიხვეწეს ხელზე „დიდი სომხეთის“ შექმნის მანიით შეპყრობილებმა და შნაკებმა და სცადეს სხვისი ტერიტორიების მითვისება ქართველებისავე მხარდაჭერილი რეალური მოსახლეობის პრინციპის საფუძველზე. რევაზ გაბაშვილის ინფორმაციით ნ. ჟორდანიამ ერთ-ერთ თავის სიტყვაში, რომელიც წარმოთქვა 1917 წელს, ღიად განაცხადა, „რომ თბილისი საქართველოს დედაქალაქი კი არ არის, არამედ ინტერნაციონალური ცენტრია, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი და იმის იქით მდებარე ტერიტორია – ეკუთვნის სომხებსა და აზერბაიჯანელებს და მხოლოდ დასავლეთი მესამედი – „ვერა“ – და აქეთ მდებარე ტერიტორია გვეკუთვნის ქართველებსო“ (რ. გაბაშვილი, 1959:103)

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ვითარება რამდენადმე შეიცვალა. შეიცვალა პოზიციებიც. მართალია ხელისუფლება კოსმოპოლიტი მენშევიკების ხელში მოექცა, მაგრამ უკვე შეუძლებელი იყო ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საქმეში კომპრომისებზე წასვლა. ისინი ვერ გაუწევდნენ სრულ იგნორირებას პარლამენტში შემავალი ეროვნული პარტიების დეპუტატთა (რ. გაბაშვილი და სხვები) მოთხოვნებსაც. ამან განაპირობა მენშევიკების ფერისცვალება. მათ „დაივიწყეს“ ადრინდელი დანაპირები რეალური მოსახლეობის პრინციპზე ტერიტორიული დავების გადაწყვეტასთან დაკავშირებით და უკვე ისტორიული კუთვნილების პოზიციებს მიაჩნტეს უპირატესობა.

საქართველოს ეროვნული საბჭოს სახელით 1918 წ. ივნისში ირაკლი წერეთელმა (ეს ის კაცი წერეთელია, რომელმაც დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს ისტერიულად განაცხადა: „რას შერებით, თქვენა ღუპავთ რუსეთის დემოკრატიასო!“ (რ. გაბაშვილი, მიუნხენი 1959:189) სომხების წარმომადგენლებს განუცხადა, რომ სადაო ტერტორიები არის საქართველოს განუყოფელი ნაწილი და ეს მიწები უნდა დარჩეს საქართველოს შემადგენლობაში. რაც შეეხება სომეხთა პრეტენზიებს იმასთან დაკავშირებით, რომ ქართული მხარე ადრე მხარს უჭერდა სომხების წინადადებას ეთნიკური პრონციპის საფუძველზე საზღვრების დადგენის შესახებ, ოფიციალურმა თბილისმა განაცხადა, რომ ეს იყო არა მოლაპარაკებები, არამედ კონსტრუქციული ინიციატივები და ეხებოდა ერთიანი ამიერკავკასიის ფედერალური სახელმწიფოს ფარგლებში გამიჯნვას, რათა უფრო მოსახერხებელი ყოფილიყო ადმინისტრირება და სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობა, რომ მსგავსი განცხადებები გაკეთებული იყო საქართველოსა და სომხეთის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე და არ შეიძლება იყოს მიღებული სახელმწიფო საზღვრების განსაზღვრისასო.

ზოგადად, საქართველოს პოლიტიკურ წრეებში ამ საკითხთან დაკავშირებით იყო სხვა პოზიციებიც. ზოგიერთებს შესაძლებლად მიაჩნდათ ღორეს გა-

დაცემა სომხებისათვის იმ შემთხვევაში, თუ კი ამით წერტილი დაესმებოდა სომეხთა ტერიტორიულ პრეტენზიებს (ა. ჩახიანი, 2006). ზოგიერთები მხოლოდ ფედერაციულ რესპუბლიკად ყოფნის პირობებში მიიჩნევდნენ შესაძლებლად აღმინისტრაციული (და არა სახელმწიფო) საზღვრის ცვლილებას. ზოგიერთები კი სომხების მიერ ტერიტორიული პრეტენზიების წამოყენების შემთხვევაში დღის წესრიგში სვამდნენ ისტორიული ბამბაკის კუთვნილების საკითხის წამოწევას (Armeno-Georgian War of 1918, http://www.conflicts.rem33.com/images/Georgia/arm_geor_war/E3.html), რომელიც სომხებს მხოლოდ მეფის რუსეთის მმართველობის პირობებში გადაეცა (ქსე, ტ.2, 1977:182)

სომხური მხარის მტკიცებით წერეთელს სომხეთის წარმომადგენლებისათვის პირდაპირ უთქვამს, რომ ბათუმის შეთანხმების შემდეგ სომხებს არ შეუძლიათ შექმნან რამდენადმე სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფო. ამიტომ სომხეთისათვისაც სასარგებლოა გააძლიერონ საქართველო, რათა კავკასიაში იყოს ძლიერი ქრისტიანული ქვეყანა, რომელიც გერმანელების დახმარებით დაიცავს საკუთარ ქვეყანასაც და სომხეთსაცო (სომხეთ – საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი, 1919:10). ძნელია იმის თქმა, რამდენად შეესაბამება სომეხთა ეს ინფორმაცია სინამდვილეს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ი. წერეთელმა მხარი დაუჭირა ტერიტორიული დავის გადაწყვეტისას ისტორიულ პრინციპს, რაც მიუღებელი აღმოჩნდა სომხური მხარისათვის. სომხები აცხადებდნენ, რომ საქართველოსთან ტერიტორიულ „დათმობაზე“ ვერ წავიდოდა სომხეთის ხელისუფლება, რადგან სადავო ოლქები დასახლებული იყო სომხებით. ამავე დროს, „სომხებისათვის ცნობილი იყო, რომ საქართველოს მმართველმა პარტიამ ეხლანდელი სადავო ტერიტორიები აღიარა, როგორც სომხეთის ნაწილი“ (სომხეთ – საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი, 1919:10).


სომხები ბრალს სდებენ რუსებს, რომლებმაც „დაყავი და იბატონე“-ს პრინციპის გამოყენებით აღმოსავლეთ ყარაბაღი მიუერთეს ელიზავეტპოლის გუბერნიას, ხოლო ბორჩალოს და ახალქალაქის უეზდები – თბილისის გუბერნიასო. ამავე დროს აამუშავეს ანტიქართული პროპაგანდისტული იდეოლოგიური მანქანა. საქართველოს ხელისუფლებამ შეთავაზა პრობლემების გადაწყვეტა მშვიდობიანად, თბილისის კონფერენციაზე, რომლის ჩატარება დაგეგმილი იყო 1918 წ. 10 ნოემბერს. სომხეთის მთავრობამ თითქოსდა „გაუმართავი კომუნიკაციებისა და მოუზადებლობის“ გამო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა არ მიიღო (Armeno-Georgian War of 1918 http://www.conflicts.rem33.com/images/Georgia/arm_geor_war/E8.html#_ftn8). შემდგომისათვის სომხებმა ქართველებს ბრალად დასდეს, რომ კონფერენციის მოწვევა ცალმხრივად გადაწყვიტეს სომხებთან შეთანხმების გარეშე: „იმ დღეებში, როცა საქართველო-სომხეთის სასაზღვრო ხაზზე განხორციელდა საქართველოს მთავრობისა და მისი ჯარის დანაშაულებრივი ქმედებანი, მაშინვე იგივე მთავრობა თბილისში ამზადებდა დიპლომატიურ კომედიას. განიცადა, რა სრული წარუმატებლობა კავკასიის კონფერენციის მოწვევასთან დაკავშირებით, სხვა რესპუბლიკებთან შეთანხმების გარეშე, ცალმხრივად მოიწვია კონფერენცია, განსაზღვრა სამუშაო პროგრამა, დაასახელა კონფერენციის ჩატარების ადგილი, დრო, საათი, მაგრამ გააცნობიერა თავისი პოლიტიკური მანევრის უაზრობა და დათანხმდა სომხეთის მთავრობის წინადადებას სასაზღვრო დავის საკითხებზე მხოლოდ ორი ქვეყნის, საქართველოსა და სომ-

ხეთის წარმომადგენლების მონაწილეობით კონფერენციის მოწვევის შესახებ“ (სომხეთ -საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი, 1919:25). სომხების ამ განცხადებაში ნათლად ჩანს პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის სურვილის არქონა, წინააღმდეგ შემდგომში უარს არ იტყოდნენ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობაზე მიუხედავად იმისა, ცალმხრივად იყო მიღებული გადაწყვეტილება თუ ორივე მხარის თანხმობით.

სომხეთ-საქართველოს ომის შემდეგ, 1919 წელს, სომეხთა ეროვნულმა საბჭომ ბაქოში, ტოპოგრაფია „ურარდია“-ში დასტაბა ზემოთ არაერთხელ დამოწმებული 38 გვერდიანი ბროშურა – **„სომხეთ -საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი ფაქტობრივი მონაცემებისა და ნამდვილი დოკუმენტების საფუძველზე“** (რუსულ ენაზე). ეს ბროშურა დაცულია სომხეთის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში – მატენადარანში ნომრით 1660.

ავტორები უგულვებელყოფენ ისტორიზმის პრინციპებს, მრუდე სარკეში წარმოაჩენენ რეალურ ვითარებას და ცდილობენ მთელი პასუხისმგებლობა დააკისრონ საქართველოს ხელისუფლებას. ბროშურაში ქართული მხარე „იმპერიალისტებადაა“ მოხსენიებული, რომელიც სარგებლობდა სომხეთის სირთულეებით და გერმანიის მხარდაჭერით ცდილობდა თავისი იმპერიული ზრახვების განხორციელებას – „სომხეთ -საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი 1919:12). სომხური მხარე აპელირებდა სადაო ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობით. წიგნში ვკითხულობთ, რომ საქართველოსთან სადავო ახალქალაქის, მიმდებარე წალკის, ბორჩალოს უეზდებში, მდ. ხრამიდან და ყაზახის უეზდის სამხრეთით მდებარე სომხური ნაწილში ცხოვრობს 260 ათასი სომეხი, 7 ათასი ქართველი. აზერბაიჯანთან სადავო ყაზახში 70 პროცენტი სომეხია (სომხეთ – საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი, 1919:2). ავტორები რატომღაც არაფერს ამბობენ იმის შესახებ, თუ როგორ გაჩნდა ძირძველ ქართულ ტერიტორიებზე სომხური მოსახლეობა. ამ სტატისტიკაში ისინი არ მოიპოვებენ ყარსსა და ბათუმს, რადგან ბრესტ-ლიტოვსკის ზავით ეს ტერიტორიები ჩამოაჭრეს კავკასიას, რომელზეც ასევე ჰქონდათ პრეტენზიები. ეს დაადასტურა შემდგომი პერიოდის მოვლენებმა.

საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლისადმი საგარეო საქმეთა მინისტრის ტიგრანიანის მიერ გაგზავნილ ნოტაში (ნოტა N 52, 1918 წ. 29 ნოემბერი) ვკითხულობთ: „საქართველო-სომხეთის სასაზღვრო ხაზის გამოჯნვის საკითხზე სომხეთის მთავრობა ემხრობა იმ საწყისებს, რომლებიც ყოველთვის იყო გაზიარებული სომხეთისა და საქართველოს დემოკრატიის მმართველი



წრეების მიერ და არაერთხელ იყო სანქცირებული 1917 და მიმდინარე წლების განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებებსა და შეკრებებზე, რომლებზეც განიხილებოდა ეს საკითხი... შეთანხმება ეფუძნებოდა ნაციონალურ-ტერიტორიულ განსახლების ეთნოგრაფიულ პრინციპს... ტერიტორიის გამიჯვნის ეს სქემა აღიარებული იყო საქართველოს მთავრობის მიერ, რომლის მიხედვით ახალქალაქის უეზდისა და ბორჩალოს უეზდის დიდი ნაწილი, სადაც აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ სომხები, არის სომხეთის რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილი. ამასთან, ბორჩალოს უეზდის ჩრდილოეთი ნაწილი და თბილისის სამხრეთი, – მიუხედავად იმისა, რომ იქაც ქართველებს ჭარბობს სომხური მოსახლეობა, შესულია საქართველოს შემადგენლობაში სომხების ეროვნულ-კულტურული თვითგამორკვევის გარანტიით“ (სომხეთ – საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი, 1919:28-30).

სომხეთის მთავრობა იმუქრება, რომ თუ საქართველო არ მიიღებს სომხების წინადადებას, მაშინ „დღის წესრიგში დადგება პრობლემის მთლიანობაში განხილვის საჭიროება, რაც გულისხმობს არა მარტო ახალქალაქისა და ბორჩალოს ნაწილის, არამედ იმ რაიონების საკითხსაც, რომლებიც შესაძლოა უდაოდ იყოს მითვლილი საქართველოს ტერიტორიებისადმი“ (სომხეთ – საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი, 1919:28-30). ამდენად, სომხებს გაცილებით მეტ ტერიტორიებზე ჰქონდათ პრეტენზია და უნდა ვივარაუდოთ, რომ მიზნის მიღწევის შემთხვევაში მათ მიერ სომხეთის კუთვნილ ტერიტორიებზე მიხნეული რეგიონების დაპყრობასაც შეეცდებოდნენ.

სომხების გაანგარიშებით საქართველოს მოსახლეობაში ქართველების რაოდენობა შეადგენდა 64 პროცენტს, სომხეთში-სომხების რაოდენობა 65 პროცენტს, აზერბაიჯანში აზერბაიჯანელები 77 პროცენტს წარმოადგენენ. სადაო ოლქებში ქართველები არ ცხოვრობდნენ. მათივე მსჯელობით, მთლიანად კავკასიის მოსახლეობაში ქართველები შეადგენენ 28 პროცენტს, სომხები – 29, აზერბაიჯანელები კი 43 პროცენტს. შესაბამისად სომხეთის ტერიტორია უნდა იყოს კავკასიის ფართობის 29 პროცენტით (სომხეთ – საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი, 1919:3). მათ გამოთვალეს კავკასიის რესპუბლიკების ფართობი როგორც ქართველების, ასევე სომხების პროექტით. წიგნის ავტორების მტკიცებით თუ განხორციელდება ქართველების პროექტი, მაშინ სომხეთის ფართობი იქნება 10 ათასი კვ. კმ, ე.ი. კავკასიის მოსახლეობის 29 პროცენტი მიიღებს კავკასიის ტერიტორიის 5 პროცენტს, რომელშიც იქნება მხოლოდ 230 ათასი სომეხი, ქართველები კი, რომლის მოსახლეობაც სომხეთის მოსახლეობას უტოლდება, მიიღებენ ტერიტორიის 42 პროცენტს (სომხეთ – საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი, 1919:3,4).

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში სომხები სრულად უგულვებელყოფდნენ ისტორიულ პრინციპს, მაშინ როცა „დიდი სომხეთის“ ამბიციურ პროექტში ძირითად აქცენტს სწორედ ისტორიულ საფუძვლებზე ამახვილებდნენ და მთელ კავკასიას ურარტუდ (რომელიც სულაც არ იყო წმინდა სომხური სახელმწიფო) მოიაზრებდნენ, ხოლო სომხებს ურარტუს კულტურის ერთადერთ მემკვიდრეებად.

ეთნიკურ პრინციპს უგულვებელყოფდნენ მაშინაც, როცა საკითხი ეხებოდა

ერევის გუბერნიას, სადაც 1897 წლისათვის მოსახლეობის 37,7 პროცენტი ეთნიკური აზერბაიჯანელი იყო (Первая всеобщая перепись населения Российской Империи 1897 г.http://www.demoscope.ru/weekly/ssp/emp_lan_97_uezd.php?reg=566). აზერბაიჯანელები ჭარბობდნენ აგრეთვე ნახჩევანის მაზრაში (63 პროცენტი), მრავლად იყვნენ ისინი სურმალოს (46,5 პროცენტი) და ერევის (51,3 პროცენტი) მაზრებში (Первая всеобщая перепись населения Российской Империи 1897 г.http://www.demoscope.ru/weekly/ssp/emp_lan_97_uezd.php?reg=566), ხოლო ყარსის ოლქში ჭარბობდნენ თურქები და ქურთები. ასეთი ეთნიკური სურათის მიუხედავად ამ ტერიტორიებს მათ საკუთრად თვლიდნენ. ამ შემთხვევაში რეალური მოსახლეობის პრინციპი კატეგორიულად მიუღებლად მიიჩნდათ.

როგორც ითქვა, ღორე საქართველოს შემადგენლობაში დარჩა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც. პირველ მსოფლიო ომში გერმანიისა და მისი მოკავშირეების მარცხმა განაპირობა კავკასიიდან, კერძოდ კი ღორეს რაიონიდან თურქების გასვლა 1918 წელს. მაშინაც, ოქტომბრის თვეში ადგილი ჰქონდა მცირე დაპირისპირებას, როდესაც სომხურმა ჯარმა იერიში მიიტანა ქობერზე, ქორინჯსა და წათერზე, თუმცა შეტევა ქართველებმა მოიგერიეს და დაპირისპირება მალე განიმუხტა. როგორც ითქვა, საქართველო ყოველნაირად ცდილობდა სადავო საკითხები განხილულიყო თბილისის კონფერენციაზე, თუმცა ამ მცდელობებს შედეგი არ მოყოლია.

პირველი მსოფლიო ომის დასრულებისთანავე სომხებმა არსებული ვითარება ხელსაყრელად მიიჩნიეს და მოითხოვეს არა მარტო ქართული ტერიტორიების მიერთება, არამედ ყარაბაღისა და ყარსის ოლქის დაუფლებაც, რაც წინააღმდეგობაში მოდიოდა თურქეთის და აზერბაიჯანის ინტერესებთანაც.

1918 წ. 4-5 დეკემბერს თურქების მიერ დატოვებულ ღორეში, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში ქართული ჯარები დაბრუნდნენ. სომხებმა გააპროტესტეს ქართული ჯარის ყოფნა საკუთარ ტერიტორიაზე. საქართველოს მთავრობამ 5 დეკემბრის სომხეთის მთავრობის პროტესტის პასუხად განაცხადა, რომ არ უარყოფდა კონფერენციის იდეას და ამ რაიონის შესახებ დავის არსებობას, მაგრამ ჯარების გაგზავნა ახალქალაქში მოტივირებული იყო წესრიგის აღდგენის სურვილით, თუმცა ტელეგრაფის ბოლოში ეწერა, რომ „ახალქალაქის დაკავების საკითხი არც ისტორიულად, არც პოლიტიკურად და არც მორალური თვალსაზრისით სადავო არაა“ (სომხეთ – საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი, 1919:31).

სომხებმა დაიწყეს აშკარა მზადება ამ ტერიტორიების ძალისმიერი გზით დაკავებისათვის. 1918 წ. 4 დეკემბერს ციციშვილი აგზავნის N 219 შეტყობინებას, რომ „ჯალალედინიდან ჩრდილოეთით ჩვენს ტერიტორიაზე, 4771 მ. სიმაღლესთან სომხებმა სანგარი გათხარეს. წინადადება მიცეცი გაენადგურებინათ სანგრები. თუ ჩემი მოთხოვნა არ შესრულდა, მაშინ მე თვითონ გავანადგურებო“ (ა. ჩაჩხიანი, 2006:122).

სამწუხაროდ, მაშინ ნ. ჟორდანიას თავი არ შეუწუხებია არც ამ ინფორმაციაზე რეაგირებისათვის და არც რეგულარული ჯარის შექმნისათვის. მას ეშინოდა, რომ ჯარი არ დაპირისპირებოდა ხელისუფლებას (გ. მაზნიაშვილი, 1927:5-10,119) საქართველომ მაშინვე არ გამოაცხადა მობილიზაცია, არ გაუგზავნია არცერთი შენაერთი ფრონტზე, უფრო მეტიც, ფრონტიდან გამოიწვია



ფოტო 6

150-მდე მეომარი დღესასწაულში?! მონაწილეობის მისაღებად (გ. მაზნიაშვილი, „თბილისი, 1927:5-10; ასევე: გ. კვინიტაძე, თბ. 1998:119). საფრთხე კარზე იყო მომდგარი და კოსმოპოლიტი მთავრობის თავმჯდომარე კი დღესასწაულს მართავდა.

სომხებმა არაფრად ჩააგდეს საქართველოს ნეიტრალიტეტი. 9 დეკემბერს, გენერალ დროს (დრასტამატ კანანიანი) სარდლობით სომხები შეიჭრნენ სანაიანში, თავს დაესხნენ დეზორგანიზებულ, გაფანტულ, ნამძინარე ქართველ მესახდერეებს და საქართველოს მთავრობას წაუყენეს ულტიმატუმი „სომხეთის კუთვნილი“ ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრების ტერიტორიიდან ქართული ჯარების გაყვანის შესახებ.



ფოტო 7 გენერალი დროს



ფოტო 8. ს. ტიგრანიანი

მოგვიანებით ჟორდანიას ხელისუფლება თავს იმართლებდა, თითქოსდა არაფერი იცოდა სომხების საომარი მზადების შესახებ. ეს არის მტკნარი სიცრუე. ეროვნულ-დემოკრატი რ. გაბაშვილის ინფორმაციით სომხეთში საქართველოს ელჩი სოსიკო მდივანი და თანაშემწე მიხეილ ყანჭელი ოფიციალური პატაკებით ატყობინებდნენ ჟორდანიას აღნიშნულის შესახებ (რ. გაბაშვილი, 1959:206).

მზაკვრული ჩააფიქრების რეალიზაციისა და საკითარი ავანტიურის გამართლებისათვის ღორეს რეგიონში სომხებმა მოაწყეს ამბოხება, რომელიც თითქოსდა ქართველთა ძალადობამ განაპირობა. „ყველა იმ რაიონში – აცხადებენ სომხები, სადაც იდგა ქართული ჯარი, დაიწყო უცერემონიო და სასტიკი ძალადობა სომხურ დასახლებებში, ანადგურებდნენ ისედაც არაერთხელ განადგურებულ მეურნეობას. ნოემბერში, საინტერესო მოვლენები ხდებოდა შუალავერში, რომელიც გარშემორტყმული იყო ქართული ჯარის ნაწილებით. ადგილი ჰქონდა მოსახლეობის დაშინებას, რეკვიზიციას, ქურდობას. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ძალადობა, რომელმაც დეკემბრისათვის ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. ყოველივე ამან სასახდვრო სოფლების მოსახლეობა აჯანყებამდე მიიყვანა.. მოსახლეობა ელოდა დაცვას საქართველოს ხელისუფლებისაგან. დახმარებას ელოდა სომხეთისაგანაც, მაგრამ ვერც ერთი მხარისაგან ვერ მიიღეს დახმარება, ამიტომ გადაწყვიტეს თავად დაეცვათ საკუთარი უფლებები და

აქმულებიანთ ქართული ჯარი დაეტოვებინათ მათ მიერ დაპყრობილი სომხური სოფლები“ (სომხეთ – საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი, 1919:19, 20).

რეალურად კი ვითარება სულ სხვაგვარად იყო. ამბოხების შესახებ ინფორმაცია დაიბეჭდა გაზეთ „ერთობა“-ში. ამ ინფორმაციიდან ცნობილი გახდა, რომ სომხებს სადგურ სანაიანთან 9 დეკემბერს აუტეხიათ სროლა (თუმცა მანამდეც, 6 დეკემბერს, სომხები თავს ახალქალაქის მახრას დაესხნენ თ. ფ.). იქ იდგა 6150 კაციანი ქართული შენაერთი გენერალ აბელ მაყაშვილის მეთაურობით, რომელმაც შეძლო მათი დამარცხება (ვრცლად: ა. ჩახიანი, 2007). სროლების შედეგადაც დაჭრილა ერთი ჯარისკაცი. იგი მეორე დღეს გარდაცვლილა. შემდეგ, „სომხეთა რაზმები (როგორც გამოირკვა ნასაღდათევი ხალხი) თავს დაესხა ქართულ სადარაჯო რაზმს. მათ 15 კაცი მოკლეს, 14 კი დაიჭირეს“ (სანაიანთან მომხდარი შეტაკების გარშემო, მთავრობის განცხადება პარლამენტში. გაზეთი „ერთობა“, N270, 1918 წ. 14 დეკემბერი). მდგომარეობის გასარკვევად ქართულმა მხარემ გააგზავნა დელეგაცია. ნათელი გახდა, რომ თავდამსხმელები იყვნენ სომეხი ჯარისკაცები ოფიცრების ხელმძღვანელობით. ქართულ მხარეს ხელთ ჩაუვარდა დეპეშა, რომელიც სომხეთის ჯარის ერთი ნაწილიდან გააგზავნეს მეორე ნაწილში. დეპეშაში არის თხოვნა – აცნობონ, გამოუცხადეს თუ არა ომი საქართველოს, რომ ისინი მზად არიან ომისათვის (გაზეთი „ერთობა“, N270, 1918 წ. 14 დეკემბერი).

ქართული მხარე მაინც სიფრთხილეს იჩენდა. ე. გეგეჭკორის თქმით საქართველოს მთავრობას არ აქვს ოფიციალური შეტყობინება და „სომხის ჯარის ნაწილების თვადასხმა არ უნდა განვიხილოთ, როგორც სომხეთის მთავრობის თანხმობით განხორციელებული ოპერაცია“. ცხადია ასეთ ფაქტებზე სომეხი ავტორები სდუმან, რათა შენიღბონ სომხეთის ხელისუფლების დამპყრობლური ამბიციები და იგი მშვიდობისმოყვარე ძალად წარმოაჩინონ.

სომეხი ხელისუფლების მიერ ორგანიზებულმა ამბოხებამ დაბადა სერიოზული ეჭვები, რომ ღორეს სოფლებში, საკუთრივ უზუნდარში ინახებოდა იარაღი. ცხადია საქართველოს ხელისუფლებას უნდა მიეღო შესაბამისი ზომები, ჩაეტარებინა ჩხრეკა და ამოეღო იარაღი, რაც სომხების მიერ შეფასდა, როგორც დამსჯელი ექსპედიცია. თავიანთი ავანტიურის გასამართლებლად სომხებმა ქართველ ჯარისკაცებს ბრალად დასდეს ძალადობა, ძარცვა, ქურდობა, ძალადობრივი მეთოდებით კვების პროდუქტების წართმევა, რეპრესიები, რამაც განაპირობა მოსახლეობის აჯანყებოლ „სომხეთ -საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი 1919:20)

გენერალმა წულუკიძემ უზუნდარში ვერ შეძლო აჯანყების ჩახშობა. სანაიანთან სომხებმა იგი ალყაში მოაქციეს. უკვე 13 დეკემბრიდან პრესაში კვლავ ჩნდება ცნობები სამხედრო დაპირისპირების შესახებ (გაზეთი „ერთობა“, N270, 1918 წ. 14 დეკემბერი). მოწინააღმდეგემ შეძლო უზუნდარის, სანაიანის, აირუმისა და ახტალას დაკავება და შეტევა დაიწყო ვორონცოვკის მიმართულებით. სომხებმა ეს დასახლებული პუნქტიც დაიკავეს.

მიადწიეს რა ღროებით წარმატებას, 14 დეკემბერს საგარეო საქმეთა მინისტრის ტიგრანიანის ხელმოწერით თბილისში გაიგზავნა შემდეგი შინაარსის ტელეგრამა: „საგარეო საქმეთა მინისტრს ე. გეგეჭკორს. კოპია სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს. 9 დეკემბრის ტელეგრამის პასუხად ეხლახან მივიღეთ

თქვენი რადიოგრამა N 5599. 12 დეკემბერს ჩვენმა მთავრობამ თქვენს მთავრობას გაუგზავნა ნოტა ბორჩალოს უეზდის სომხური ნაწილიდან ქართული ჯარების გაყვანის მოთხოვნით. ეს იქნებოდა ერთადერთი გზა სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად. ჩვენი მთავრობის წინადადება სულაც არაა საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევა, მაგრამ როგორც არაერთხელ განვაცხადე, რომ ეს რაიონი უსიტყვოდ არაა საქართველოს ტერიტორია. იგი სომხეთის განუყოფელი ნაწილია, რომელიც ძალადობრივი გზით დაიკავა ქართულმა ჯარმა. მშვიდობისმოყვარეობის პოზიციიდან გამომდინარე, სომხეთის მთავრობა დროებით ეგუებოდა ამ მდგომარეობას იმ იმედით, რომ საქართველოს მთავრობა თავს შეიკავებდა საქართველოსთან შეერთების მოწინააღმდეგე ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ აგრესიული ქმედებისაგან. საქართველოს მთავრობა არ წამოვიდა შემხვედრ ნაბიჯებზე – მშვიდობიანად მოგვარებულიყო სასაზღვრო დავის საკითხები. პირიქით, სხვის ტერიტორიაზე გაბატონების მიზნით მოაწყო ლაშქრობა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, რომელსაც თან ახლდა სისხლიანი და სასტიკი ძალადობა, საარტილერიო ცეცხლით სომხური სოფლების განადგურება. სომხეთის მთავრობას არ შეუძლია იყოს პასიური მკურებლის როლში და მშვიდად უყუროს, სომხეთის კუთვნილ ტერიტორიებზე როგორ ხოცავენ სომხს მოქალაქეებს და როგორ უცერემონიოდ მოქმედებს მეზობელი სახელმწიფო. ჩემს მთავრობას უნდა სჯეროდეს, რომ სომხეთისა და სომხური მოსახლეობის პატივისცემით საქართველოს მთავრობა საკუთარი ინიციატივით დაახქარებს თავისი ჯარების გაყვანას, აღადგენს სატელეგრაფო კავშირს და განამტკიცებს ორი მეზობელი და ნათესავი სახელმწიფოს მშვიდობიან თანაცხოვრებას. N 912. საგარეო საქმეთა მინისტრი ს. ტიგრანიანი“ (სომხეთ -საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი, 1919:33), პრაქტიკულად ეს მუქარისშემცველი ნოტა იყო საკუთარი დანაშაულის სხვაზე გადაბრალების მცდელობა, ქართული ტერიტორიების სომხურად გამოცხადების მორიგი უშედეგო ცდა.

21 დეკემბერს სომხების ხელში გადავიდა შულავერი, შემდეგ კი სადახლო (დ. სილაქაძე, სომხეთ-საქართველოს ომი – 1918. <http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E>).

საქართველო მოუმზადებელი შეხვდა ამ შეტევას, მით უმეტეს, რომ გართულებები იყო საქართველოს ჩრდილო-დასავლეთით, აფხაზეთში, სადაც დენიკინი სომხების დახმარებით ცდილობდა ქართული პოზიციების შესუსტებას გაგრის ფრონტზე. 18-19 დეკემბერს სომხებმა სრულად დაიკავეს ლორეს რეგიონი, დაარბიეს ქართულ-აზერბაიჯანული სოფლები (გვანცა ფორჩხიძე, სომხეთ-საქართველოს ომი <https://konpliqtebi2017.wordpress.com/2017/11/16/%E>). 32 ქართველი ახალგაზრდის სიცოცხლე შეეწირა 19 დეკემბრის შეტაკებას. 32-ვე კუკიის სასაფლაოზე დაასაფლავეს. მათგან ყველაზე უფროსი 25 წლის იყო. დაკრძალვის ცერემონიალს დაესწრნენ მთავრობის წევრები. 32 საფლავიდან დღეისათვის შემორჩენილია ერთის – მიხეილ დარბაისელის საფლავი ეპითაპიით: „მას დედის ძუძუ ტკბილი, შხამადაც შერგებია, მამულისთვის სიკვდილი, ვისაც დაზარებია. შემდეგ ამოშლილია სიტყვა (სავარაუდოდ „სომხებთან“), შემდეგ კი წერია: ბრძოლის დროს დაღუპული მიხეილ ივანეს ძე დარბაისელ-დაეითაშვილი, 1896-1918 წ. 19 დეკემბერი“ (დოკუმენტური ფილმი-სომხეთ საქართველოს ომი, <https://www.youtube.com/watch?v=F0j-GXfCSQo>)

საბრძოლო ოპერაციებში სომხეთის სასარგებლოდ თბილისელი და საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრები სომეხი მოხალისეებიც მონაწილეობდნენ. გაჩნდა ეჭვი, რომ თბილისელი სომეხები აპირებდნენ აჯანყებას, მაღლაკელიძეს ამაში ეჭვი არც ეპარებოდა. მართლაც, თბილისში გამოვლინდა საიდუმლო დაჯგუფება, რომელიც იარაღით და ფულით ამარაგებდა სომხებს. (https://naxalovka.do.am/load/ts-39-aik-39itkhe/ts_39_ignebi_da_zhurnalebi/somkhet_sakartvelos_omi/13-1-0-1069)

სპირიდონ კელიამ (ეროვნულ-დემოკრატიული პარტია) დამფუძნებელ კრებაზე გააჟღერა ინფორმაცია თბილისელი სომხების საომარი მზადების შესახებ და მათი დაპატიმრება მოითხოვა, მაგრამ არავინ დაუჯერა. არა და მთავრობის თავმჯდომარის კაბინეტის აივნიდან დღევანდელი კინოთეატრ „რუსთაველის“ ადგილას მდებარე შენობაში, სადაც განთავსებული იყო სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოება, კარგად ჩანდა ხალხის სიმრავლე და გრძელი რიგები. შემთხვევით შეესწრო ამას ნოე რამიშვილი, რომელსაც აუხსნეს, რომ მოხალისე სომხები ეწერებიან ჯარში. რამიშვილმა კატეგორიულად მოთხოვა ჟორდანია მათი დაპატიმრება, რაზედაც მთავრობის თავმჯდომარისაგან უარი მიიღო. ჟორდანია მაშინ ელოდებოდა სოცინტერნის დელეგაციას, რომელსაც საქართველოს შესახებ დასკვნა უნდა წარედგინა ერთა ლიგაში (ისტორია ერთადერთ „პოლიტიკას“. კვიტის პალიტრა, 2010 წ. 1 ნომბერი. <https://www.kvirispalitra.ge/history/5447-saqarthvelo-somkhethis-omi.html>).

საქართველო იძულებული იყო გაეტარებინა რეპრესიული ღონისძიებები. რამიშვილმა დამოუკიდებელი მოქმედება დაიწყო. ჩაატარა ჩხრეკა და სომხურ ოჯახებში (სარდაფებში) აღმოჩნდა ინგლისური წარმოების უამრავი ირადი – შაშხანები და ტყვია-წამალი (დოკუმენტური ფილმი-სომხეთ საქართველოს ომი, <https://www.youtube.com/watch?v=F0j-GXfCSQ>). მთავრობის განკარგულებით სომხებთან თანამშრომლობაში ეჭვმიტანილების ქონება სრულად ან ნაწილობრივ იქნა კონფისკირებული. დამნაშავენი დადგნენ არჩევანის წინაშე: ან ციხე, ან საქართველოს დატოვება. ბევრი დააპატიმრეს, დანარჩენმა დამნაშავეებმა კი დატოვეს საქართველო. ხელისუფლებამ დაიწყო საეჭვო პირების დეპორტაცია დედაქალაქიდან. საგანგებო რაზმმა საიდუმლო რაზმების შედგენის ბრალდებით დააპატიმრა 50-მდე სომეხი, მათ შორის გენერალი ხაჩატუროვი, პოდპოლკოვნიკი დოლიხანოვი. 23 დეკემბერს, საქართველოს მთავრობამ სომხეთის ყველა ქვეშევრდომი საქართველოს მოქალაქე სამხედრო ტყვეებად გამოაცხადა (დოკუმენტური ფილმი სომხეთ-საქართველოს ომი, <https://www.youtube.com/watch?v=F0j-GXfCSQo>) ეს ფაქტი სომეხთა მხრიდან „ეროვნულ ჩაგვრად“ შეფასდა.

ამ მოვლენებმა ხელისუფლება იძულებული გახადა დაეხურა სომხური გაზეთები "აშხატავორი", "ნორ ორიზონი" და ასევე რუსული გაზეთი "კავკასკოე სლოვო", რომლებიც საქართველოში მცხოვრებ სომხებს ქართველების წინააღმდეგ მრძოლისაკენ მოუწოდებდნენ. დაპატიმრებული იქნენ ამ გაზეთების რედაქტორებიც. სომხებმა საქართველოს მთავრობის ეს მოქმედებაც რაპრესიებად მონათლეს (ისტორია ერთადერთ "პოლიტიკას" აღიარებს კვირის პალიტრა, 2010 წ. 1 ნომბერი. <https://www.kvirispalitra.ge/history/5447-saqarthvelo-somkhethis-omi.html>).

24 დეკემბერს, სომხური არმიის ხელმძღვანელმა გენერალმა დრასტამაკ-კანაიანმა (დროშა) ულტიმატუმის ფორმით მოთხოვა საქართველოს სარდლობას ახალქალაქიდან ქართული ჯარის გაყვანა. ცხადია, ქართული მხარისათვის მიუღებელი იყო ეს ულტიმატუმი. საქართველოში დაიწყო მოხალისეთა ჯგუფების ფორმირება. 28 დეკემბრის ბრძანებით ყველა მოხალისეს შეუნარჩუნდებოდა სამსახური, სიკვდილის შემთხვევაში კი ოჯახებს დაენიშნებოდათ პენსია. ყველგან იქმნებოდა ასეთი რაზმები. მოხალისეთა ბრიგადა შეიქმნა უნივერსიტეტშიც (მასში ჩაეწერა იმუამინდელი სტუდენტი, მომავალში რექტორი ნიკო კეცხოველი). საზოგადოების ყველა ფენა ერთი მთავარი მიზნის გარშემო გაერთიანდა – დაეცვათ სამშობლო. კოსმოპოლიტი სოციალ-დემოკრატი ვალიკო ჯუღელიც კი აცხადებდა, რომ დამარცხების შემთხვევაში თავს მოიკლავდა (ისტორია ერთადერთ "პოლიტიკას" აღიარებს. კვირის პალიტრა, 2010 წ. 1 ნომერი. <https://www.kvirispalitra.ge/history/5447-saqarthvelo-s-khethis-omi.html>). საქართველოს მოსახლეობამ პირველად შეიგრძნო, რომ აქვთ სახელმწიფო, რომელიც მათვე უნდა დაიცვან. ეს იყო დიდი გამარჯვება დემოკრატიული საქართველოს არსებობის ისტორიაში.

საინტერესოა ერთი ფაქტი. 21 დეკემბერს, თიანეთის მოსახლეობის მობილიზაციის პროცესში სომეხ მღვდელს ტერ ოვანეს გირგიდიანცს ეყო თავხედობა იქ შეკრებილი ქართველებისათვის მოეწოდებინა, რომ არ მიეღოთ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობა. და ეს მაშინ, როცა იმავე პერიოდში დუშეთში მომხდარი აჯანყების დროს, ლტოლვილი სომხები საქართველოს წინააღმდეგ იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას (ეს აჯანყება საქართველომ ჩაახშო) (https://naxalovka.do.am/load/ts-39-aik-39itkhe/ts_39_ignebi_da_zhurnalebi/somkhet_sakartvelos_omi/13-1-0-1069)

ქართულმა სარდლობამ შეძლო ძალების ორგანიზება, განახორციელა წარმატებული შეტევა და სრულად დაიკავა შულავერი და სადახლო. საკუთარი ტერიტორიების დაცვა სომხებმა ავანტიურად მონათლეს: „დაიწყო რა გაუმართლებელი ავანტიურა საქართველოს მთავრობამ გამოაცხადა, რომ იძულებით იცავს სომხურ სოფლებს სომხეთის არმიისაგან, რომ სომხებმა დაიწყეს ომი საქართველოს წინააღმდეგ. შესაბამისად მთელ პასუხისმგებლობას აკისრებდა სომხურ მხარეს. ფაქტები კი სხვას ამტკიცებენ“ „სომხეთ -საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი 1919:36). საინტერესოა რა ფაქტებზე საუბრობენ სომეხი ავტორები. ფაქტები მართლაც სხვა რამეზე მეტყველებენ. ერთი რამ ცხადია: სომხები პანიკამ მოიცვა. მათი თავდასხმა იქცა თავდაცვად.

მანიპულირებენ რა დაშნაკური ხელისუფლების ე.წ. „მშვიდობისმოყვარეობით“, სომხურ მხარეს არგუმენტებად მოყავთ მათ მიერ საქართველოს მთავრობისადმი გაგზავნილი ზოგიერთი ნოტა, მაგრამ ყველა ნოტაში სადაო ტერიტორიას სომხეთის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევენ და ითხოვენ ქართული ჯარების გაყვანას. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ 18 დეკემბრის ნოტა:

„საგარეო საქმეთა მინისტრს. კოპია სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს.

პარლამენტის დადგენილებით, სომხეთის მთავრობა დღეს აგზავნის დელეგაციას კაპიტან გრინთან და საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელთან

(თუ კი გამოცხადდება ეს უკანასკნელი) სამხედრო მოქმედებების შეწყვეტის პირობების დასადგენად. ერთი პირობა, რომელსაც პარლამენტი საჭიროდ მიიჩნევს, როგორც აუცილებელს, არის ის, რომ სომხეთის მთავრობას შეუძლია გაიყვანოს თავისი ჯარები ბორჩალოს უეზიდიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიიღებს გარანტიას, რომ ეს რეგიონები არ იქნება ქართული ჯარების ხელახალი შეჭრის ობიექტი (სომხეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი, 1919:36). ცხადია, ასეთი კატეგორიული ტონი და აბსურდული მოთხოვნები მიუღებელი იყო ქართული მხარისათვის.

აშკარად ტყუიან სომეხი ავტორები, რომლებიც სიმართლეს თვალში ნაცარს აყრიან და გაიძახიან, რომ 13 დეკემბრამდე თითქოსდა არ უწარმოებიათ არავითარი საბრძოლო ოპერაცია ქართული ჯარის წინააღმდეგ: „სომხეთის არმიის ნაწილებს 13 დეკემბრამდე არ უწარმოებიათ არავითარი აგრესიული მოქმედება ქართული ჯარის წინააღმდეგ. თქვენი სისხლიანი რეპრესიებით და სასტიკი ძალადობით აიძულეთ სომხეთის მთავრობა დაეცვა სომხეთის კუთვნილ ტერიტორიაზე მცხოვრები საკუთარი მოქალაქეები. სომხეთის მთავრობამ ბოლო თვეებში გამოავლინა მაქსიმალური მშვიდობისმოყვარეობა. საქართველოს მთავრობა ღორეზე ჩვენი უფლებების ხელყოფით, ახალქალაქის სამხედრო გზით დაპყრობით, ბორჩალოში განხორციელებული სამხედრო რეპრესიებით გამოვიდა, როგორც აგრესიულ-დამპყრობლური პოლიტიკის გამტარებელი დიპლომატიური პროტესტების და სომხეთის მთავრობის მშვიდობიანი წინადადებების სრული უგულებელყოფით“ (სომხეთ -საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი, ბაქო, 1919:36). როგორც ვნახეთ, ცხვრის ქურქში გახვეულნი ცდილობენ ყველაფერი ქართულ მხარეს დააბრალონ და თავისმართლების პოზიციაში ჩააყენონ. ესეც მორიგი სომხური ეშმაკობაა. თუ როგორი მშვიდობისმოყვარე იყო დაშნაკური ხელისუფლება, ეს ნათლად გამოჩნდა მათ მიერ განხორციელებულ წარუმატებელ სამხედრო ავანტიურაში.

1919 წ. 1 იანვარს დიდი ბრიტანეთის მოთხოვნით წინააღმდეგობა შეწყდა (დ. სილაქაძე, სომხეთ-საქართველოს ომი – 1918. <http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1>).

ქართულმა ჯარმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. რომ არა ბრიტანელების მოთხოვნა, სომხებს ერევნის დატოვებაც მოუწევდათ. ომის იძულებითი შეწყვეტის მიუხედავად ქართული სარდლობა ძლივს ახერხებდა ქართველი ჯარისკაცების შეკავებას (სცსა, ფ.1864, ს. 1, ფურც. 50-62).

30 დეკემბერს, საქართველოს მეამბოხე სომხური მოსახლეობის ნაწილი გამოცხადდა ქართულ სარდლობასთან და მათ მიერ ჩადენილი ქმედებებისათვის პატიება ითხოვეს (დოკუმენტური ფილმი-სომხეთ საქართველოს ომი, <https://www.youtube.com/watch?v=F0j-GXfCSQo>)



ფოტო 10. გენერალი მაზნიაშვილი

რაც შეეხება ბრიტანელებს, მათ ადრიდანვე აუღეს ადლო სომეხთა მისწრაფებებს და დაიკავეს ანტიქართული პოზიცია. სწორედ მათი წაქეზებით და ინგლისის დაზვერვის მითითებით სცადეს სომხებმა ძეგლის ხიდის აფეთქება, რათა ალყაში მოექციათ ბავარიის გერმანული დივიზია. ფაქტობრივად ინგლისი სჯიდა საქართველოს პროგერმანული პოლიტიკისათვის, რომელიც აირჩია 1918 წ. მაისში. საბედნიეროდ ხიდი არ აფეთქდა და გერმანელებმა უვნებლად შეძლეს სამშვიდობოზე გასვლა. პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შემდეგ (1918 წ. 11 ნოემბერი) კავკასია ბრიტანეთის გავლენის სფეროდ იქნა აღიარებული და ბუნებრივია, ამ ვითარებაში მის პოზიციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

სომხურმა მხარემ ბრიტანეთის მოთხოვნით საბრძოლო ოპერაციების შეწყვეტა საკუთარ წარმატებად მიითვალა. მათი მტკიცებით სომხურმა ჯარმა შეძლო სადახლოსთან ქართველების შეკავება და რომ არა დაზავება, მოახერხებდა ომის გამარჯვებით დასრულებასო, თუმცა ეს რომ ასე არაა, თავადც კარგად იციან. რომ არა ბრიტანეთის მოთხოვნა, სომხეთი ვერ აცდებოდა სრულ დამარცხებას (გვანცა ფორჩხიძე, სომხეთ-საქართველოს ომი <https://konpliqtebi2017.wordpress.com/2017/11/16/%>).

საკუთარი წარმატებების ფონზე სომხური მხარე ყოველთვის არიდებდა თავს კონსტრუქციულ მოლაპარაკებებს, ყოველნაირად ცდილობდა ჩაეშალა სამშვიდობო პროცესები თავისი არარეალური მოთხოვნებით. სპეციალისტთა შეფასებით, გამარჯვების შემთხვევაში ისინი გაცილებით უფრო საშიშნი იქნებოდნენ, ვიდრე გამარჯვებული ალა მაჰმად ხანი (ფ. ჟიჟიაშვილი, გაზეთი „დრონი“ 1993, N 34). სომხები სადაოდაც კი არ თვლიდნენ ახალქალაქისა და



ფოტო 10. ომის შემდეგ გამართული ადლუმი


გამოცხადებას, მაგრამ ქართული მხარის კატეგორიული წინააღმდეგობის შემდეგ შემუშავდა ახალი პროექტი, რომელიც 1918 წ. 9-17 იანვრის თბილისის კონფერენციაზე იქნა მიღებული. ამ პირობებით საქართველო რჩებოდა მის მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე, სომხები კი ომამდელ საზღვრებზე უნდა დაბ-

ბორჩალოს მაზრების კუთვნილების საკითხს, მაგრამ მას შემდეგ, რაც განიცადეს სამხედრო მარცხი, 1919 წლის იანვარში იძულებული გახდნენ მიეღოთ ბრიტანელებისა და ფრანგების მიერ შემუშავებული შეთანხმების პირობები.

უნდა ითქვას, რომ ინგლისელების პირველი პროექტი ითვალისწინებდა მთელი სადაო ტერიტორიების (ბორჩალო, ახალქალაქი, ღორე) ნეიტრალურ ზონად

რუნებულებენ. ქართული ჯარების წარმატებების ფონზე სომხეთი იძულებული გახდა დათანხმებულიყო ინგლისელების წინადადებას. ამ ზავით ღორეს რეგიონი გამოაცხადეს ნეიტრალურ ზონად, რომელშიც საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე მორიგეობით უნდა მდგარიყო ქართული და სომხური ჯარის ნაწილები. ნეიტრალური ზონის მართვის სადავეები ექცეოდა კომისარიატის ხელში საქართველოსა და სომხეთის თითო წარმომადგენლის მონაწილეობით და მოკავშირე ბრიტანულ-ფრანგული მისიის მეტვალეურობით.

სომხეთის ეროვნულ არქივში დაცულია დოკუმენტი ნეიტრალური ზონის საზღვრების შესახებ:



Селения Нейтральной Зоны Борчалинского уезда

1 участок Алавердский	4/Саяани
Волости	5/Нагиди
А. Алавердская	В. Нагартская
1/Алаверди	1/Нацатан
2/Ахтала верх.	2/Нагарт
3/Ахтала ниж.	3/ Овандара
4/Бендик	4/ Цатер
5/Бамдух	Г. Когоская
Б. Тиникская	1/Когос
1/Арчев	2/Бгдан
2/Тног	III. Зи# уч. Боронцовский
Г. Чоканская	Волости
1/Чокан	А. Боронцовская
Г. Ламбалинская	1/Боронцовкая
1/Керпили	2/Привольное
2/Ламбало	Б. Шахназарская
3/Анруи	1/Котур-Булаг
III Вас. Уаунларский	2/Шахназар
Волости	В. Урутская
А. Уаунларская	1/Айдарбек
1/Агви	2 /Урут
2/Амодж	Г. Леджанская
3/Арди	1/Лори креп.
4/Икагат	2/Акарак
5/Уаунлар	3/Александровка
Б. Ахпатокая	Д. Ильязлинская
1/Алори	1/Джуджанент
	2/Ильязало
	3/Ирган-ча#

სომხეთის ცსა, ფ. 114, ს. 56, ფურც. 3, 4

აღნიშნულ საზავო პირობებზე სომხების თანხმობა ენდრიუ ანდერსენის და გეორგ ვეგეს მოსაზრებით განპირობებული იყო ერთის მხრივ ქართველების სამხედრო წარმატებებით, მეორეს მხრივ კი სომხეთის მთავრობასა და დენიკინის არმიას შორის საიდუმლო შეთანხმებით. ავტორი იმოწმებს დენიკინის ცნობას, რომლისთვისაც უცნობებია გენერალ უორკერს სომხეთის მთავრობასა და დენიკინის მოხალისეთა არმიის ხელმძღვანელობას შორის არსებული საიდუმ-

ლო შეთანხმება – ერთობლივი დარტყმა განხორციელებინათ საქართველოზე. მაშინ ინგლისელებმა საქართველოს მხარე დაუჭირეს და შეუძლებელი გახდა აღნიშნული ავანტიურის განხორციელება. ენდრიუ ანდერსონის ინფორმაციით დენიკინმა უარყო ასეთი შეთანხმების არსებობა, თუმცა სამართლიანად ფიქრობს, რომ დენიკინელთა არმიას და სომხეთს ჰქონდათ საერთო ინტერესები და მათი მოქმედება ასეთი საიდუმლო გარიგების არსებობაზე უნდა მეტყველებდეს (ენდრიუ ანდერსენი და გეორგ ეგგე, 1918 წ. სომხეთ-საქართველოს ომი, III. <http://arma.ge/2019/11/07/2203/>)

საჭიროდ მიგვაჩნია შევეხოთ ლორეს რეგიონში მცხოვრები არასომეხი მოსახლეობის დამოკიდებულებასაც. ისინი (ძირითადად მუსულმანური აღმსარებლობის მოსახლეობა) ამ ომში საქართველოს უჭერდნენ მხარს. რეგიონი ექვსი სოფლის წარმომადგენლებმა საქართველოს დამფუძნებელი კრებისადმი გაგზავნილი სპეციალური წერილით მოითხოვეს საქართველოს იურისდიქციაში ლორეს რეგიონის დაბრუნება (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა, 1 მაისი, 1919 ელი, N 94), თუმცა ამის განხორციელება შეუძლებელი აღმოჩნდა.

სომხეთი იძულებული გახდა ახალქალაქის მაზრაზე სომხეთმა მოეხსნა თავისი პრეტენზიები. საზღვრების საკითხის განხილვა ქართველი მენშევიკების „სატყუარა“ (ა. ჩაჩიანი, 2006:208) პარიზის კონფერენციას მიენდო, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა ომისშემდგომი მსოფლიოს ბედის საკითხები. საქართველოს დელეგაციამ კარლო ჩხეიძის, კაკი წერეთელის, ზურაბ ავალიშვილის და სხვათა მონაწილეობით წარადგინა მოხსენება, რომელშიც დასაბუთებული იყო საქართველოს დამოუკიდებლობის კანონზომიერება. საქართველომ წარადგინა აგრეთვე მომავალი საქართველოს რუკა, რომელშიც უნდა შესულიყო სადავო ტერიტორიები, მაგრამ დასავლეთს მაშინ რუსეთი უფრო აინტერესებდათ და საქართველოს პრობლემებს რუსეთის შინაურ საქმედ აღიქვამდნენ.

პარიზის კონფერენციაზე სომხურმა დელეგაციამ წარადგინა ე.წ. „დიდი სომხეთის რუკა“, რომელშიც შედიოდა საქართველოს მტკვრის მარცხენა სანაპირო თბილისისა და გორის ჩათვლით. მათ მოითხოვეს აგრეთვე შავ ზღვაზე გასასვლელი. კავკასიის რესპუბლიკებს შორის არსებული წინააღმდეგობებით ისარგებლეს დასავლეთის მმართველმა წრეებმა და სამივე რესპუბლიკას უარი უთხრეს მფარველობის მანდატზე. ნაწილობრივ ამავე მიზეზით ეთქვა უარი საქართველოს ერთა ლიგის (შეიქმნა 1920 წელს) წევრობაზეც. საქართველოს გაწევრიანებას მხარი მხოლოდ 14 – მა სახელმწიფომ დაუჭირა, 10 წინააღმდეგი წავისა, 18-მა კი თავი შეიკავა.

კავკასიის რესპუბლიკების აღიარება ევროპის ქვეყნებმა მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, როცა ნათელი გახდა ბოლშევიკების გამარჯვება თეთრგვარდიელებთან და ინტერვენტებთან.

სხვათა შორის, სომხების მიერ შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვების დაუოკებელმა სწრაფვამ დასავლეთის მმართველ წრეებში მე-20 ს. პირველ მეოთხედში გარკვეული მხარდაჭერა ჰპოვა. ეს აისახა სევრის ხელშეკრულებაში (1920 წელი). აშშ-ს იმჟამინდელი პრეზიდენტის ვილსონისეული სომხეთი სხვა არაფერი იყო, თუ არა „დიდი სომხეთის“ შექმნის არარეალური გეგმა, რომელიც თავის საზღვრებში გულისხმობდა საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილსაც.

სევერის ხელშეკრულებით ოსმალეთი ვალდებული იყო ქურთებისა და სომხებისათვის გამოეყო ტერიტორიები. ქვემო ათათურქის ინიციატივით თურქეთმა არ ცნო დამამცირებელი ზავის პირობები, ომი გამოუცხადა ანტანტის ქვეყნებს და მოიგო კიდევ.

სევერის ხელშეკრულებით მხარდაჭერილი ვილსონის სომხეთი თავის თავში აერთიანებდა აღმოსავლეთში ქრისტიანობის ფორპოსტს – (КАРПОВ С. П. 1981:168, 169) – ტრაპიზონის პროვინციასაც, რომლის მიხედვითაც იქედან უნდა გაესახლებინათ მკვიდრი ლაზური მოსახლეობა (Лазы <https://kavkazplus.com/news.php?id=2476#.W3xXJiQzbIU>). ლაზისტანი მათი წარმოდგენით უნდა გადაქცეულიყო დიდი სომხეთისათვის დერეფნად შავ ზღვაზე გასასვლელისათვის. ამ მოსაზრებას ემხრობოდა აშშ-ს პრეზიდენტი ვილსონი. მოკავშირეების მისამართით ვილსონის მიერ გაგზავნილ წერილში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ უნდა დაკმაყოფილებულიყო სომეხი ნაციონალისტების მოთხოვნები, რათა სომხებს ჰქონოდათ გასასვლელი შავ ზღვაზე. არავის უკითხავს ლაზებისათვის, მისაღები იყო თუ არა ეს წინადადება. თავად სომხები კი დასავლურ სამყაროს უმტკიცებდნენ, რომ იქ ცხოვრობენ ველური ხალხი, რომლებიც ვალდებული არიან ცივილიზებულ სომხეთს დაუთმონ საკუთარი მიწები (Лазы: Севрский договор как смертный приговор для народа, Московский и Карский договора – как спасение. KavkazPlus).

აღნიშნული გეგმის რეალიზაცია გულისხმობდა საქართველოსათვის სამცხე-ჯავახეთისა და ბათუმის პორტის დაკარგვასაც, რასაც სავარაუდოდ ადგილობრივი არასომეხი, განსაკუთრებით კი მუსულმანური აღმსარებლობის მოსახლეობის აყრა-გადასახლება ან გენოციდი მოყვებოდა შედეგად. ამერიკის, საფრანგეთის, ინგლისის მმართველი წრეების მიერ მხარდაჭერილი სევერის ხელშეკრულება ფაქტობრივად იყო ქართველი ხალხის ამ შესანიშნავი ეთნოგრაფიული ჯგუფისა და სრულიად საქართველოსათვის სასიკვდილო განაჩენი.

სომეხმა ნაციონალისტებმა ისარგებლეს პირველი მსოფლიო ომის დაწყებით და ნამდვილი გენოციდი მოუწყეს მუსულმანურ (ქურთები, თურქები) მოსახლეობას, მათ შორის ლაზებს და აჭარლებს, იმერხეველებს, შავშებს. არსებობდა ლაზებისა და აჭარლების წინააღმდეგ სომხების მიერ ჩადენილი მხეცობების ამსახველი დოკუმენტები, რომლებიც განადგურდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ, თუმცა ალექსი ტოლსტოის ამის შესახებ აქვს მინიშნებები და ირიბი მტკიცებულებანი. საბჭოთა პერიოდში დაწერილ ერთ-ერთ ნაწარმოებში იგი იხსენებს გენერალ იუდენისს, რომელმაც სომხების მონაწილეობით გაანადგურა რამდენიმე აჭარული სოფელი (Лазы: Севрский договор как смертный приговор для народа, Московский и Карский договора – как спасение. KavkazPlus). თუმცა სომხებისავე ჩავონებით ტოლსტოიც ფიქრობდა, რომ აჭარაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, თადიანი ხიდები სხვა „კულტურული ხალხის“ მიერაა აშენებული. სომხების სისასტიკეზე საუბრობს ნ. ნოვიკოვი თავის წიგნში „Операции на Черном море и совместные действия армии и флота на побережье Лазистана“, უფრო კონკრეტულად კი წიგნის ქვეთავში „ტრაპიზონის დაცემა“ (ლენინგრადი, 1927).

ლაზები სრულ განადგურებას სომეხთა სულწასულობამ გადაარჩინა. სომეხი ბოვეიკები არ დაელოდნენ ამერიკისა და დასავლეთის ქვეყნების ჯარის

შემოსვლას. დაშნაკებმა თავიანთი ბანდები დაძრეს „ვილსონისეული სომხეთის“ გუგამის განსახორციელებლად. სომხებს გადაჭარბებული იმედი ჰქონდათ ვილსონის და დასავლეთის ქვეყნების სხვა ლიდერების მხარდაჭერისა (მაშინ ხომ სომხეთზე ამერიკის მანდატის საკითხ განიხილებოდა). ამიტომ იყო, რომ დაშნაკები არცერთ მეზობელს აღარ უწევდნენ ანგარიშს და საქართველოს უყენებდნენ ტერიტორიულ პრეტენზიებს ყველა საერთაშორისო კონფერენციაზე (ღ. სარალიძე, სომხეთ-საქართველოს ხელშეკრულება 1919 წელს. <http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%>, შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვებისათვის ხან საზღვრის მდ. ჭოროხზე გატარების მოთხოვნით გამოდიოდნენ (ხატისიანის პროექტი), (გ. ხატისიანი ჩანაწერი, „ჩვენთვის სასარგებლოა საქართველოს თან დავსებათ საკითხი არა მარტო ნეიტრალურ ზონაზე, არამედ სასაზღვრო დავის ყველა საკითხზე“, სომხეთის ცსა, საქმე 12, ან. 2ს., ფურც.13,14, 15), ხან კიდევ ბათუმის ნავსადგურის ნაწილის მისაკუთრებას ცდილობდნენ (ცცსა, ფ. 1969, აღწ. 4, საქ. 12).

ამ პრეტენზიების ფონზე საქართველოსთან შეთანხმება შეუძლებელი აღმოჩნდა. მაგრამ ფუჭი აღმოჩნდა სომხების დასავლეთზე მოიმედლობაც. 1920 წ. ნოემბერში ოსმალების მიერ განხორციელებული აგრესიის დროს სომხეთი მარტო აღმოჩნდა მტრის პირისპირ. დამარცხებულმა სომხებმა იკადრეს ეთხოვათ ქართველებისათვის დაეკავებინათ ლორე, რათა დაშნაკებს იქ შეეფარებინათ თავი. სანაცვლოდ, კი სამი თვის შემდეგ სომხებმა ლორესა და შულავერში მოაწყეს აჯანყება და გზა გაუხსნეს საბჭოთა ოკუპაციას.

ამრიგად სომეხთა ავანტიურას არ მოუტანია არავითარი შედეგი თავად სომეხთათვის. კომპრომისების გამონახვის სურვილის არქონამ სავალალო შედეგის წინაშე დააყენა სომეხეთის ხელისუფლება. მათ ვერ შეძლეს ახალი ტერიტორიების მიერთების ხარჯზე სომეხეთის ტერიტორიული საზღვრების გაფართოება. ადრე ოსმალების მიერ დაკავებული ახალქალაქის მაზრა ქვემო ქართლთან ერთად საქართველოს საკუთრებაში დარჩა. მათი სურველები არარეალურად მიიჩნიეს თავად პროსომეზური (რომლებზეც დიდი იმედებს ამყარებდნენ „დიდი სომეხეთის“ იდეის რეალიზაციისათვის) განწყობის ბრიტანული მისიის წარმომადგენლებმაც. მართალია ბრიტანელები გერმანიის მოკავშირე საქართველოს მიმართ ავლენდნენ კრიტიკულ დამოკიდებულებას, მაგრამ ქართულმა დიპლომატიამ თანდათანობით შეძლო მათი კეთილგანწყობის მოპოვება, რომლებმაც მოგვიანებით ორივე მხარის მიმართ ნეიტრალური დამოკიდებულება გამოავლინეს.

სხვათა შორის, ტერიტორიული დავა არსებობდა საქართველო-აზერბაიჯანს შორისაც. აზერბაიჯანი მოითხოვდა საინგილოს და აზერბაიჯანელებით დასახლებულ ტერიტორიებს (ქვემო ქართლი, სიღნაღისა და თბილისის მაზრების ნაწილი). ეს დავა კონფლიქტში არ გადაზრდილა, რადგან საქართველოს კატეგორიული უარის შემდეგ აზერბაიჯანმა მოხსნა ეს პრეტენზიები, გარდა ზაქათაღის ოლქისა.

დღეისათვის საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობები წარმატებით ვითარდება, თუმცა შეინიშნება გარკვეული დაძაბულობის ელემენტები. სამწუხაროდ სომხურ პრესაში კვლავაც იბეჭდება ანტიქართული პუბლიკაციები, გამოიკვეთა ისტორიული სინამდვილის მრუდე პრიზმაში წარმომჩენი „მეცნიერუ-

ლი“ ნაშრომები. ოთხმოცდაათიან წლების სომხეთის ისტორიის სახელმძღვანელოებით ისწავლებოდა, რომ 1918 წელს ქათველებმა მოახდინეს სომხური მიწების ოკუპაცია, დღევანდელი სახელმძღვანელოებით კი პირიქით – 1918 წ. „ძღვევამოსილმა სომხურმა არმიამ“ დაამარცხა „ვერაგი მტერი“. შესაბამისად, ყოველი წლის დეკემბრის ბოლოს დამარცხებულები აღნიშნავენ ე.წ. „გამარჯვების წლისთავს (ისტორია ერთადერთ „პოლიტიკას“ აღიარებს, <https://www.kvirispalitra.ge/history/5447-saqarthvelo-somkhethis-omi.html>). იგივე პოზიციაა გამოხატული 1990 წელს ერევანში 30000-ნი ტირაჟით გამოცემულ ჰ. გოვორქიანის ნაშრომში (იხ. აღ. აბდალაძე, მეტი ობიექტურობა, ჟურნ. „მნათობი“, 1998, N 3-4, გვ. 176). საქართველო კი „კვლავ არ ვაწყენინოთ“ პოლიტიკას აგრძელებს.

გარკვეული წინააღმდეგობები ჩვენს ურთიერთობებში სხვა მიზეზებითაც არის განპირობებული. არ ცხრება სომხური მხარის პრეტენზიები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კუთვნილების საკითხებზე. ამავე დროს, ჯავახეთი, რომელიც დაშნაკების სამოქმედო პროგრამაში მთავარ პრიორიტეტად არის მიჩნეული (ა. ჩაჩიანი, 2006) კვლავაც ასრულებს შენელებული ბომბის ფუნქციას, რომელიც ჯერ კიდევ არ არის განეიტრალებული. მათ ჰყოფნით თავსედობა გვისაყვედურონ იმის შესახებ, რომ ყარაბაღის კონფლიქტში საქართველომ დაიკავა ნეიტრალური პოზიცია, და ეს მაშინ, როცა სომხებმა წარმოუდგენელი ღალატი ჩაიდინეს 1990-იან წლებში აფხაზეთის კონფლიქტში – ქართველების წინააღმდეგ მათი აქტიური მონაწილეობით. სერგეი ზაბელიანის ინიციატივით და „ერუნიკის“ ლიდერის ალბერტ ტოპოლიანის მეთაურობით ჩამოყალიბებული სომხური ე.წ. ბაგრამიანის ბატალიონი (სომხ. Բաղրամյան) გაუგონარი სისასტიკით გამოირჩეოდა. ეს ბატალიონი მონაწილეობდა არა მარტო საბრძოლო ოპერაციებში, არამედ ეთნიკურ წმენდაშიც. ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობისათვის 11 სომეხს (კ. გურგენიანი, გ. ტრაპიზონიანი, ა. ისხანიანი, ს. კირაკოზიანი, ა. ასატურიანი და სხვებს) მიენიჭა აფხაზეთის გმირის წოდება, ხუთი დაჯილდოვდა ლეონის ორდენით, ათი კი მედლით „მამაცობისათვის“ (დავით ლაცუზბაია, ვახტანგ ყოლბაია, რაფიელ გელანტია, თეიმურაზ ჭახრაკია. აფხაზეთის ლაბირინთი, – თბილისი, „არხატი“, 1999, ასევე, ბაგრამიანის ბატალიონი, <https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%91%E1>). სომეხთა ასეთი დამოკიდებულებანი შეიცავს გარკვეული საფრთხის ნიშნებს, რომელსაც დროული რეაგირება სჭირდება.

ჩვენს წინაპრებს ყოველთვის ჰქონდათ მეგობრული ურთიერთობა სომხებთან. სწორედ ამან ათქმევინა სომხური მწერლობის კლასიკოსს ოვანეს თუმანიანს: „თუ სამშობლოს მტერი მოადგება, ცოლ-შვილს მხოლოდ საქართველოში გაეხიზნავო“ (თ. ფუტკარაძე, 1998:20). იგი ღირსეულად მოიქცა ძმათამკველელი ომის დროს და ერევანში ჩარჩენილ შვილებს დაემუქრა, რომ ქართველების წინააღმდეგ ბრძოლის შემთხვევაში მათზე უარს იტყოდა (აღესილი ხმლები.

<https://ar-ar.facebook.com/SAQARTVELO.ERTADERTIA.01/posts/155722912947203/>). 1919 წ. 18 დეკემბერს ო. თუმანიანმა, როგორც გაერთიანებული „პატრიოტული კავშირის

საბჭოს თავმჯდომარემ მოიწვია საგანგებო სხდომა და მიიღეს მიმართვა ძმა-თამკვლელი ომის შეწყვეტის შესახებ. მას მიაჩნდა, რომ, არ არსებობდა ამ ორ მომკვლე ხალხს შორის საკითხი, რომლის მოგვარება არ შეიძლებოდა მშვიდობიანი გზით“ (კ. გრიგორიანი, 1950:233). ლევან ყიფიანისადმი გაგზავნილ საპასუხო წერილში ო. თუმანიანი სომეხ-ქართველთა ომი და მტრობა ხელისუფლებების მიერ შექმნილ ხელოვნურ პრობლემად გამოაცხადა, ხოლო ძმობა-სიყვარული – ბუნებრივად: „ღორეს ხეობაში – წერდა პოეტი, არის ხიდი. ხიდის ერთ ბოლოში დააყენეს სომეხი მეომარი, მეორე ბოლოში-ქართველი. ორივენი არიან შეიარაღებულნი და შეუპოვრად უთვალთვალებენ ერთმანეთს. როგორც აღმოჩნდა, ისინი მეგობრები იყვნენ, ერთად იბრძოდნენ, ერთად ეწამებოდნენ, ერთად უხაროდნენ, ერთად ჭამდნენ და სვამდნენ. ეხლა ისინი დააყენეს ერთმანეთის პირისპირ. მაგრამ მათ თხოვეს ახლოს მდებარე სოფლებს – იყო თუ არა ახლოს ხელმძღვანელობა და ხომ არ უთვალთვალებდნენ მათ. როცა გაიგეს, რომ არავინ უთვალთვალებდა, ერთმანეთისაკენ გაიქცნენ, მოეხვივნენ და გადააკოცნენ ერთმანეთი. შემდეგ დაიკავეს თავ-თავიანთი ადგილები“ (კ. გრიგორიანი, 1950:234, ასევე, ო. თუმანიანი, 1951:28).

ქართულ-სომხური ურთიერთობების საკითხის შესახებ საუბრისას წინა პლანზე უნდა წამოეწოთ სწორედ ასეთი მაგალითები, რომლებიც მრავლადაა ჩვენს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ძმათამკვლელ ომში გამარჯვებული არ არსებობს. ეს პოზიცია ომის დასრულების შემდეგ ნათლად გამოხატა ამ ომის ერთ-ერთმა ინიციატორმა, სომხეთის იმუამინდელმა პრემიერ-მინისტრმა ოვანეს კაჩაზუნმა: "ომმა დაგვაფიქრა ბევრ რამეზე... ვიბრძოდით იმ მეზობელთან, რომელთანაც ყველაზე მჭიდრო კონტაქტი უნდა გვქონოდა, ჩვენ ხომ საქართველოს მეშვეობით ვუკავშირდებოდით გარე სამყაროს. ჩვენ ამას ვგრძნობდით და გულწრფელად გვსურდა ქართველებთან მეგობრულად ცხოვრება, მაგრამ ვერ შევძელით. ამაში გარკვეული როლი საქართველოს მთავრობის პოზიციასთან ერთად ითამაშა ჩვენმა უძღურობამ, ჩვენმა პოლიტიკურმა განუვითარებლობამ და სახელმწიფოებრივი მართვის უუნარობამ" (სომხეთის რესპუბლიკის პირველი პრემიერმინისტრის სიტყვები სომხეთ-საქართველოს ომის შემდგომ

<https://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%90/123641>).

ისტორიულმა გამოცდილებამ იქნებ ეხლა მაინც აუხილოს თვალები საქართველოს ძირძველი ტერიტორიების მიერთების ამბიციებით შეპყრობილ პოლიტიკოსებს.

**The issue of border disputes in a curved mirror.
Armenia-Georgia War (December 1918)**

Summary

After the bourgeois-democratic revolution of February 1917, the Russian Empire disintegrated. The three republics of the Caucasus were united into a single Transcaucasian Federal-Democratic Republic. But its existence was short-lived. Soon the Federal Republic disintegrated and on its ruins, three states emerged almost simultaneously. The need for demarcation of borders arose with the emergence of independent states, but the Dashnak authorities' baseless territorial claims and attempts to forcibly annex Georgian lands led to a conflict known in history as the Armenian-Georgian War. The aim of this paper is to present the groundlessness of the territorial claims of the Armenian authorities on the basis of historical sources, scientific and literary data, the tendentious nature of the works of Armenian authors published on this topic and an attempt to present history through a prism.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

I. სამეცნიერო ლიტერატურა

1. აბდალაძე, 1998: აბდალაძე ალ., მეტი ობიექტურობა, ჟურნ. „მნათობი“, 3-4, თბილისი;
2. ახუაშვილი, 1994: ახუაშვილი ი., ქართული გვარ-სახელები, თბილისი;
3. გაბაშვილი, 1959: გაბაშვილი რ., რაც მასსოვს, მიუნხენი 1959;
4. გრიგორიანი, 1950: გრიგორიანი კ. ოვანეს თუმანიანი (1869-19230), ლენინგრადი;
5. თამარაშვილი, 1904: თამარაშვილი მ. პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარყოფენ ქართველთა კათოლიკობას. თბილისი;
6. თუმანიანი, 1951: თუმანიანი ო., სომეხი და ქართველი ხალხების მეგობრობის შესახებ, რუსულად, ერევანი;
7. კვინიტაძე, 1998: კვინიტაძე გ., საქართველოს დამოუკიდებლობის წლები, 1917-1921. თბილისი;
8. ლაცუზბაია, 1999: ლაცუზბაია დავით, ყოლბაია ვახტანგ, გელანტია რაფიელ, ჭახრაკია. თეიმურაზ, აფხაზეთის ლაბირინთი, – თბილისი,
9. ლომსაძე, 1975: ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი, თბილისი;
10. მაზნიაშვილი, 1927: მაზნიაშვილი გ., მოგონებანი, 1917-1925, თბილისი; მჭედლიშვილი, 2004: მჭედლიშვილი მ., იმპერიის მარწმუნებში, თბილისი;
11. პაპავა, 1989: თამარ და აკაკი პაპაევები, მარიამ-უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი“, თბილისი;

12. სომხეთსაქართველოს, 1919: სომხეთ – საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი ფაქტობრივი მონაცემებისა და ნამდვილი დოკუმენტების საფუძველზე, ბაქო;
13. ფუტკარაძე, 1998: ფუტკარაძე თ., ეთნიკური სტრუქტურა და ეროვნულ-დემოგრაფიული პრობლემები სამცხე-ჯავახეთში, ბათ. 1998, გვ. 7).
14. ქსე, 1977: ქსე, ტ. 2, თბილისი;
15. ჩაჩხიანი, 2006 – ჩაჩხიანი ა., ბრძოლა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის 1918-1919 წლებში, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი;
16. ჩაჩხიანი, 2007: თბილისი – ჩაჩხიანი ა., დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი, თბილისი;
17. Карпов, 1981: Карпов Сюз Трапезундская империя и западноевропейские государства XIII-XV вв. Москва;
18. Новиков, 1927: Новиков Н., Операция на Черном море и совместные действия армии и флота на побережье Лазистана, Ленинград;
19. Первая: Первая всеобщая перепись населения Российской Империи 1897 г.

II. საარქივო მონაცემები:

1. საქართველოს ცსა, ფ.1864, ს. 1, ფურც. 50-62;
2. სცსა, ფ. 1969, აღწ. 4, საქ. 12;
3. სომხეთის ცსა, საქმე 12, ან. 2ს., ფურც. 15, გ. ხატისიანი ჩანაწერი, „ჩვენთვის სასარგებლო საქართველოს თან დაგვხვდეს საკითხი არა მარტო ნეიტრალურ ზონაზე, არამედ სასაზღვრო დავის ყველა საკითხზე“
4. სომხეთის ცსა, ფ. 114, ს. 56, ფურც.3, 4.

III. დოკუმენტური ფილმი:

1. სომხეთ საქართველოს ომი, იუთუბი <https://www.youtube.com/watch?v=F0j-GXfCSQo> (ნახულის 21 აგვისტო, 2021)

IV. პრესა:

1. გაზ. ბრძოლა, N. 39, 1917 წ. 21 ივნისი;
2. გაზეთი „რეზონანსი, 1996 წ. 21-22 მარტი;
3. გაზეთი „დრონი“ 1993, N 34;
4. გაზეთი “ერთობა“, N270, 1918 წ. 14 დეკემბერი;
5. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა, 1 მაისი, 1919 ელი, N 94;
6. გაზ. კვირის პალიტრა, 2010 წ. 1 ნოემბერი.

V. ინტერნეტ რესურსები:

1. ალესილი – ალესილი ხმლები. <https://ar-ar.facebook.com/SAQARTVELO.ERTADERTIA.01/posts/155722912947203/>, ნახულია 2021 წ. 22 აგვისტოს).
2. ანდერსენი – ენდრიუ ანდერსენი და გეორგ ეგგე, 1918 წლის სომხეთ-საქართველოს ომი და სომხეთ-საქართველოს ტერიტორიალური საკითხი XX საუკუნეში. ნაწ. 1. <https://iberiana.wordpress.com/armenia-georgia/somxet-saqartvelos-omi-1/> (naxulia 18 agvisto, 2021);
3. ანდერსენი – ენდრიუ ანდერსენი და გეორგ ეგგე, 1918 წლის სომხეთ-საქართველოს ომი და სომხეთ-საქართველოს ტერიტორიალური საკითხი XX საუკუნეში, მეორე ნაწილი, https://www.google.com/search?q=%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%97%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1+%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98&ei=xNkcYZCDJPAIAaU_KCADw&start=10&sa=N&ved=2ahUKEwiQ9YLPp7ryAhVjIMUKHRQ-CPAQ8tMDegQIARAZ&bi (ნახულია 19 აგვისტო, 2021);
4. ანდერსენი – ენდრიუ ანდერსენი და გეორგ ეგგე, 1918 წ. სომხეთ-საქართველოს ომი, III. <http://arma.ge/2019/11/07/2203/> (ნახულია 26 აგვისტო, 2021);
5. ბაგრამიანი – ბაგრამიანის ბატალიონი, https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98 (ნახულია 22 აგვისტო, 2021);
6. ისტორია – ისტორია ერთადერთ "პოლიტიკას" აღიარებს – ეს საკუთარი სიმაღლის დაცვა! დამარცხებული თავს გამარჯვებულად აცხადებს!..კვირის პალიტრა, 2010 წ. 1 ნომბერი. <https://www.kvirispalitra.ge/history/5447-saqarthvelo-somkhethis-omi.html> (ნახულია 2021 წ. 17 აგვისტოს);
7. ლორე – ლორეს პროვინცია. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1_%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90 (naxulia 2021 w. 19 agvisto)
8. სარაღიძე, – სარაღიძე ღ., სომხეთ-საქართველოს ხელშეკრულება 1919 <http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%>, naxulia 26 agvisto, 2021);წელს.
9. საქართველო – საქართველო-სომხეთის ომი. <https://sputnikgeorgia.com/columnists/20200317/247992631/saqarTvelo-somxeTis-omi-meoce-saukunis-dasawyisSi.html> (ნახულია 20 აგვისტო, 2021).
10. სილაქაძე – სილაქაძე ღ., სომხეთ-საქართველოს ომი – 1918. http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%97%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1_%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98_1918 (ნახულია 16 აგვისტო, 2021);

11. სომხეთი – სომხეთის რესპუბლიკის პირველი პრემიერმინისტრის სიტყვები სომხეთ-საქართველოს ომის შემდგომ <https://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%90/123641> (ნახულია 20 აგვისტო, 2021);
12. სულორი – *სულორი ვანო*, პარადოქსული ომი საქართველო სომხეთს შორის. <https://sputnik-georgia.com/columnists/20200317/247992631/>, ნახულია 20 აგვისტო, 2021);
13. ფორნხიძე – ფორნხიძე გვანცა სომხეთ-საქართველოს ომი <https://konpliqtebi2017.wordpress.com/2017/11/16/%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%97%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98/> (ნახულია 18 აგვისტო, 2021);
14. Armeno – Armeno-Georgian War of 1918 and Armeno-Georgian Territorial Issue in the 20th Century, http://www.conflicts.rem33.com/images/Georgia/arm_geor_war/E3.html, ნახულია 21 აგვისტო, 2021);
15. Bournoutian – George A. Bournoutian. The Politics of Demography: Misuse of Sources on the Armenian Population of Mountainous Karabakh. «Journal of the Society for Armenian Studies». — Society for Armenian Studies, 1999. — Vol.9. (https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%97-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1_%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98). (ნახულია 21 აგვისტო, 2021);
16. Лазы – Лазы – незаслуженно замалчиваемый историками «евроцентристами» выдающийся народ-государственник <https://kavkazplus.com/news.php?id=2476#.W3xXJiQzbIU>) (ნახულია 2018 წ. 3 სექტემბერი);
17. Лазы – Лазы: Севрский договор как смертный приговор для народа, Московский и Карский договора – как спасение. KavkazPlus (ნახულია 2018 წ. 3 სექტემბერი);
18. Первая – Первая всеобщая перепись населения Российской Империи 1897 г. Распределение населения по родному языку и уездам Российской Империи кроме губерний Европейской России, http://www.demoscope.ru/weekly/ssp/emp_lan_97_uezd.php?reg=566. (ნახულია 21 აგვისტო, 2021);
19. https://naxalovka.do.am/load/ts-39-aik-39itkhe/ts_39_ignebe_da_zhurnalebi/somkhet_sakartvelos_omi/13-1-0-1069 (ნახულია 23 აგვისტო, 2021)

VI. ფოტო ილუსტრაციები:

1. ფოტო 1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუკა. ირაკლი იაგორაშვილი, რა საზღვრებში ცნო საქართველო ერთა ლიგამ. <http://mythdetector.ge/ka/myth/ra-sazghvrebshi-tsno-erta-ligam-sakartvelo>. ნახულია 24 აგვისტო, 2021.
2. ფოტო 2. თურქეთის, საქართველოსა და გერმანიის პოსტების განლაგება სადემარკაციო ხაზის გასწვრივ (1918 წლის ივნის-სექტემბერში) მწვანე ხაზი თბილისის გუბერნიის საზღვარი- ბათუმის ხელშეკრულებით, ორმაგო წიტელ-ნარინჯისფერი – აღნიშნავს თურქეთის განლაგებას, წითელი ხაზი – საქართველო-სომხეთის თანამედროვე საზღვარი, წითელი ნახევარმთვარეებიანი აღმები- თურქული პოსტები, მუქი-ალუბლისფერი-ქართული, წითელ-შავ-თეთრი – აღმები გერმანიული პოსტები. <https://iberiana.wordpress.com/armenia-georgia/somxet-saqartvelos-omi-1/>
3. ფოტო 3. . გ. კვინიტაძე. გერმანელი და ქართველი ოფიცრები ბორჩალო-ში. <https://www.google.com/search?q> (ნახულია 24 სექტემბერი, 2021)
4. ფოტო 4. გენერალი წულუკიძე. <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00014432/> (ნახულია 24 აგვისტო, 2021)
5. ფოტო 5. ჯავშანმატარებელი. ფოტო საქართველოს ეროვნული არქივიდან. <https://civil.ge/ka/archives/270944>. ნახული 18 აგვისტო, 2021
6. ფოტო 6. გ. მაზნიაშვილის წიგნი „ ოგონებანი“. ფოტო თ. ფუტკარაძისა, 2021 წ. 16 მარტი)
7. ფოტო 7. გენერალი დრო. ენდრიუ ანდერსენი და გეორგ ეგგე, 1918 წ. სომხეთ-საქართველოს ომი, III. <http://arma.ge/2019/11/07/2203/> ნახულია 26 აგვისტო, 2021
8. ფოტო 8. სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ს. ტიგრანიანი. ენდრიუ ანდერსენი და გეორგ ეგგე, 1918 წ. სომხეთ-საქართველოს ომი, III. <http://arma.ge/2019/11/07/2203/> ნახულია 26 აგვისტო, 2021;
9. ფოტო 9. გენერალი მაზნიაშვილი. <https://www.google.com/search?q=%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%>. ნახულია 20 აგვისტო, 2021
10. ფოტო 10. ომის შემდეგ გამართული აღლუმი საქართველოს ეროვნულობილით. http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%97%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1_%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98_1918 (ნახულია 18 აგვისტო, 2021)

მერაბ მეგრელიშვილი

ჩაქვის საუფლისწულო მამულის ისტორიიდან

(აჭარის სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტური მასალის მიხედვით)

ჩაქვის საუფლისწულო სამმართველო დაფუძნდა 1894 წელს. საარქივო მასალებში გადმოცემულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: ბრძანებები ჩაის პლანტაციებისთვის მიწის ნაკვეთების გაფართოება, 1894-1913 წლებში ჩაის ნაკვეთების დახასიათებები, ღაუ ჯან ჯაუს მოგონებები, პარიზის და ჩრდილოეთ ამერიკის ქალაქ სენტ-ლუისში ჩატარებული სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, ინფორმაციები სამომხმარებლო საზოგადოების საქმიანობის შესახებ, მიმოწერები ჩინელ და იაპონელ სპეციალისტებთან და ა.შ.

1898 წლის 13 ივლისს კავკასიის სამაზრო მამულების სახელმწიფო ინსპექტორის მოხსენებაში საუბარია კავკასიის ტყის დიდი მნიშვნელობაზე და იქვე ყურადღება გამახვილებულია ხის უიშვიათეს ჯიშებზე, კერძოდ: მუხა, ცაცხვი, თელა, რცხილა, წიფელა, იფანი, ლაფანი წაბლი. შინდი [ასს. ფ. ი-22, ან. 1 ა, ს. 15, ფურც. 1-2]

1900 წელს პარიზში ჩატარდა მსოფლიო გამოფენა, სადაც წარმოადგინეს ჩაქვის საუფლისწულო მამულის ფოტოგრაფიული ალბომი. მასში ილუსტრირებულია ჩაქვის მაღლობზე არსებული მუხის ტყე, ხალას ურთხელის ტყე, როდოდენდრული მთის საფარი: გვიმრა, ბზის ხე, ფინიკის ხე, წაბლის, ბერძნული თხილი, ველური ბალახეული მცენარეები, ყვავილები და ა.შ. პარიზის გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სამ ჯგუფად დაყოფილი მთის, დაბლობის, ზეგანის ფლორა, ტიპიური ხის ჰერბარიუმი, ჩაქვის ველური ჯიშის ხეები, რომელიც იაპონური კოლექციის იდენტური იყო. მსოფლიო გამოფენაზე განსაკუთრებული სიღამაზით გამოირჩეოდა ჩაქვის ტიპიური საცხოვრისი, თავისი სათავსოებით, შრომის იარაღებით. ალბომში მარავალფეროვანი სახით იყო წარმოდგენილი ჩაქვში მცხოვრები მოსახლეობის სამოსელი. პარიზის გამოფენაზე წარმოდგენილი სასოფლო სამეურნეო პროდუქტებიდან აღსანიშნავია ფურცლოვანი კომბოსტო, მშრალი ბრინჯი, სიმინდი, ღომი, სუპტროპიკული ნაყოფი, შინდი, ვაშლი მსახალი, დაფნა, აბრეშუმის პარკი, შინაური ცხოველების საკვები (პიატილაპკა, მაღაპა), პარიზის საგამოფენო დარბაზში წარმოჩნდა სამეცნიერო გამოკვლევები, ჩაქვის მრავალფეროვანი ბუნების ამსახვეელი ი.ნ. კლინგენის ფოტორეპროდუქცია, რომლის ნეგატივები ინახებოდა ფოტოგრაფ ე.ე. კრიუგერის სალონში [ასს. ფ. ი-22, ან. 1 ა, ს. 15, ფურც. 7]

მსოფლიო გამოფენაზე ჩაქვის ჩაი დააჯილდოვეს ოქროს მედლით, რომელსაც ამშვენებდა წარწერა „მსოფლიოში საუკეთესო კონსტანტინე პოპოვის კავკასიური ჩაი“

1902 წლის 13 თებერვალს საფრანგეთის მოქალაქე პოლ მუშანი ჩაქვის საუფლისწულო მამულის მმართველისადმი გაგზავნილ წერილში მოკრძალებით მიანიშნებს ჩაქვსა და ქუთაისში სელის ბოჭკო “რამის” წარმოებაზე [ასს. ფ. ი-22, ან. 1 ა, ს. 118, ფურც. 23]

1904 წელს ჩაქვის საუფლისწილო მამული მონაწილეობას იღებდა ჩრდილოეთ ამერიკის ქალაქ სენტ-ლუისში მოწვობილ მსოფლიო გამოფენაზე, რო-

მელზეც წარმოდგენილი იყო ადგილობრივი და შემოტანილი ბამბუკის ჯიშები. ჩაქვში შემოტანილი ჩაის ჯიშებიდან აღსანიშნავია ნინდ ჯაუ, კანგრა, იან-ლა-უდუნი, ჩაქვის საუფლისწულო მამულში აწარმოებდნენ ბამბუკის უცხო ჯიშების კულტივირებას, კერძოდ მოსო, მადაკე, აომემადაკე და მიტი. [ასს. ფ. ი-22, ან. 1 ა, ს. 337, ფურც. 64]

განსაკუთრებული ინტერესით იკითხება ჩაქვის ჩაის შესახებ კიევის სამხედრო-ჰოსპიტალურ – ჰიგიენური ლაბორატორიის დასკვნა. მასში წარმოდგენილია ჩაქვის ჩაის, ცვილონის და ჩინეთის ჩაის კულტურასთან შედარებითი ანალიზი, გადმოცემულია ხარისხიანი ჩაის გამოცნობის მეთოდთა და დამზადების ტექნოლოგია. ჩინური ჩაი მზადდებოდა კუსტარული წესით, მცირე ზომის ფაბრიკებში, ჰიგიენური წესების დაუცველად, ხოლო ცვილონის ჩაი დიდ ფაბრიკებში, ტექნიკური დანადგარებით. იგი შეიცავდა ორჯერ მეტ კოფეინს. ქიმიური შემადგენლობით ქართული ჩაი მსგავსია ჩინური ჩაის, მაგრამ განსხვავებულია ცვილონურისგან, რომელიც კოფეინის მეტ რაოდენობას შეიცავს. ჩაქვის ჩაი გამოირჩევა სასიამოვნო, არომატული გემოთ და ინტენსური შეფერილობით. ჩაქვის საუფლისწულო მამულში ამზადებდნენ ჩაის სახეობას „სოლდაცი კრეპი“ და „კროშკა“ [ასს. ფ. ი-22, ან. 1 ა, ს. 147, ფურც. 29]

1898 წლის 5 მარტს რუსეთის ხელისუფლებამ გამოსცა კანონი მიწის საკუთრების შესახებ, რომლის საფუძველზე ჩაქვის საუფლისწულო მამულს გადაეცა სასოფლო საზოგადოების მიწები, კერძოდ: დიდი ჯამეს (ხალა) გორგაძეების, სახალვაშოს, ჩაქვისთავის, აჭყვის, ასევე მუხაჯირად წასული მოსახლეობის მიწები, სულ 16, 337 დესეტინა. მიწის გეგმის შედგენის დროს გლეხთა სარგებლობაში იყო 5773,90დეს. მიწა, კერძო მესაკუთრეთა და საზღვრის დამცველთა მფლობელობაში არსებული 281,55 დეს., ამიერკავკასიის რკინიგზას მიაკუთვნეს 8,15 დესეტინა მიწა, რომელ სივრცეშიც გლეხებს გააჩნდათ სათესი და საძოვარი ადგილები. მართალია ადგილობრივ მცხოვრებლების ჰქონდა ტყით სარგებლობის უფლება, მაგრამ ეკრძალებოდათ ტყის მასალის გაყიდვა [ასს. ფ. ი-22, ან. 1 ა, ს. 22, ფურც. 18]

კავკასიის სამაზრო მამულის ინსპექტორის წერილებში საუბარია რუს ლტოლვილთა მიერ ჩაქვის საუფლისწულო მიწების კოლონიზაციის შესახებ. რუსეთის ხელისუფლებამ კინტრიშის უბანში (სოფელი დიდი ჯამე) მცხოვრები პიტოვოლდი გაასახლეს თურქეთში და მისი მიწა სახელმწიფოს გადასცეს [ასს. ფ. ი-22, ან. 1 ა, ს. 22, ფურც. 2]

1879 წლის 27 იანვარს, რუსეთ-თურქეთს შორის არსებული კონსტანტინეპოლის ტრაქტატის საფუძველზე (სტ. VII) პიტოვოლდის, როგორც მუხაჯირს ჰქონდა კუთვნილ მიწაზე საკუთრების უფლება, მაგრამ წაართვეს იმ მიზეზით, რომ მან მიიღო თურქეთის მოქალაქეობა და რამდენჯერმე თურქეთში გადავიდა. მუხაჯირს უარი უთხრეს რუსეთის მოქალაქეობაზე [ასს. ფ. ი-22, ან. 1 ა, ს. 22, ფურც. 2]

1919 წლის 25 თებერვალს სახალვაშოს ჩაის პლანტაციის ზედამხედველი კიხელიძე ჩაქვის საუფლისწულო მამულის მმართველს გადასცემს ბათუმში მცხოვრები 560 ლტოლვილი ბერძენის თხოვნას ჩაქვის მამულში დასახლების შესახებ [ასს. ფ. ი-22, ან. 1 ა, ს. 502, ფურც. 3]

1919 წლის 15 მარტს ჩაქვის საუფლისწულო მამულის მმართველი მოითხოვს შეიქმნას მამულზე თურქული არმიის მიერ მიყენებული ზარალის შემსწავლელი კომისია. ასევე მიმართვაში აღნიშნულია, რომ ქართული ჯარების გასვლის და თურქული ჯარების შემოსვლის შემდეგ ჩაქვის საუფლისწულო მამულის მოსამსახურეებს შორის დაიძაბა ურთიერთობა. გაჩნდა შიში, რადგან თურქებმა დაიწყეს მოსახლეობის პირადი ქონების ძარცვა. ჩაქვის მამულის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა პოლკოვნიკ კოროლიოვის რაზმი. ჩაქვის მამულში ენვერ ფაშას მოსვლის შემდეგ დაძაბულობა ფორმალურად განიმუხტა [ასს. ფ. ი-22, ან. 1 ა, ს. 502 ფურც. 6]

ჩაქვის საუფლისწულო მამულში ჩაის კულტურის განვითარების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის, რგორც ქართველ, ისე რუს და ჩინელ სპეციალისტებს.

1909 წელს ჩაქვის ჩაის ფაბრიკის გამგე ლაუ ჯან ჯაუ(იგივე ლიუ ჩჰაო პენ, ლიუ ციუნჩოუ) დააჯილდოვეს არაქრისტანებისთვის განკუთვნილი წმინდა მე -3 ხარისხის ორდენით. აღნიშნულ თანამდებობაზე იგი 1901 წლიდან იმყოფებოდა. მისი ძირითადი ხელფასი შეადგენდა 1800 მანეთს. დაბადებულია 1872 წლის 7 იანვარს ჩინეთში, კანტონის პროვინციაში, ხაკის საგვარეულო. მეუღლე ლაუ იუ ტვა, ვაჟიშვილები ლაუ სიუ ჯაუ და ჯაკვა, ქალიშვილები კიუნა, მაია, სანსანი და ნოო. ლაუს უფროსი შვილი სწავლობდა ბათუმის გიმნაზიაში, მისი მეუღლე იყო ნონა თუმანიშვილი. ლაუ თავისუფალ დროს უთმობდა ნადირობას და ცხენოსნობას. მას ჰყავდა ინგლისური ჯიშის ცხენები „დოლი“ და „გალტიმორი“, რუსული „რისაკი“ და კავკასიური ყარაბადი. სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულმა ლაომ არ მიიღო რუსეთის მოქალაქეობა. იგი ქართველებში დიდადთ აფასებდა პატრიოტიზმს და უფროსებისადმი პატივისცემას. [ასს. ფ. ი-22, ან. 1 ა, ს. 58, ფურც. 15]

1893 წლის 4 ნოემბერს ლაუ ჯან ჯაუ 9 სპეციალისტთან ერთად ჩინეთიდან მოიწვია ჩაით მოგატრე კონსტანტინე სიმონისძე პოპოვმა. მან ლაუს კაპრეშუმში საჩუქრად გადასცა ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი. ჩაქვში ჩამოსული 8 ჩინელი მაღარიით გარდაიცვალა, ერთი კი ჩინეთში დაბრუნდა. ლაუმ ჩინეთიდან ჩამოიტანა 1000 ფუთი ორიგინალური ჩაის ბუჩქი და იგი გააშენა ჩაქვში, სალიბაურში და კაპრეშუმში.

პოპოვის ჩაის ფაბრიკა რუსეთის რევოლუციების და თურქების შემოსევების დროს რამდენიმეჯერ დაიხურა და ისევ გაიხსნა. 1923 წლის 31 ოქტომბერს პოპოვის და აგილობრივი კერძო მფლობელების ჩაის პლანტაციებს ეკავა 850 დესეტინა მიწა. ლაუს სურვილი ჰქონდა გაეხსნა მისი სკოლა და საცდელი სადგური, მაგრამ მან ამის გაკეთება ვერ შეძლო. 1901 წელს ჩაქვის საუფლისწულო მამულის აგრონომი იყო ვ.ო. სიმენსონი. მან ჩინეთიდან ჩამოიტანა ზეთოვანი ხე „ტუ დუი შუ“, ნატურალური ტილოს ხე რამი“, (ამზადებდნენ პორტრეტს, ჩარჩოს, გობელენს) იაპონური ხე „მიცუმიტი“ (ამზადებდნენ ქაღალდს) და სოიო. სოიოსგან ამზადებდნენ ზეთს, კარაქს და საქონლის საკვებს. მან ჩაქვში ასევე გააშენა იაპონური წაბლის ხე „ნუმბო“, მანდარინი „უნშუ“, ამერიკული ვაშინგტონი -კაველი, ციტრო, ჯინჯარი და ბამბუკი.

1913 წელს ჩაქვის საუფლისწულო მამულის მმართველი იყო ვ.ა. პეტროვი, იგი შეცვალა, კ. ს. ილიაშენკომ. 1903 წლის 14 ოქტომბერს ჩაქვის საუფლისწულო მამულის მმართველ ვიქტორ ოტონის ძე სიმენსონს და ლითონის ხიდის მშენებელ, თურქეთის მოქალაქე კონსტანტინე ნიკოლოზის ძე რომანუს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, ჩაქვის წყალზე 12 საუენი რკინის ხიდის მშენებლობის შესახებ. ინჟინერმა ზახარინმა წარმოადგინა 5500 მანეთის ღირებულების პროექტი. ხიდის მასალა შემოიტანეს რუსეთის ქარხნიდან. 1904 წლის 15 მარტისთვის დაგეგმილი იყო ხიდის გახსნა. დაგვიანების შემთხვევაში ყოველდღიური ჯარიმა შეადგენდა 10 მანეთს [ასს. ფ. ი-22, ან. 1 ა, ს. 29, ფურც. 1]

1916 წელს ჩაქვში ჩამოვიდა კავკასიის არმიის სარდალი, დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე. ამ პერიოდში იმერატორის ნებართვის გარეშე უცხოელებს აეკრძალათ ქალაქის საზღვრებში მიწის ყიდვის უფლება.

1916 წლის 23 ნოემბერს გენერალი ვოლსკი ხელს აწერს ბრძანებას ჩაქვის საუფლისწულო მამულში დასაქმებულ პირთა სამხედრო ვალდებულების შესახებ. ჩაქვის საუფლისწულო მამულში მეზობელი გურიიდან ჩამოდიოდნენ სამუშაოდ. რუსეთის ხელისუფლება სამუშაოს სანაცვლოდ მათ აკისრებდა სამხედრო ვალდებულებას. [ასს. ფ. ი-22, ან. 1 ა, ს. 403, ფურც. 86-87] ჩაქვის საუფლისწულო მამულში ოფიციალური ენა იყო რუსული, მიუხედავად იმისა, რომ მასში დასაქმებულთა 90 პროცენტს ქართველები შეადგენდნენ.

1920 წელს ჩაქვის საუფლისწულო მამული გადაეცა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. 1921 წელს ლაუ ჯან ჯაუ გაამწესეს სამუშაოდ აჭარის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში. იგი უპირატესობას ანიჭებდა ჩაის წარმოების კუსტარულ წესს. 1925 წელს ლაუ ჯან ჯაუ დააჯილდოვეს შრომის წითელი დროშის ორდენით. ჩაქვის ჩაის საცდელ მეურნეობაში მოღვაწე ქსენია ბახტაძემ შექმნა მისი სახელობის ქართული ჩაი. დღეს ქართული ტრადიციული ჩაის განვითარების საქმეს ემსახურება ანასეულის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი.

დასკვნის სახით წარმოგიდგენთ აკადემიკოს ლადი პაპავას მოსაზრებას. იგი აღნიშნავს, რომ დღეს თუ საქართველოში ჩინეთის პროექტი „ერთი გზა ერთი სარტყელი“ განხორციელდა. მაშინ სატრანსპორტო დერეფანთან ერთად საქართველო გახდება მწარმოებელი ქვეყანა.

დანართის სახით წარმოგიდგენთ ჩაქვის საუფლისწულო მამულის ისტორიის ამსახველ დოკუმენტურ მასალას.

А к т ъ.

1898 года Марта 5 дня, я, Управляющій Чаквинским Удѣльнымъ Имѣніемъ, Статскій Совѣтникъ Снѣжковъ, согласно предложенія Господина Инспектора Кавказскихъ Удѣльныхъ имѣній отъ 5 Февраля 1898 года за № 170, во исполненіе предписанія Главнаго Управленія Удѣловъ на имя Инспектора Кавказскихъ Удѣльныхъ имѣній, основанному на состоявшемся 29 Апрѣля—2 Мая 1897 года соглашеніи Господина Министра Императорскаго Двора и Удѣловъ съ Господиномъ Министромъ Земледѣлія и Государственныхъ Имуществъ, о передачѣ Удѣльному Вѣдомству Чаквинской Казенной дачи въ полномъ ея размѣрѣ со всѣми правами, какія Министерству Земледѣлія и Государственныхъ Имуществъ принадлежать, или могутъ возникнуть для него и всѣхъ обязательствъ этого Министерства по названной дачѣ, въ присутствіи Господина Начальника Кинтришскаго участка Штабсъ-Капитана Рѣзанова и нижеподписавшихся понятыхъ, принялъ отъ Управленія Государственныхъ Имуществъ Кутаисской губерніи въ лицѣ Г. Батумскаго Лѣсничаго Коллежскаго Ассесора Титтенбруна, согласно предписанія сего же Управленія отъ 5 Іюня 1897 года № 7218, всѣ земли, лѣса и уголья Чаквинской дачи какъ казенныя и мухеджирскія, состоящія въ вѣдѣніи Государственныхъ Имуществъ, такъ и находящіяся во владѣніи и пользованіи кореннаго населенія четырехъ сельскихъ обществъ и пяти селеній и одного отселка: Диди Джами, Хала съ селеніемъ Георгалзе, Халваши и Чаквисъ-Тави и отселкомъ Ачкуча Кинтришскаго участка Батумскаго Округа Кутаисской губерніи, пространствомъ, согласно плана, составленнаго въ 1894 году чинами Министерства Земледѣлія и Государственныхъ Имуществъ въ общей сложности 16377,70 дес. изъ коихъ во время составленія плана было: въ пользованіи крестьянъ 5773,90 дес., частныхъ лицъ и пограничной стражи 281,55 дес., во владѣніи Закавказской жел. дороги 8,15 дес., во владѣніи казны 10314,10 дес. Границами Чаквинской дачи служатъ, съ сѣвера: начиная отъ берега Чернаго моря границей служить Ачкучейская казенная дача до вершины горы Кирчхели, а затѣмъ границей служить хребетъ Хала до вершины горы Тератъ, затѣмъ идетъ по водораздѣлу до горы Телатхеви и до горы Мелисъ-Цихе. Съ востока: начиная отъ вершины горы Мелисъ-Цихе по водораздѣлу и направляясь нѣсколько къ югу до вершины горы Чаквисъ-Мта, по водораздѣлу же до вершины Аджарисъ-Хели и на вершину горы Махунцетисъ-Тави, затѣмъ направляясь на вершину Хархалисъ-Тави, хребетъ Ахло-Тави, Намцварисъ-Тави, гора б. Тирала, хребетъ Каранисъ-Тави, гора Цхемебисъ-Саканэ, гора Джвари по хребту Бебисъ-Сеули до вершины Агарисъ-мта (Огія сыртъ), затѣмъ по водораздѣлу, отдѣляющему Махинджаурскую дачу отъ передаваемой до тунеля и моря. Съ запада—Черное море. На пространствѣ этомъ расположены деревни названныхъ обществъ—ко дню передачи: Диди-джамъ съ 38 дымами, Хала—шестьдесятъ два дыма, Георгалзе—семнадцать, Халваши—двенадцать, Чаквисъ-тави сорокъ восемь дымовъ и отселокъ Ачкуча—двадцать одинъ дымъ, а всего двѣсти пять дымовъ. Жители помянутыхъ селеній имѣютъ на этомъ пространствѣ, среди лѣсовъ и на открытыхъ мѣстахъ, въ пользованіи своємъ пахотныя и пастбищныя земли, а потому съ передачей лѣсовъ, земель и угодій названныхъ обществъ во владѣніе Управленія Чаквинскимъ Удѣльнымъ Имѣніемъ, впредь до рѣшенія общаго вопроса о поземельномъ устройствѣ населенія Батумскаго Округа, оставляется за кореннымъ мѣстнымъ населеніемъ право пользованія впредь, по прежнему, всѣми находящимися нынѣ въ пользованіи названнаго населенія, на передаваемомъ пространствѣ, пахотными, пастбищными и другими землями и лѣсами, при чемъ пользованіе послѣдними, т. е. лѣсами, выражается въ безпощинной рубкѣ и вывозкѣ населеніемъ лѣсныхъ матеріаловъ, дровъ и т. п. собственно для сельскохозяйственныхъ своихъ нуждъ, но не для продажи. Независимо отъ сего изъ передаваемой площади должно быть выдѣлено, въ будущемъ, необходимое количество земли и лѣса для нуждъ населенія, если въ томъ встрѣтится надобность при рѣшеніи поземельнаго вопроса въ Округѣ. Сдастъ Батумскій Лѣсничій Титтенбрунъ. Принялъ Управляющій Чаквинскимъ Удѣльнымъ Имѣніемъ Г. Снѣжковъ. Начальникъ Кинтришскаго участка Штабсъ-Капитанъ Рѣзановъ и Старшина сел. Ачкуча Семенъ Еленевъ. При передачѣ присутствовали Старшины и выборные отъ всѣхъ нижепоименованныхъ селеній: съ Хала и Георгалзе—Мемедъ али Васалзе, с. Диджамъ—Сулейманъ Коршубалзе, с. Чаквисъ-тави—Ади Чаушъ Зоидзе, с. Халваши—Халитъ Шарабидзе и выборныхъ 15—20 челов. отъ каждаго сельскаго общества. Актъ сей имъ объявленъ, но отъ подписи такового всѣ отказались. Начальникъ Кинтришскаго участка Штабсъ-Капитанъ Рѣзановъ. Съ подлиннымъ вѣрно: Письмоводитель Липовецкій. Августа 4 дня 1898 г. № 843.

МИНИСТЕРСТВО
ИМПЕРАТОРСКАГО
ДВОРА
и
УДѢЛОВЪ.

ГЛАВНОЕ УПРАВЛЕНІЕ
УДѢЛОВЪ.

2. ДѢЛОПРОИЗВОДСТВО.

Г. Управляющему Чаквинскимъ Удѣль-
нымъ имѣніемъ.

15. Дек. 4/93 1903.

№ 6252

Ваше письмо от 12.12.1903. г. № 6252. В нем сообщается о доставке образцов почвы и подпочвы чайной плантации и питомника. Каждый образец до 5 фунтов. 2. Образцы семян чайных пород с показанием всхожести и продажной цѣ.

Ваше письмо от 12.12.1903. г. № 6252. В нем сообщается о доставке образцов почвы и подпочвы чайной плантации и питомника. Каждый образец до 5 фунтов. 2. Образцы семян чайных пород с показанием всхожести и продажной цѣ.

Ваше письмо от 12.12.1903. г. № 6252. В нем сообщается о доставке образцов почвы и подпочвы чайной плантации и питомника. Каждый образец до 5 фунтов. 2. Образцы семян чайных пород с показанием всхожести и продажной цѣ.

Въ виду послѣдовавшаго ВЫСОЧАЙШАГО
повелѣнія объ участіи Удѣловъ на Всемир-
ной выставкѣ 1904 года въ г. С.Луи въ
Америкѣ, при чемъ среди прочихъ экспона-
товъ предполагается выставить и Чаквин-
скій удѣльный отдѣлъ, Главное Управление
Удѣловъ поручаетъ Вашему Высокоблагоро-
дію въ возможно скорѣйшемъ времени: А.
изготовить нижеслѣдующіе экспонаты: I. Кол-
лекцію образцовъ почвы и подпочвы чайной
плантации и питомника. Каждого образца
до 5 фунтовъ.

2. Образцы сѣмянъ чайныхъ породъ
съ показаніемъ всхожести и продажной цѣ.

Стопай
Взятая из Военно-Медицинского Журнала за Август 1902

РУССКІЙ ЧАКВИНСКІЙ ЧАЙ.

[Изъ гигиенической лабораторіи при Кіевскомъ военномъ госпиталѣ.]

И. И. Кі я н и ц ы н а.

Старш. врача Кіев. артилл. склада, Прив. - доц. Унив. Свят. Владимира.


Имѣя въ виду, съ одной стороны, большое значеніе чайнаго довольствія нижнихъ чиновъ, которое получаетъ все большее и большее распространеніе, благодаря полковымъ лавочкамъ, съ другой - дороговизну даже дешевыхъ сортовъ чая, которые къ тому же весьма часто фальсифицируются, является весьма желательнымъ введеніе среди нижнихъ чиновъ Чаквинскаго чая, этого отечественнаго продукта, могущаго произростать въ нѣкоторыхъ областяхъ нашей Имперіи.

Исходя изъ этихъ соображеній, я взялъ на себя трудъ, по предложенію Окружнаго Военно - Медицинскаго инспектора Кіевскаго округа Э. Ф. Г о р б а д е в и ч а, препроводившаго мнѣ этотъ чай, подвергнуть его химическому анализу, съ цѣлью количественнаго опредѣленія въ немъ главныхъ составныхъ частей его [кофеина], дубильныхъ веществъ, эфирнаго чайнаго масла, экстрагируемыхъ водой веществъ вообще, воды изоли.)


По словамъ газеты "Кавказъ", чайное дѣло въ окрестностяхъ Батума сильно развивается. Въ Чаквѣ, удѣльномъ имѣніи, въ 1902 году производили сборъ чая съ 55 десятинъ. Первый сборъ въ Апрель и Май далъ 76.325 фунтовъ сырого листа; второй сборъ въ Іюнь далъ 62.430 ф., третій въ Сентябрь далъ 37.412 ф., четвертый же сборъ въ Октябрь далъ весьма малый урожай. Всего сырого матеріала было 116.165 ф., изъ этого количества получено свыше 40.000 фун. сухого, обработаннаго чая. Частными плантаторами собрано было всего 6.829 фунтовъ сырого листа. Изъ 4 $\frac{1}{8}$ фунта сырого листа получается 1 ф. сухого обработаннаго чая. Такимъ образомъ изъ урожая 1902 года на рынокъ поступать въ розничную продажу свыше 44.000 фунтовъ нашего русскаго чая.

Анализъ Чаквинскаго чая, насколько-инѣ извѣстно, до сихъ поръ не произведено, а потому въ въ интересахъ дальнейшей культуры его и болѣе широкаго распространенія у насъ эти анализы весьма желательны.

Анализъ Чаквинскаго чая [дѣною въ 60к. за фунтъ, безъ пересылки] произведенъ мною на слѣдующія составныя части и



[ახს. ფ. 0-22, აბ. 1 ა, ბ. 29, ფურც. 55]



[ახს. ფ. 3-4, აბ. 1 ბ. 49, ფურც. 51]

გამოყენებული წყაროები:

- ასს. ფ. ი-22, აფ. 1 ა, ს. 15-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-22 ანაწერი 1 ა, საქმე N15
- ასს. ფ. ი-22, აფ. 1 ა, ს. 118-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-22 ანაწერი 1 ა, საქმე N118
- ასს. ფ. ი-22, აფ. 1 ა, ს. 337-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-22 ანაწერი 1 ა, საქმე N337
- ასს. ფ. ი-22, აფ. 1 ა, ს. 22 -აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-22 ანაწერი 1 ა, საქმე N22
- ასს. ფ. ი-22, აფ. 1 ა, ს. 502-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-22 ანაწერი 1 ა, საქმე N502
- ასს. ფ. ი-22, აფ. 1 ა, ს. 58-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-22 ანაწერი 1 ა, საქმე N58
- ასს. ფ. ი-22, აფ. 1 ა, ს. 403-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-22 ანაწერი 1 ა, საქმე N403
- ასს. ფ. ი-22, აფ. 1 ა, ს. 32 -აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-22 ანაწერი 1 ა, საქმე N32
- ასს. ფ. ი-22, აფ. 1 ა, ს. 147-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-22 ანაწერი 1 ა, საქმე N147
- ასს. ფ. ი-22, აფ. 1 ა, ს. 29 -აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-22 ანაწერი 1 ა, საქმე N29

Merab Megrelishvili

From the History of the Chakvi County (According to the documentary sources kept in the State Archive of Ajara)

Summary

The Chakvi county was established in 1894. The archival materials address important issues such as: Orders to expansion of land for tea plantations, characteristics of tea plots in 1894-1913, information about activities of consumer society, memoirs of Lau Jen Zhao, Agricultural exhibition materials in rural areas in Paris and North America, Correspondences with Chinese and Japanese specialists, etc.

ჩრდილოეთის რენესანსი – გერმანული სკოლა

აღორძინების ეპოქა ერთ-ერთი უნიკალური, ღირშესანიშნავი პერიოდია კაცობრიობის ისტორიაში. მისი კულტურული ცხოვრება განსაკუთრებული მრავალფეროვნებით და ინტენსიურობით გამოირჩევა, ხოლო მიმდინარე პროცესები – ევოლუციის განსაკუთრებული სისწრაფით.

ჩვენი მიზანია შეძლებისდაგვარად წარმოვაჩინოთ ჩრდილოეთ რენესანსის, კერძოდ, გერმანიის XV-XVI ს.ს. ხელოვნება, რომელსაც იტალიური აღორძინების ხელოვნებისაგან განსხვავებით საფუძვლად არ ედო რაიმე თეორიული მოძღვრება ან მეცნიერულად შემუშავებული მეთოდები, არც ანტიკური მემკვიდრეობის გავლენას განიცდიდა.

როგორც ცნობილია, XV-XVI ს.ს. მიჯნაზე გერმანიაში, ისევე როგორც დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში ვითარდება შინაარსობრივად და ფორმით სრულიად ახალი ხელოვნება, რომელსაც ხელოვნებათმცოდნეობის ლიტერატურაში აღორძინების ეპოქას უწოდებენ. ახალი ხელოვნება ყალიბდება შუა ს.ს.ების მხატვრულ კულტურასთან ბრძოლაში. ჩნდება ინტერესი რეალური სამყაროსადმი და ხელოვნების უმთავრეს საგნად იქცა ადამიანი, მისი ფიზიკური და სულიერი სილამაზე. გერმანული ხელოვნება ადამიანისადმი აღტაცებული დამოკიდებულებისა და სამყაროს რეალისტურად ასახვის მიუხედავად, ყოველთვის რელიგიურ ხასიათს ატარებდა. ეს გამოწვეული იყო იმ პერიოდში რელიგიური ბრძოლის გამწვავებით. ბევრი ხელოვნების ნიმუში აღსავსე იყო რელიგიური განცდებით, უკიდურესი ექსპრესიით და მისტიურობით. მძაფრ სოციალურ ბრძოლასთან დაკავშირებულმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და რელიგიურმა პრობლემებმა გერმანულ ხელოვნებაში ჰპოვეს ასახვა.

XV-XVI ს.ს.ში ტერიტორიულად დანაწევრებულ, მაგრამ ეკონომიკურად ძლიერ გერმანიაში ვითარდება ახალი სოციალური ფენა-ბიურგერობა, რომელიც ეკონომიკური და პოლიტიკური თვითდამტკიცებისთვის იბრძვის, მაგრამ ეს შეუძლებელი ხდება სუსტი საერო ხელისუფლებისა და რომის კათოლიკური ეკლესიის ძლიერი გავლენის გამო. მაშინ ბიურგერობა თავის ბრძოლას რელიგიური საფარველით მოსავს. ინდივიდუუმის უშუალო კავშირი ღმერთთან, სამღვდულოების გარეშე. ა ეს იყო ახალი სოციალური ფენის მთავარი მოთხოვნა და მტკიცე საფუძველი. ამ პერიოდის ხელოვნება დაკავშირებული იყო მხატვართა ერთ თაობასთან, რომელიც XV ს.ის 70-80 წლებში დაიბადნენ (დიურერი, ჰოლბეინ უმცროსი, გრიუნევალდი, კრანახი). ჰუმანისტური იდეალების დაფუძნება, ანთროპოცენტრიზმი, სამყაროს რეალობათა აღმოჩენა, ბუნების განზოგადოებული ჩვენებისადმი სწრაფვა, ეთიკური და რელიგიური პრობლემებით დაინტერესება – აი, ის მთავარი ამოცანები, რომელსაც ეს მხატვრები თავიანთ შემოქმედებაში ეხებოდნენ. ამავე დროს მათ შემოქმედებაში ძლიერდება ინტერესი ჟანრულ-ყოფითი ელემენტებისაკენ. იკარგება წარსული რწმენა ადამიანისა და მისი გარემომცველი სამყაროს განუყოფლობის შესახებ. კონკრეტიზაციის პროცესს მიყვავართ რეალური ცხოვრებისეული ეპიზოდების ჟანრულ-ყოფითი ხასიათის სურათების შექმნისკენ. მხატვრის მსოფლმხედველობა ვიწროვდება. მას უკვე

ინტერესებს ადამიანი ყოველდღიურ გარემოცვაში, კონკრეტულ ყოფით ინტერირში. უფრო მეტი ყურადღება ექცევა გარემოს, საყოფაცხოვრებო ნივთებს, პეიზაჟისა და ნატურმორტის გადმოცემას. სწრაფვა კონკრეტულობისაკენ, ინდივიდუალობისაკენ და ქანრულ-ყოფითი საწყისების გაძლიერებისაკენ – აი ის საერთო ნიშნები, რაც გერმანიის აღორძინების ხელოვნებისთვისაა დამახასიათებელი. მნიშვნელოვანწილად ჩვენი ინტერესი გერმანული ფერწერისადმი გამოწვეულია გერმანული აღორძინების ბრწყინვალე წარმომადგენლების ალბრეხტ დიურერისა (1471-1528წ.წ.) და ლუკას კრანახის (1472-1553წ.წ.) ძალზე მრავალმხრივი და ამასთანავე ურთიერთსაპირისპირო მოვლენებით აღსავსე შემოქმედებით.

ალბრეხტ დიურერი დაიბადა 1471წ. ნიურნბერგში. მას შფოთიან დროში მოუხდა ცხოვრება. ეს იყო რეფორმაციისა და გლეხთა დიდი ომების ეპოქა. თუმცა ამ დროს გერმანიის მოწინავე ადამიანები ცდილობდნენ კათოლიკური ეკლესიით გამოწვეულ საერთო უკმაყოფილებისადმი დაეპირისპირებინათ მეცნიერული ცოდნა და ადამიანის ზნეობრივი ღირსება. რენესანსის სხვა უნივერსალური პიროვნებების მსგესად ა. დიურერსაც გააჩნდა ის მრავალმხრივი მისწრაფებები, რაც გამოიხატა ფერწერაში (70 ფერწერული შედევრი) გრაფიურაში (100 გრაფიურა სპილენძზე, 350 ხეზე კვეთილი გრაფიურა), თეორიულ შრომებში („ოთხი წიგნი პროპორციების შესახებ“), საინჟინრო ხელოვნებასა და მათემატიკაში. იგი ბევრს მოგზაურობდა იტალიასა და ნიდერლანდებში. კარგად იცნობდა კუმანიტარულ ფილოსოფიასა და ლიტერატურას, ის ერთ-ერთი უდიდესი ევროპელი გრაფიორია. მის პირველ დიდ ნამუშევარს უმაღლეს წარმატება ხვდა წილად. ეს გახლდათ ხის დიდი გრაფიურების სერია წმ. იოანეს „გამოცხადების“ დასურათებით. „მანამდე არავის ეჩვენებინა ასეთი სიძლიერითა და ძალმოსილებით განკითხვის დღის საშინელებანი, მისი მოახლოების ნიშნები და მინიშნებანი. დიურერის წარმოსახვას და მის მიმართ საზოგადოების ინტერესს, ეჭვი არაა კვებავდა ეკლესიის ინსტიტუციების მიმართ საზოგადო უკმაყოფილება, რომელიც გერანიაში შუა საუკუნეების მიწურულს მომძლავრდა და ლუთერის რეფორმით დაგვირგვინდა (გომბრიხი ე.პ.2012:345).

საგანგებო ინტერესს იწვევდა მის შემოქმედებაში ადამიანის სხეულის გამოსახვა იდეალური მშვენიერებით. ერთ-ერთი პირველი ამ კვლევა-ძიების გახლავთ გრაფიურა „ადამი და ევა“, რომელსაც მხატვარმა ლათინურად წააწერა „ნიურნბერგელმა ალბრეხტ დიურერმა გააკეთა 1504 წელს“. მისი შემოქმედებაში ძალიან მნიშვნელოვანია ცნობილი ციკლი „აპოკალიფსი“ (1498წ.) რომელიც 15 გრაფიურას შეიცავს და წმინდა წერილის სიუჟეტებს გადმოგვცემს. „აპოკალიფსი“ ფანტასტიკური სახეებით გადმოცემული სახარების ილუსტრაციაა. ა. დიურერი ამავე დროს უდიდესი პორტრეტისტია. მისი პორტრეტებიდან გამორჩეულია მამის პორტრეტი (1490წ, უფიცის გაღერება), ქალის პორტრეტი (1506წ. სურათების გაღერება ბერლინ-დალეში), დედის პორტრეტი (1514წ, ბერლინ-დალეში), ჭაბუკის პორტრეტი (1521წ. დრეზდენის გაღერება), ერაზმ როტერდამელის პორტრეტი (1526წ. გრაფიურა სპილენძზე) და სხვა პორტრეტები. ასევე ძალიან მრავალფეროვანია 1493წ. (ლუერში), 1498წ. (პრადოში), 1500წ. (მიუნხენში) დაცული მისი ავტოპორტრეტები. მისი შემოქმედების უმაღლესი მიღწევაა 1526

წ. შესრულებული კომპოზიცია „ოთხი მოციქული“, რომელიც ძლიერი პლასტიკით და ფსიქოლოგიური სიღრმით გამოირჩევა. ა.დიურერის შემოქმედებაში მკაფიოდ იგრძნობა მაღალი რენესანსისათვის დამახასიათებელი ეროვნული ტრადიციებისა და რეალური სამყაროს მრავალფეროვნების შერწყმა.

გერმანული აღორძინების კიდევ ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია გერმანელი ფერმწერი და გრაფიკოსი ლუკას კრანახი. მიუხედავად იმისა, რომ მის შემოქმედებაში ყველაზე მკაფიოდ იგრძნობა გოთური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი გამომსახველობითი საშუალებების გამოყენება, ლუკას კრანახი ერთ-ერთი პირველი მხატვარია, რომელმაც ჭეშმარიტად რენესანსული პორტრეტი შექმნა და ამავე დროს ერთ-ერთი პირველი მხატვარია, რომლის ხელოვნებაშიც ძლიერდება ინტერესი ჟანრულ-ყოფითი ელემენტებისაკენ. ახალგაზრდობაში მან რამდენიმე წელი სამხრეთ გერმანიასა და ავსტრიაში გაატარა. მოგვიანებით კი კრანახი საქსონიის სამეფო კარზე მიღებული მხატვარი გახდა. სახელი მარტინ ლუთერთან მეგობრობამ მოუტანა. ლუთერის გავლენით რეფორმაციის იდეების პროპაგანდას ეწეოდა. ლუკას კრანახის ნაწარმოებებიდან მნიშვნელოვანია „ჯვარცმა“ (1503, მიუნხენი), „შესვენება ეგვიპტის გზაზე“ (1504, ბერლინ-დალემის სურათების გალერეა), „წმ. ეკატერინეს საკუთხეველი“ (1506, დრეზდენის სურათების გალერეა), „ვენერა და ამური“, „მადონა“ (ერმიტაჟი, პეტერბურგი). პორტრეტულ ჟანრში შესრულებული სურათებიდან უნდა გამოვყოთ 1532წ. შესრულებული მარტინ ლუთერის პორტრეტი (დრეზდენის გალერეა), რომელშიც ყოველგვარი შეღამაზების გარეშეა გადმოცემული ლუთერის უღამაზო, მაგრამ ძლიერი, მამაკაცური სახე. შეჭმუნული წარბებით და თავის ენერგიული ბრუნით.

გერმანულ ხელოვნებაში სატირული ჟანრის ფართოდ გავრცელებამ განსაზღვრა არამარტო ასეთი ფერწერული თემის გაჩენა ლუკას კრანახის შემოქმედებაში, არამედ მისი ნაწარმოებების სატირული ხასიათიც. ამ თემაზე შექმნილი ნაწარმოებებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის სურათები, რომლებიც იხაზება პრადის, ბუდაპეშტის და სტოკჰოლმის მუზეუმებში. ცალკე აღნიშვნის ღირსია ლუკას კრანახის სურათი „მაჭანკალი“, რომელიც საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. ეს სურათი სამხატვრო გალერეამ 1920წ. შეიძინა მუსიკათმცოდნე ყორდანოვისგან (ყორდანაშვილი). 1922 წ. ექვთიმე თაყაიშვილმა გადარჩენის მიზნით სხვა სამუზეუმო ექსპონატებთან ერთად ეს სურათიც გაიტანა საქართველოდან საფრანგეთში. 1945წ. კი სურათი დაუბრუნდა მუზეუმს. სურათში მოცემულია კონკრეტულ გარემოცვაში მოთავსებული რთული სამფიგურიანი კომპოზიცია, სადაც ფიგურები შეერთებულია პოზებისა და ქესტების მეშვეობით და ცხოვრებისეულ აქსესუარებს ყოფითი ელემენტები შეაქვს სურათში. ამ სურათს გ. ჩუბინაშვილი შეეხო თავის წიგნში „ლუკას კრანახი“. გ. ჩუბინაშვილი სურათს თუ არა კრანახის ფუნჯს, ყოველ შემთხვევაში მის სახელოსნოს მიაკუთვნებდა და მხატვრის შემოქმედების ადრეულ პერიოდს უკავშირებდ, მაგრამ სურათის დათარიღებას, ისევე როგორც ავტორობის პრობლემას იგი მაინც კითხვის ნიშნის ქვეშ სვამდა (Чубинашвили Г.Н. 1957 :25). შემდეგ სურათი სარესტავრაციოდ იმყოფებოდა სამუზეუმო ფასეულობათა კონსერვაციისა და რესტავრაციის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში (რესტავრატორები ა. ზაიცევი და ლ. აკშინა), სადაც რეღვე-

ნულ ფოტოსურათზე მარცხენა, მაღალ კუთხეში გამოჩნდა კრანახის ნიშანი – ფრთოსანი გველი კბილებში ბეჭდით.

როგორც მ. ლიბმანი აღნიშნავდა, 1515 წლიდან ჩნდება უამრავი დათარიღებული და ლუკას კრანახის ნიშანდასმული სურათი (Либман М.Я. 1964:38). ეს კი მეტყველებს იმ დროისათვის უზარმაზარი სახელოსნოს არსებობაზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სახელოსნოს კედლებში შეგიძლება და მოსწავლეები ყოველთვის იმეორებდნენ ოსტატის კომპოზიციურ სქემებს და ძალზე იშვიათად გვევლინებოდნენ ორიგინალური გადაწყვეტილებების ავტორებად. ლუკას კრანახის ნიშნები თბილისში დაცულ სურათზე ჯერ კიდევ არაა თავად მხატვრის ავტორობის დამადასტურებელი, თუმცა ვარაუდობენ, რომ იგი ლუკას კრანახს ეკუთვნის. სურათი „მაჭანკალი“ 10-წლიანი რესტავრაციის შემდეგ დაუბრუნდა ხელოვნების მუზეუმს. 1994წ. კი შეიარაღებულმა თავდამსხმელებმა ის გაიტაცეს ხელოვნების მუზეუმიდან და მხოლოდ 2004წ. 18 მაისს აბრუნებენ ძლიერ დაზიანებულ ფერწერულ ტილოს სამართაღდამცველები მუზეუმში. შემდეგ გერმანიაში, კუნსტჰალეს სარესტავრაციო ლაბორატორიაში ჩატარდა სურათის რესტავრაცია და კვლავ დაბრუნდა საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანიაში ძალზე ძლიერად ჰქონდა გადგმული ფესვები გოთურ ხელოვნებას და მისი მძლავრი ნაკადის დაძლევა არც ისე ადვილი იყო აღორძინების ეპოქის გერმანელი მხატვრებისათვის, მათ მაინც შეძლეს რელიგიური და მითოლოგიური სიუჟეტების სიუხვის მიუხედავად, ჰუმანისტური იდეალების დაფუძნება, სამყაროს რეალობათა აღმოჩენა, ჟანრულ-ყოფითი ხასიათის სურათების შექმნა და ადამიანის ფიზიკური და სულიერი სილამაზის გადმოცემა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1) გომბრიხი ე.კ. „ხელოვნების ამბავი“ თბ., 2012;
- 2) Чубинашвили Г.Н. " Лукас Кранах" Тбилиси, 1957;
- 3) Либман М.Я. " Искусство Германии XV-и XVI веков", Москва, 1964.

Marina Jincharadze

Northern Renaissance – German school

Summary

The theme presents the very multifaceted and at the same time full of contradictory works of the brilliant representatives of the German Renaissance, Albrecht Dürer and Lucas Cranach. Establishing humanistic ideals, anthropocentrism, discovering the realities of the world, being interested in religious problems – these are the main tasks that these artists addressed in their work.

**რელიგიური ასპექტები და ქალთა საკითხი საბჭოთა
ათეისტური პოლიტიკის პრიზმაში**

აბსტრაქტი. საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა თავიდანვე არაერთფეროვნებით, ტენდენციურობით და ცალმხრივობით ხასიათდებოდა და იდეოლოგიის მთავარ საყრდენად კომუნიზმსა და ათეიზმს განიხილავდა. ბოლშევიკები თითქოსდა ქადაგებდნენ მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების ხელშეუხებლობას, რეალურად კი ცეცხლითა და მახვილით ებრძოდნენ რელიგიურობის ყოველგვარ გამოვლინებას. საბჭოთა ხელისუფლება მორწმუნეებში ახალისებდა ურთიერთდაპირისპირებებს. ამის ნათელი დადასტურება იყო ე.წ. ჩადრის ახდის კამპანია, რომელსაც რეგიონში სერიოზული დაპირისპირებები მოყვა. ჩადრის ახდასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლა, წარმოჩენა ანტირელიგიური პოლიტიკის კონტექსტში ქალთა საკითხის არის ჩვენი კვლევის უმთავრესი ამოცანა.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია ობიექტურობის, ყოველმხრივობის და სისტემურობის უნივერსალური მეცნიერული პრინციპები, ისტორიულ-შედარებითი და ისტორიულ-ტიპოლოგიური მეთოდები.

სტატიაში წარმოდგენილი ფაქტოლოგიური მასალებით, აჭარის საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების ანალიზით ნათელადაა წარმოჩენილი მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების უგულებელყოფის და შეურაცხყოფის საბჭოური პოლიტიკა, რომელმაც განაპირობა 1929 წლის მასშტაბური ანტისაბჭოთა საპროტესტო გამოსვლები მთიან აჭარაში.

საკვანძო სიტყვები: რელიგია, აჯანყება, ქალი, პოლიტიკა, ეკლესია, მორწმუნე, ჩადრი

საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა თავიდანვე არაერთფეროვნებით, ტენდენციურობით და ცალმხრივობით ხასიათდებოდა და იდეოლოგიის მთავარ საყრდენად კომუნიზმსა და ათეიზმს განიხილავდა. მორწმუნეთა რელიგიური გრძნობები კომუნიზმის ეპოქაში მუდმივი შეურაცხყოფის ობიექტი იყო. „საეკლესიო ფასეულობათა ამოღების“ შესახებ 1921 წლის მთავრობის განკარგულება მათთან დაპირისპირებული მორწმუნეების წინააღმდეგ ტყვეობის გამოყენებასაც ითვალისწინებდა. მთავრობის ამ პოლიტიკას მოყვა შეუპოვარი წინააღმდეგობები მთელს იმპერიაში.

არსობრივად იგივე პოლიტიკა იყო საქართველოში. ბოლშევიკები თითქოსდა ქადაგებდნენ მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების ხელშეუხებლობას, რეალურად კი ცეცხლითა და მახვილით ებრძოდნენ რელიგიურობის ყოველგვარ გამოვლინებას.

მსგავსი სიტუაცია იყო საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში – აჭარაში, სადაც ოსმალთა სამსაუკუნოვანი ბატონობის შედეგად მოხდა მოსახლეობის გამუსულმანება. რეგიონში გაბატონდა ანტიმუსლიმური ისტერია, რაც

გარკვეული აზრით გაგრძელდა გორბაჩოვის გარდაქმნის ეპოქამდე, თუმცა მისი სიმძაფრე ცვალებადი იყო. ანტირელიგიურ ისტერიას საქართველოში ემატებოდა ეროვნული და კუთხური მოტივიც. საბჭოთა ხელისუფლება მორწმუნეებში ახალისებდა ურთიერთდაპირისპირებებს. ამის ნათელი დადასტურება იყო ე.წ. ჩადრის ახდის კამპანია, რომელსაც რეგიონში სერიოზული დაპირისპირებები მოჰყვა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე იწყება მასობრივი ანტირელიგიური ღონისძიებების გატარება, იქმნება „მებრძოლ უღმერთოთა კავშირები“, „რელიგიური კულტების საბჭოები“, ინგრევა რელიგიური სამლოცველოები, ტარდება რელიგიის საწინააღმდეგო თეატრალიზებული წარმოდგენები. ანტირელიგიური საქმიანობისათვის დაწესებული იყო სპეციალური სამკერდე ნიშანი (ფუტკარაძე, 2013:4)

ანტირელიგიურ პოლიტიკაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი ქალთა საკითხი იყო. რელიგიისაგან ქალების ჩამოშორების მიზნით 1920-იან წლებში იქმნება ე.წ. ქალთა კომიტეტები, რომლებიც საოჯახო, ყოფით, სამართლებრივ, საქორწინო და სხვა საკითხებში მხარს უჭერდნენ ქალებსა და მათ ჩაბმას საზოგადოებრივ საქმიანობაში. 1924 წლიდან ქალთა პროფესიული განათლების (ჭრა-კერვა...) მხარდაჭერის მიზნით იქმნება „ქალ მუსულმანთა სექცია“ (ასს ცსა ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 358, ფურც 18). „ქედის მაზრის ქალთა შორის მომუშავე ორგანიზატორი თ. წილოსანი აჭარისტანის ქალთა განყოფილებას უგზავნის თხოვნას მკერავი ქალის გამოგზავნასთან დაკავშირებით: „...ვინაიდან აქ მუშაობა ისე შეუძლებელია, თუ პირველათ არ გავსხნით ჭრა-კერვის სასწავლებელს და ჭრა-კერვის სწავლის მსურველთა რაოდენობა ბევრი არის, ამიტომ გთხოვთ სასწრაფოთ გამომიგზავნოთ მკერავი ქალი და მაშინა საკერავი. მსურველთა სიას გადმოგიგზავნით ამ დღეებში. განმეორებით გთხოვთ რომ მკერავი ქალის გამოგზავნა არ დააგვიანოთ (ასს ცსა, ფ. პ-1, ან. 1, ს. 358, ფურც. 10). მომდევნო წერილში წარმოდგენილია „სია იმ მუსულმანი ქალებისა, რომლებსაც სურთ ჭრა-კერვა ისწავლონ: ზორი ხაბაძე, ეხსან დიასამიძე, ასიმე დიასამიძე, ფატყუმე ყირიმოდლი, ზექი ხაბაძე, ხუმამიე დიასამიძე, ხატიჯე შაჰანოდლი, ქუნქარ შაჰანოდლი (ასს ცსა, ფ. პ-1, ან. 1, ს. 358, ფურც. 12).

მაგრამ არც ამ პროპაგანდისტულმა კამპანიამ გამოიღო დადებითი შედეგი. მამაკაცებმა ქალთა პროფესიულ კურსების გამო გამოხატეს პროტესტი. ერთ-ერთ დოკუმენტში პირდაპირაა გამოხატული ადგილობრივთა დამოკიდებულება: „ჩვენმა ქალებმა უნდა ისწავლონ სახლში... ჩვენი ადათი უარყოფს ქალების სწავლებას... მამაკაცი სრული ბატონ-პატრონია დედაკაცის...მამაკაცებს არ უნდათ, რომ ქალებმა ისწავლონ... ამავე შეხედულებისაა აღმასკომის თავმჯდომარეც“ (ასს ცსა, ფ. პ-1, ან. 1, ს. 358, ფურც. 18). ასეთ პირობებში ქალთა შორის მომუშავე თანამდებობის პირთა საქმიანობა აწყდებოდა გადაულახავ პრობლემებს, რის გამოც ზოგიერთი მათგანი ითხოვდა თანამდებობიდან გადაყენებას. „ხულოს მაზრის მუსულმან ქალთა შორის მომუშავე“ აგრაფინა თალაკვაძე 1924 წ. 20 ნოემბრს აჭარისტანის ქალთა განყოფილებას უგზავნის შემდეგი შინაარსის წერილს: „ ხულოს მაზრის ფარგლებში ჯერჯერობით ყოვ-

ლად დაუშვებელია მოემზადოს ნიადაგი ქალთა შორის მუშაობისა და ყოველივე ჩვეულებრივი შრომა უნაყოფო დარჩება. ყველა ამის გათვალისწინების გარეშე, გთხოვთ მოხსნილ ვიქმნა ხსენებული თანამდებობიდან“ (ასს ცსა, ფ. პ-1, ან. 1, ს. 358, ფურც. 17).

თანამდებობის პირთა მუშაობის სირთულეებზე საუბარი საქართველოს რევკომისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში, რომლის მიხედვით „საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლები იყო ისეთი მძიმე“ ხელმძღვანელი პირებისათვის, რომ „აჭარაში გამოჩენა ითვლებოდა გმირობად“, რომ „აჭარაში დარჩენა იყო შეუძლებელი“. ამიტომ, „საჭიროა გარკვეული გეგმის შემუშავება, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ნდობის მოპოვება, ეჭვების გაფანტვა აჭარის მოსახლეობაში“ (ასს ცსა, ფ. პ-1, ან. 1, ს. 10 ფურც. 1). წერილში ხაზგასმულია პარტიულ ხელმძღვანელთა არაკომპეტენტურობაც, რომელთა საქმიანობამ „მიგვიყვანა ქმალისტური ორიენტაციის მეჯლისის შექმნა“-მდე. წერილში უარყოფითადაა შეფასებული დეკრეტი აჭარის ავტონომიის შესახებ, რომლის სათავეში მოხდნენ „ქმალისტური ორიენტაციის ადამიანები“ (ასს ცსა, ფ. პ-1, ან. 1, ს. 358, ფურც. 2). პროთურქული ძალები ეწოდნენ აქტიურ პროპაგანდას, აწყობდნენ პროვოკაციებს. აქტიურ ანტიქართულ მუშაობას ეწოდნენ მუსულმანი სასულიერო პირების გარკვეული ნაწილი. მათ აქტიურად ეხმარებოდა თურქეთის კონსული (ასს ცსა ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 77. 171; ასსცსა, ფ.პ-1, ან. 1 საქმე 10. ფურც. 4) სპეცსამსახურები ფლობდნენ ინფორმაციას მეჯლისის წევრი პროთურქული ძალების („სედაი მიღეთი“, ქმალისტები) გააქტიურების შესახებ, რომლებმაც მოგვიანებით შეიარაღებული ძალებიც კი შექმნეს (ასს ცსა, ფ. რ-2, ან. 17, ს. 7, ფ. 20; ასევე ასსცსა, ფ.პ-1, ან. 1, საქმე 10. ფურც. 2).

ანტირელიგიური საქმიანობის, აგიტაციის, განათლების საკითხებში ადგილობრივი სამთავრობო სტრუქტურების საქმიანობის არეალი პირველ ეტაპზე მკაფიოდ რეგლამენტირებული იყო. ამ საქმიანობის გააქტიურებისა და მონიტორინგ-კონტროლისათვის შეიქმნა მთავარი პოლიტიკურ-საგანმანათლებლო კომიტეტი. მის ფუნქციებში პირველად მეჩეთების რეაბილიტაციაც კი შედიოდა. რელიგიურობა პრობლემას არ ქმნიდა პარტიაში მიღების დროსაც. ერთ-ერთი სხდომის ოქმიდან ჩანს, რომ ხულოში რამდენიმე მუსულმანი მიიღეს პარტიაში, თუმცა ბევრს უარი უთხრეს რელიგიურობის გამო პარტიაში გაერთიანებაზე (ასს ცსა, ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 241, ფურც. 3,4,5).

20-იანი წლების მეორე ნახევრიდან ვითარება იცვლება. თვალშისაცემია პარტიული ჩინოვნიკების უხეშობა და თვითთნებობა საზოგადოებრივი და ყოფითი ცხოვრების ყველა სფეროში. დაწესდა რელიგიური შეზღუდვები. მაგალითად, ხიხაძირში ხოჯას აეკრძალა მიცვალებულისადმი რელიგიური წესის აღსრულება. ისლამური ტრადიციის საწინააღმდეგოდ მიცვალებული 3 დღის განმავლობაში არ დაუმარხავთ. სასულიერო პირებს ხელწერილებს აწერინებდნენ იმის თაობაზე, რომ ისინი არ შეასრულებდნენ რელიგიურ წესებს (მაგალითად სოფ. დიოკნისში), მარხვის (რამაზანის) დღეებში მუსულმანური სამლოცვეოების ეზოებში კომკავშირლები მართავდნენ ღრებებს – რელიგიური წესებისადმი უპატივცემულობის დასადასტურებლად (სოფ. ღორჯოში), მუეძინს (სასული-

ერო პირი) და სხვა რელიგიურ პირებს დახვრეტით ემუქრებოდნენ, თუ კი ისინი შეასრულებდნენ რელიგიურ წესებს.

ერთ-ერთ წერილში ახსნილია ქალთა სწავლა-განათლებისა და ჩადრის ახდისადმი მოსახლეობის ნეგატიური დამოკიდებულების მიზეზები. ნაწილობრივ იგი ბეგების და მუსულმანი სასულიერო პირების საქმიანობითაა ახსნილი. „ბეგების ერთ ნაწილს აქვს თურქული ორიენტაცია, მეორეს – ქართული. ჩვენ არ შეგვეძლო დავყრდნობოდით მათ. ჩვენ გავწყვიტეთ კავშირი როგორც ერთ, ისე მეორე მიმართულების ბეგებთან. ჩვენ დავისახეთ ამოცანად გლეხთა ბეგებისაგან სრულად ჩამოშორება და მიღწეულ იქნა შედეგებიც“ (ასს ცსა, ფ. პ-1, ან. 1, ს. 358, ფურც. 2).

ხელისუფლება უკან არ იხევდა. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციისათვის იქმნება მოქალაქეობრივი აქტების ჩამწერი ბიუროები (პირველი ასეთი ბიურო – მმანი – შეიქმნა სოფელ ხუცუბანში) , რომლის ერთ-ერთი მიზანი სასულიერო პირებისაგან მოსახლეობის ჩამოცილება იყო (ასს ცსა ფ.პ-1, ა.1, ს.119. ფურც. 19; ასევე, ასს ცსა ფ.პ-1, ა.1, ს.1038. ფურც. 15). მმანის ბიუროებს უნდა დაერეგულირებინა საქორწინო ურთიერთობების საკითხები, უნდა აღმოეფხვრა 18 წლამდე ახალგაზრდების ქორწინება. ამ რეფორმას თანდათანობით უნდა შეეცვალა არსებული პრაქტიკები. თუმცა ეს ბიუროები ხშირად ვერ ახერხებდა ქორწინების რეგისტრაციას. ბიუროები სათემო ცენტრში მდებარეობდა, სადაც მოსახლეობა, განსაკუთრებით ქალები (რელიგიური ტრადიციის გამო) მისვლას ვერ ახერხებდნენ. ამიტომ, ქალების ნაცვლად ხელს საბჭოს წევრები აწერდნენ (ასს ცსა, ფ. 14, ა. 4, ს. 301. ფურც. 153)

ზოგად ამოცანებთან ერთად ანტირელიგიური პოლიტიკის გატარებას ემსახურებოდა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ რეგიონის რაიონების ქოხ-სამკითხველოებში რადიოაპარატურის მონტაჟისა და განაწილების სქემა (ასს ცსა, ფ. პ-1, ან. 1, ს. 1038, ფურც. 9).

ანტირელიგიური კამპანია შეეხო ეკლესიებს, მეჩეთებსა და სხვა რელიგიურ დაწესებულებებს. აჭარისტანის ცაკის პრეზიდიუმის 1923 წლის 13 იანვრის სხდომის N 35 ოქმის დადგენილებით, მეპატრონეებს ჩამოართვეს ალექსანდრე ნეველის, სამხედრო ჰოსპიტალის და „გოროდოკში“ მდებარე მიხეილის ეკლესიები და გადასცეს „კომუნალურ განყოფილებას, ეკლესიების ქონება კი გადასცეს „შიმშილობის შედეგებთან მეზობელ კომიტეტს“ (ასს ცსა, ფ. რ-2, ს. 21, ან. 1, ფურც. 6) 1929 წელს, აჭარაში 158 მოქმედი მეჩეთი იყო, რომელთა ნაწილის მშენებლობაც საბჭოთა პერიოდში დასრულდა, თუმცა მალე დახურეს თითქმის ყველა მეჩეთი. ერთადერთი მეჩეთი, რომელმაც ფუნქციონირება გააგრძელა, ბათუმის ორთაჯამე იყო (Барамидзе Р., 2013: 404.), 1935 წ. ორთაჯამე სამხედრო საწყობად გადააქციეს. (ბარამიძე რ., რუმიანცევი რ., 2009, გვ. 201–207)

მეორე მსოფლიო ომის დროს შეიქმნა რელიგიური დაწესებულებების გახსნის და ღვგაღური მოქმედების საჭიროება. 1943 წლის 28 ნოემბერს მიღებული იქნა სსრკ სახკომსაბჭოს დადგენილება (N 1325) “О порядке открытия церквей”, ხოლო 1943 წ. 19 ივლისს - “О порядке открытия молитвенных зданий

религиозных культов”. ამ დადგენილების საფუძველზე 1946 წელს ადადგინეს ორთაჯამის ფუნქციონირება. 1944 წლის 19 მაისის სახკომსაბჭოს N 572 გადაწყვეტილებით საკავშირო, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან იქმნება რელიგიურ კულტების საქმეთა საბჭოები (“Совет по делам религиозных культов (СДРК)” – საბჭოთა ხელისუფლებასა და რელიგიური გაერთიანებების სასულიერო ცენტრებს შორის ურთიერთობისა და კავშირის დამყარებისათვის. ეს ორგანო სრულად აკონტროლებდა რელიგიურ საქმიანობას (რელიგიური თემები და ორგანიზაციები ბათუმში, 2013: 4-5).

1920-ნი წლების მეორე ნახევრიდან ფართო ხასიათი მიიღო მედრესეების დახურვისა და ჩადრის ახდის კამპანიამ, რომელიც განხორციელდა 1928-1930 წლებში. აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ა. ფანცხავა 1929 წ. იანვარში პატრიის ცენტრალურ ორგანოებს აღფრთოვანებული ატყობინებდა, რომ რეგიონმა ანტირელიგიური საქმიანობის ფარგლებში დახურა 147 მედრესე, ხოჯამოლები უარს ამბობენ რელიგიური წესების შესრულებაზე, წარმატებებს მიაღწიეს ჩადრის ახდის სფეროში და ეს ყველაფერი გართულებებისა და აყალმაყალის გარეშე განხორციელდა.

ცხადია, ამ შეტყობინებაში რეალობა შელამაზებულადაა წარმოდგენილი. ამ დროისთვის ჩადრი დაახლოებით 300-მდე ქალს ახადეს და ესეც ადმინისტრაციული ჩარევით, მუქარითა და ძალადობით. საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ჩადრი აქტიურ კომუნიკაციასაც კი არ აუხდიათ თავისი ოჯახის წევრი ქალებისათვის. მოსახლეობა აპროტესტებდა მთავრობის მოხელეთა თავგასულობასა და უხეშობას, რასაც თან ახლდა აშკარა ტერორი, თუმცა სახელისუფლებო სტრუქტურები ცდილობდნენ იგი „ინდივიდუალური გადაცდომებით“ აეხსნათ (სპა, ფ. 14, ან. 1, ს. 301, ფურც. 150).

ახალი საბჭოური წეს-ჩვეულებების დანერგვისა და ტრადიციული შეხედულებების უსაფუძვლობის დასაბუთებას ისახავდა მიზნად 1925 წლიდან შექმნილი „მებრძოლ უღმერთოთა კავშირები“ (ბეზბოუნიკები) და ქართულენოვანი ჟურნალის „მებრძოლი ათეისტის“ დაარსება (ზოსიძე რ., 1978:25-28)

ჩადრის ახდის პროცესებს ასახავს რეჟისორ სიკო დოლიძის მიერ გადაღებული მუნჯი კინოქრონიკა. „აჭარელ ქალთა ყრილობა“ – ასე არის დასათაურებული ეს კინოქრონიკა. კადრებში ჩანს, რომ ბათუმის ძველ რკინიგზის სადგურში შემოდის მატარებელი, რომელსაც ხალხი ტრანსპარანტებით ეგებება. მატარებლიდან საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე ჩამოდის და თანმხლებ პირებთან ერთად ბათუმის ქუჩებში დადის. მსვლელობაში მამაკაცებთან ერთად ქალებიც მონაწილეობენ, თითქმის ყველა მათგანს თავსაფარი ახურავს, ზოგს ჩადრიც უკეთია. მსვლელობის შემდეგ კადრში ჩანს სცენა, რომელიც ქუჩაშია მოწყობილი, სცენაზე დგას უჩადრო ქალი, კადრი გადადის კოცონზე, სადაც ჩადრები იწვის.¹

მუსლიმი ქალებს ჩადრის ტარებას ავალებდებულადა ისლამი, თუმცა „ყურანში“ ამის შესახებ არაფერი წერია. ამ მომენტს მოხერხებულად იყენებდნენ

¹ როგორ მოიხადეს ქალებმა ჩადრი აჭარაში, ბათუმელები. – <https://batumelebi.netgazeti.ge/weekly1/12728/>

საბჭოთა პროპაგანდისტები. ანტირელიგიური პოლიტიკის ფარგლებში ყველა სასოფლო თემში 1928-1929 წლებში ტარდებოდა საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა საზოგადო კრებები, რომელზეც განიხილავდნენ მედრესეების დახურვისა და ჩადრის ახდის საკითხებს. საღორეთის საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა 1929 წ. 16 იანვრის კრების დადგენილებაში აღნიშნულია: „ჩადრის ტარება ეს მოგონილია ძველად აღებისა და ბეგების მიერ ცოლების დამონებისათვის. ის არის ძველი, დახავსებული, დრომოჭმული ჩვეულება, რასაც საბჭოთა სოფელში ადგილი არ უნდა ჰქონდესო (ასს ცსა, ფ. რ-4, ან. 1, საქმე 340, ფურც. 31). მსგავს ჩანაწერებს ვხვდებით სხვა სათემო კრებების დადგენილებებსა და პროპაგანდისტ-კომუნისტთა გამოსვლებშიც. ქედის სამაზრო ღარიბთა ჯგუფების კონფერენციაზე (1928 წ. 20 დეკემბერი) მომხსენებელმა ხ. ზოიძემ თავისებურად ახსნა ჩადრის დაკანონების მიზეზები: „წინათ ქალის იყო ყიდვა-გაყიდვა, რომ არ ენახათ ქალის სახე და არ მოწონებოდა ის სხვას, შემოდებულ იქნა ჩადრი. სამაჰმადიანო წიგნში „ყურანი“ არსად არ წერია ჩადრის ჩამოფარვა, ხოლო დღეს, საბჭოთა ხელისუფლების დროს ცხადია, რომ შეუძლებელია ქალის ყიდვა-გაყიდვა... **ჩვენ ქალებს ჩადრი უნდა ავხადოთ და კიღვას გავაგარებთ სხოპრაბაში**, მათ თვით-შეგნებით და ახსნა-განმარტებებით“ (ასს ცსა, ფ. რ-4, ან. 1, საქმე 299, ფურც. 1-3), „ხოჯა რომ ყოველთვის ქათამს ჭამს, ართმევს გლეხობას, ჩვენ ლობიას, მ.შ. გვატყუებენ და ვერ ხვდებით?“ (ასს ცსა, ფ. რ-4, ან. 1, საქმე 299, ფურც. 3).



ასსცსა, ფოტოფონდი, ან. 1, ფოტო 21. ქალები, რომლებმაც პირველებმა მოიხადეს ჩადრი

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში დაწყებული ანტირელიგიური პოლიტიკა ძალადობრივ მეთოდებს ეფუძნებოდა. ამ პოლიტიკის შედეგად მნიშვნელოვნად შეირყა სასულიერო პირების და რელიგიური ინსტიტუტების მდგომარეობა.

რეობა, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა უკმაყოფილების მუხტი მორწმუნე მოსახლეობაში. ამგვარი გადაცდენების, „შეცდომების“ ან „გადახვევების“ გამოსწორება ბოლშევიკებს აუცილებელ ამოცანად „მიაჩნდათ“. 1929 წ. იანვარში ხულოს ცენტრში ფემბე ხოზრევანიძემ ჩადრი სახალხოდ მოიხადა და დაწვა. ცხადია, ეს იყო საბჭოური „დამუშავების“ შედეგი, მაგრამ ადვილად ამოსაცნობი პროპაგანდისტული ხრიკი.

ამგვარი პოლიტიკით საბჭოთა ხელისუფლება კიდევ უფრო აძლიერებდა მოსახლეობის საპროტესტო განწყობას.

საშინაო და საგარეო ფაქტორების გავლენით, შიდა პოლიტიკურ დაპირისპირებასთან ერთად, 1922-1925 წლებში, აჭარაში, ადგილი ჰქონდა მღელვარებას, თუმცა მან ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა ადგილობრივი პარტაქტივის აქტიურობის გამო. საბჭოთა ხელისუფლება შეეცადა დაეგმო რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა და უპატივცემულობა, გადაცდომები და ძალადობა. ამ მიზნით შემუშავდა კიდევ გარკვეული რეკომენდაციები და მოითხოვა ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, ათეისტური აგიტაცია-პროპაგანდის გაძლიერება. პარალელურად, დაიწყო მუსლიმანთა მდგომარეობის თითქოსდა შესწავლა და რელიგიური დაწესებულებების, სამლოცველოების, სასწავლებლების, რელიგიის მსახური სასულიერო პირების შესახებ შეგროვდა საკმაოდ მდიდარი მონაცემები. იმავედროულად დაიწყო აქტიური მუშაობა სასულიერო პირების გადასაბირებლად. ამ მიზნით გამოიყენებოდა ეკონომიკური ბერკეტებიც.

ზემოთდასახელებულმა ღონისძიებებმა ვერ უზრუნველყო სიმშვიდე. 1929 წელს დაიწყო გამოსვლები, რომლებიც ფართომასშტაბიან აჯანყებაში გადაიზარდა. 1929 წლის 8 თებერვალს, ბათუმის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში საქართველოს მაჰმადიან ქართველ ქალთა პირველი ყრილობა გაიმართა. ყრილობას 447 ქალი დელეგატი დაესწრო, აქედან 380 აჭარიდან იყო. ყრილობის ბოლოს ოცდაათამდე ქალი ავიდა სცენაზე, მოიხადა ჩადრი, დაყარა სცენის იატაკზე ცეცხლი წაუკიდა. ჩადრის დაწვას დარბაზიდან მქუხარე აპლოდისმენტებით შეხვედრიან. სპეცსამსახურების მიერ „დამუშავებული“ ქალები იქცნენ „ქალთა განყოფილებების“ აქტივისტებად და საბჭოთა კომკავშირლების, რაზმბოტნიცების, კოლხოზნიცების, კომუნიზმის მშენებლების დიდი არმიის შემადგენელ ნაწილად გადაიქცნენ. „ჩადრის მოხდის კამპანია“ წააწყდა გადაულახავ წინააღმდეგობებს. ძველი ადათის და რელიგიური ტრადიციების წინააღმდეგ მებრძოლებს დაუპირისპირდა „ტრადიციების“ დამცველ ადგილობრივ ქალთა მრავალრიცხოვანი შემადგენლობა. მასობრივი აგიტაცია-პროპაგანდის, „მაჰმადიან ქართველ ქალთა ყრილობის“ გადაწყვეტილებებისა და მოწოდებების მიუხედავად სიმშვიდის შენარჩუნება შეუძლებელი გახდა. უძღური იყო საქართველოს მთავრობასთან შექმნილი „ქალთა განყოფილება“ – საკუთარი ბეჭდური ორგანოთი („ჩვენი გზა“), რომელიც ბეჭდავდა ქალთა კორესპონდენციებს და სისტემატურად აშუქებდა ამ პროცესების ამსახველ მასალებს.

მიუხედავად აქტიური პროპაგანდისტული საქმიანობისა, მუსლიმანურ აჭარაში ჩადრის ახდას უფრო მეტი მოწინააღმდეგე ჰყავდა, ვიდრე მომხრე. ამის შესახებ საარქივო დაწესებულებებში უამრავი დოკუმენტი დაცული. სათემო

კრებებზე მწვავე კამათი იმართებოდა აღნიშნულთან დაკავშირებით. მორწმუნეების მიერ საბჭოთა პროპაგანდისტებისადმი დასმულ შეკითხვებში ნათლად ჩანს მოსახლეობის დიდი ნაწილის უარყოფითი დამოკიდებულება. კრებებზე ხშირად ისმებოდა შემდეგი კითხვები:

- „შეიძლება თუ არა ორ ბავშვს ვასწავლო, ერთი კი სახლში დავტოვო ოჯახში დასახმარებლად?“
- „შეიძლება თუ არა, ბავშვი როცა საზაფხულო სკოლაში არ დადის, ვასწავლო ხოჯასთან?“
- „შეიძლება თუ არა ასეთი დიდი ხნით გაბატონებული ჩვეულება ჩადრის ტარებისა ერთი ხელის დაკერით მოვსპოთ?“ (ასს ცსა, ფ. რ-4, ან. 1, ს. 299, ფურც. 14);
- „ჩვენი ქალები ამბობენ – ჩვენ ამ დრომდე ჩადრს არ გვხდინენ, ეხლა არ ავიხდით, თავს მოვიკლავთ“ – (ასს ცსა, ფ. რ-4, ან. 1, ს. 298, ფურც. 1) ;
- „ჩემი ნებით არ ავიხდი და მთავრობა ძალით ამხდის თუ არა?“ (ასს ცსა, ფ. რ-4, ან. 1, ს. 298, ფურც. 6);
- „მირჩენია მოვკვდე და პირზე ვერ ავიხდი და ვერც მედრესეს დავხურავთ. არ მინდა თქვენი თავისუფლება, ჩვენ ჩვენთვის დაგვაყენეთ“ (ასს ცსა, ფ. რ-4, ან. 1, ს. 298, ფურც. 6)
- „მედრესეები რომ დაიხუროს რჯული დაგვეკარგებუა და სად უნდა იკითხონ ჩვენმა შეილებმა რომ სიკვდილის დროს ყურანი გვიკითხოს“ (ასს ცსა, ფ. რ-4, ან. 1, ს. 298, ფურც. 6);
- „ჩვენ ჩადრს ვერ ავიხდით, ჩვენ ჩვენი რჯული გვინდა, ბავშვებმა ჯერ სკოლაში ისწავლონ, მერე მედრესეში“ (ასს ცსა, ფ. რ-4, ან. 1, ს. 298, ფურც. 14);
- ჩვენ ჩადრის ქვეშ ნამუსი გვინახია (ასს ცსა, ფ. რ-4, ან. 1, ს. 298, ფურც. 17);
- ჩადრს ძალით ვერ ავხდით, შეგნებით აიხადოს (ასს ცსა, ფ. რ-4, ან. 1, ს. 298, ფურც. 40);

კრებებზე გამოთქმული მოსაზრებებიდან ჩანს, რომ ზოგიერთი არაა წინააღმდეგი ჩადრის ახდისა, მაგრამ თანასოფლელების პოზიციას ვერ ეწინააღმდეგება. ამიტომ მოითხოვს შესაბამისი კანონის მიღებას, რაც ყველას დაავადებულებს აიხადოს ჩადრი. უჩაბის თემის სოფელ ლაკლაკეთის მცხოვრები აიშე მემიაძე აცხადებს: „ჩადრის ახდა ძალიან ძნელია. ერთი და ორი შეიძლება ვიყოთ მომხრე, მაგრამ ჩვენს მეზობლებში ამის გაკეთება არ შეიძლება. მერე ჩვენ მათ სიცილს ვერ გავუძლებთ და ამისთვის საჭირო იქნება გამოშვებული იქნას კანონი, რომ ყველამ აიხადოს და ერთი-მეორის დასაცინად არ გახდეს საქმე“ (ასს ცსა, ფ. რ-4, ან. 1, ს. 298, ფურც. 144); საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ქედის მოსახლეობა შედარებით უფრო ნაკლებაგრესიულადაა განწყობილი ამ პროცესების მიმართ, ვიდრე ხულოს მოსახლეობა. ლოგიკურია მათ მიერ დასმული კითხვაც: ჩადრი რომ ავიხადოთ და მედრესე დავხუროთ, ამით მთავრობას რა უკეთდება? (ასს ცსა, ფ. რ-4, ან. 1, ს. 298, ფურც. 144).

აჭარის საბჭოების მერვე ყრილობაზე (1929 წ. 5-7 აპრილი) ეკონომიკისა და კულტურის საკითხებითან ერთად განხილული იყო ჩადრის ტარების საკითხი. ყრილობის მასალებში ზერელედაა შეფასებული ჩადრის ტარებასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი და იგი ბატონყმურ გადმონაშთადაა მიჩნეული. რეალურად კი, იგი უკავშირდება ოსმალთა ბატონობას და სათავეს არაბული სამყაროდან იღებს. ყრილობის დელეგატებმა სერიოზული უკმაყოფილება გამოთქვეს ასეთი შეფასებებისა და სამთავრობო ადმინისტრაციული ღონისძიებების გამო (აჭარის საბჭოების ყრილობები 1921-1937 წწ. დოკუმენტებისა და მასალების კრებული, ბათ. 1971, გვ. 297-299).

ძალადობის მეთოდების გამოყენებამ გამოიწვია მასობრივი უკმაყოფილება, რომელიც მალე აჯანყებაში გადაიზარდა. იგი მოედო სრულიად მთიან აჭარას. აჭარის მოსახლეობის კულტურულ მეხსიერებაში დღემდე შემონახული ამ პროცესების ამსახველი მოვლენები. ლ. კალანდარიშვილის მიერ 1969 წელს ჩაწერილი სავსე მონაცემების მიხედვით, თვითმხილველი შემდეგნაირად აღწერს ამ მოვლენებს: „ნაზირე მახარაძემ...დაიწყო აგიტაცია ჩვენი სოფლის ქალებში ჩადრის ახდის მოწოდებით...ნაზირეზე ამბობდნენ გაქართველდაო (იგულისხმება გაქრისტიანება -თ.ფ.), მუხუცები კიცხავდნენ მას, ქალების უმრავლესობა არ ელაპარაკებოდა, მაგრამ ნაზირე არ ჩერდებოდა, მან გამოიყენა ყურანის დებულება სადაც წერია: **ჯერ სახელმწიფოს უნდა დავემორჩილოთ, ხოლო შემდეგ კი ღმერთს.** ამიტომ, ჩვენ თუ სახელმწიფო გვეუბნება, უნდა ავიხადოთ ჩადრიო. აგიტაციის ასეთმა ხერხმა გაჭრა“ (ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიული ფონდი, 1969) ანაწერი N5, საქმე N52, მთხრობელი: მახარაძე შაისუფ თეუფის ძე, 36 წლის, ხულოს რ-ნი სოფ.ჩაო; ჩამწერი: ლევან კალანდარიშვილი, 1969 წლის 23 ივლისი).

ბუნებრივია, ყურანში არ იქნებოდა ასეთი მითითება და მით უფრო, არაბულის უცოდინარ სოფელ ქალს და მის თანასოფლელებს არ ეცოდინებოდათ ეს პოსტულატი. როგორც ჩანს, ეს სპეციფიკა კარგად გამოიყენა საბჭოთა პროპაგანდამ იდეოლოგიური ზეგავლენის მოსახდენად და შედეგიც გამოიღო.

ანტირელიგიური პოლიტიკის გატარებისას საბჭოთა მოხელეები ხშირად გამოირჩეოდნენ ცინიზმით. ადგილი ჰქონდა მორწმუნეთა დაცინვისა და შეურაცხყოფის ფაქტებს. ხალხის მეხსიერებაში დღემდე შემონახული პარტიის ხულოს სამაზრო კომიტეტის მდივნის ა. კალანდაძის სისასტიკე. ერთ-ერთი თვითმხილველის შთამომავლის ნიაზ ბოლქვაძის ინფორმაციით, 1929 წლის აჯანყების ერთ-ერთმა მოთავემ აღისულთან ბოლქვაძემ მუქარის წერილი გაუგზავნა სასტიკ და ცინიკოს საბჭოთა მოხელეს და კატეგორიულად მოთხოვა შეეწყვიტა მორწმუნეების შეურაცხყოფა.

მასობრივი პროტესტის პირველი კერა გაჩნდა სოფელ ჭვანაში. მალე იგი მოედო მთიანი აჭარის ყველა სოფელს. მდგომარეობის გასაცნობად თბილისიდან აჭარაში ჩამოვიდნენ ლავრენტი ბერია და საბჭოთა ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ჯარის ნაწილების თანხლებით. ნიაზ ბოლქვაძის გადმოცემით ლ. ბერია ორჯერ შეხვედრია აღისულთან ბოლქვაძეს და აჯანყების ზოგიერთ სხვა მოთავეს, რომლებსაც ბერიასათვის სხვა მოთხოვნებთან ერთად წაუყენებიათ კომუნისტი მოხელეების გაძევება მაზრიდან და მორწმუნეთა რელიგიური თავისუფლება. მდგომარეობის გამოსწორების შესახებ დაპირების მი-

უხედავად აჯანყება არ ჩამცხრალა. აჯანყებულებმა დაიკავეს ფურტიო-სხალ-თის სტრატეგიული ხიდი, სხალთაში გამართეს სამხედრო აღლუმი.

აჯანყების ჩასახშობად შეიქმნა საგანგებო სამეული ღ. ბერიას, ღ. ღო-ლობერიძისა და კოვალიოვის შემადგენლობით (ნიაზ ბოლქვაძე, 2016:154-201). 1929 წ. აჯანყების ჩახშობით მთიან აჭარაში საბოლოოდ დამკვიდრდა საბჭოთა დიქტატურა.

აჭარელი ქალის საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვის, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საკითხები საგანგებოდ იქნა დასმული საქართველოს ცაკის თავმჯდომარის მ. ცხაკაიას მოხსენებაში, აჭარის საბჭოების მეც-ხრე ყრილობაზე (1930 წ. 18-22 (ო. თურმანიძე, 2012:133). დროთა განმავლობა-ში ჩადრი აღარ იყო აჭარელი მუსლიმი ქალის აუცილებელი ატრიბუტი. ცვლი-ლებები შეეხო რელიგიური ცხოვრების სხვა მხარეებსაც. აიკრძალა რელიგიუ-რი ქორწინება, თუმცა რელიგიური წესები მაინც სრულდებოდა ფარულად, მე-ქორწილების გარეშე, რადგან ქორწინების შედეგად გაჩენილი ბავშვი უკანო-ნოდ არ მიჩნეულიყო; ექიმების მიერ სრულდებოდა წინდაცვეთა მეზობელ ქრისტიანულ რეგიონებში – რათა ადგილობრივ პერსონალს არ შექმნოდა რაი-მე პრობლემა; ფარულად (ღამით) სრულდებოდა მიცვალებულის გაპატიოსნე-ბის, დატირების, დაკრძალვის (ყურანის წაკითხვა) და სხვა წესები.

საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო აქტიური საქმიანობა ახალი, საბჭოური ტრადიციების შექმნისა და დანერგვისათვის. რელიგიური დღესასწაულების დღეებში ეწყობოდა კომკავშირული და კომუნისტური ღონისძიებები: კომკავში-რული შობა, კომკავშირული ქორწილი, კომკავშირული ნათლობა, კომუნისტუ-რი წითელი დაკრძალვა, კომუნისტური დატირება და ა. შ. მიცვალებული მუსი-კის თანხლებით, რევოლუციურ-კომუნისტური სიმღერებითა და წითელი დრო-შებით უნდა გაეცილებინათ. მოდურად აქციეს დაკრძალვის დროს მიცვალებუ-ლისადმი რევოლუციური პათოსით გამსჭვალული სიტყვების წარმოთქმა, მა-სობრივი ინფორმაციის საშუალებებით სამოქალაქო პანაშვიდის გამოცხადება და ა. შ. (ასს ცსა ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 145, ფურც. 35)

ჯერ კიდევ აჯანყებამდე რამდენიმე წლით ადრე, 1924 წელს, შედგა საბ-ჭოთა დღესასწაულების პროტოკოლი. იგი სხვა საკითხებთან ერთად აჭარაში პირველი წითელი ქორწილის ჩატარებასაც ისახავდა მიზნად. შედგა შესაბამი-სი გეგმა. ქორწილი 1924 წ. 18 აგვისტოს უნდა ჩატარებულიყო (ასს ცსა ფონ-დი პ-1, ან. 1, საქმე. 145, ფურც. 35). ასეთი გეგმები შედგა სხვადასხვა საბჭოუ-რი დღესასწაულების ჩასატარებლად. იმართებოდა სააგიტაციო-პროპაგანდის-ტული ღონისძიებები „წითელ ბაირამზე“, „წითელ აღდგომაზე“ და სხვა დღე-სასწაულებზე. ცდილობდნენ რელიგიური დღესასწაულების საბჭოურ პოლიტი-კურ სამოსელში ჩატარებას, თუმცა მორწმუნეთა ტრადიციების ცვლილების მცდელობას არ შეიძლება მოჰყოლოდა დადებითი შედეგები. ესა თუ ის რელი-გიური რუტუაღი, წესი თუ ადათი ან ფარულად სრულდებოდა, ან სახეცვლი-ლი ფორმით. ეს ცნობილი იყო პარტოკრატიისათვის. ცალკეულ შემთხვევებში ხელისუფლება გარკვეულ დათმობაზეც მიდიოდა. მაგალითად, ორ ათეულზე მეტ სკოლაში დასაშვებად იქნა მიჩნეული მასწავლებლად ერთი სასულიერო პირის მუშაობა. ამასთან, სოფლებში არც თუ ისე იშვიათი იყო საერო განათ-

ლების საწინააღმდეგო გამოსვლები. საარქივო ფონდებში დაცულია „ხმალის“ ფსევდონიმით სოფლის კორესპონდენტის მიერ 1927 წლით დათარიღებული წერილი, რომელშიც საუბარია ხულოს მაზრის სოფელ დიდაჭარის სკოლაში მასწავლებლად ქალის დანიშვნისა და მუსლიმანებისათვის ხელფასის გადაუხდელობის გამო გამოხატული პროტესტის შესახებ (ასსცსა, ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 733, ფურც. 19-23).

ერთ-ერთ საარქივო ფონდში დაცულია 1929 წლის 16 ნოემბრით დათარიღებული მოხსენებითი ბარათი, რომელიც მოქალაქე რიზალი გოგიტიძეს გაუგზავნია აჭარის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ქავთარაძისადმი (სახელი არაა დაფიქსირებული). წერილში საუბარია ანტისახელისუფლებო და ანტისასკოლო პროკლამაციებზე. დაძაბულობას მოჰყოლია ერთი მასწავლებლის დაჭრა ქობულეთში. დოკუმენტის მიხედვით, სოფელ ღელვაში ორჯერ ჩაუტარებიათ კრება პროვოკატორების გამოსავლენად. ერთ-ერთ კრებას დასწრებია აჭარის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ზექერია ლორთქიფანიძეც. კრების დადგენილებით შექმნილა 24 კაციანი კომისია „პროვოკატორთა“ გამოსავლენად. ერთ-ერთ პროვოკატორი აღმოჩნდა ხოჯა რამიზ ბალაძე. იგი იმუშადა ტყეში იმალებოდა. მას ხლებია ყაჩაღი მურად ხაბაზი. სახელმწიფო ორგანოებთან თავად ხოჯის ძმას ხუსიას დაუსვამს მისი ძმის დაპატიმრების საკითხი, რადგან „ჩვენ ძმებს იგი დაგვღუპავს“. ხოჯა რამიზ ბერიძე დაუჭერიათ. იგი შეეცადა იარაღის გამოყენებას. ორთაბრძოლისას ხოჯა მოუკლავთ (ასსცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 91, ფურც. 34).

საარქივო დოკუმენტებში საუბარია ანტისასკოლო პროკლამაციების გავრცელების სხვა ფაქტების შესახებაც. პროკლამაციის გამავრცელებლებს ცხადია აგუღიანებდნენ როგორც ადგილობრივი ხოჯა-მოღები, ისე თურქი პროპაგანდისტები. 1929 წლის 13 ოქტომბრით დათარიღებული ერთი დოკუმენტის მიხედვით ჩერნალის (სავარაუდოდ ჭარნალის) სკოლის მასწავლებელს ნ. ჭყონიას სკოლის ფანჯრის რაფაზე შეუნიშნავს კონვერტი, რომელიც მიუტანია N5 საგუშაგოს ხელმძღვანელობასთან. კონვერტში მოთავსებული იყო ორი პროკლამაცია: „მასწავლებლო! შენ ჩვენ არ გვჭირდები. წადი, სადაც გინდა. თუ არ წახვალ, მოგკლავთ... ჩვენ ჯამეში ხოჯები უნდა იყვნენ. ჩვენ შვილებს არ გამოვუშვებთ სკოლაში“. მსგავსი შინაარსის იყო მეორე პროკლამაცია (ასსცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 2ა, ფურც.7). იმავე დღეებში დაუწვავთ „გონიოს თემის სოფელ ჩერნალის (სავარაუდოდ ჭარნალის თ. ფ.) შრომითი სკოლა“, სიკვდილის საფრთხის წინაშე მყოფი მასწავლებელი კი წითელარმიელებს წაუყვანიათ N 5 საგუშაგოზე. ხელისუფლებას დაუწვია აქტიური მუშაობა პროკლამაციის ავტორების გამოსავლენად (ასსცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 2ა, ფურც.7).

საბჭოთა ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა არ გაეხმაურებინა მსგავსი ფაქტები, ამ მიზნით შექმნილი კომისიები თითქოსდა არ ადასტურებდნენ მოსახლეობის წინააღმდეგობას და არსებული პრობლემების მიზეზად გზების არარსებობას ასახელებდნენ (ასს, ცსა, ფონდი პ-1, ან. 1. საქ. 232, ფურც. 13, 16), თუმცა თანდათან გამკაცრდა მთავრობის პოლიტიკა. 1926 წ. აიკრძალა საღვთო სჯულის სწავლება, ცოტა მოგვიანებით კი (1929 წ.) სპეციალური სამთავრობო დადგენილებით შემოღებულ იქნა საყოველთაო სავალდე-

ბულო სწავლება, სასულიერო სასწავლო დაწესებულებებს ჩამოერთვა ფუნქციონირების უფლება (ჩხარტიშვილი იზოლდა, 1982:196), თუმცა რელიგიური ადათ-წესები მომავალ თაობას გადაეცემოდა ზეპირად. შესაბამისად, გაჩნდა განსხვავებული ინტერპრეტაციები ამა თუ იმ რელიგიური წეს-ჩვეულების შესახებ.

სახელმწიფო დოქტრინა უპირისპირდებოდა ყველა რელიგიას, რაზეც მეტყველებს სამთავრობო მიტინგზე გამოტანილი რამოდენიმე ღოზუნგის ტექსტის მოშველიება: „რელიგია ხალხის მტერია“, „ძირს ჩადრის მონობის მემკვიდრეობა“, „ძირს ჩადრი, მრავალცოლიანობა, მცირეწლოვანთა ქმრიანობა, ქალების გაყიდვა და ყალიძა“.



ასცსა, ფოტოფონდი, ან. 1, ფოტო 20 ქალები, რომლებმაც პირველებმა მოიხადეს ჩადრი

ჩადრის ახდა და ქალების ემანსიპაციის თემა, ამ საკითხებთან დაკავშირებით „მიღწეული წარმატებები“ თანდათანობით ჩაიკარგა საბჭოთა ხალხისა და „მშობლიური კომუნისტური პარტიის“ დიად გამარჯვებებსა და ქვეყნის აღმშენებლობის იდეოლოგიზირებულ პეროიზმში. 21-ე საუკუნის ახალგაზრდობისათვის უცნობია ქალთა ემანსიპაციასთან დაკავშირებული ისტორიის საკითხები, რაც ხელს უშლის მათი უფლებრივი მდგომარეობის სრულფასოვან გაცნობიერებას, იმის გააზრებას, რომ მათი მომავალი, უფლებრივი მდგომარეობა დამოკიდებულია მათსავე თავისუფალ არჩევანზე, სამოქალაქო და პოლიტიკურ პროცესებში აქტიურ ჩართულობაზე.

The issue of women in the prism of Soviet anti-religious policy

Summary

Soviet religious policy from the very beginning was characterized by heterogeneity, bias, and one-sidedness from the very beginning, with communism and atheism considered as the mainstays of ideology. The Bolsheviks seemed to preach the inviolability of the religious feelings of the believers, but in fact fought with fire and sword against any manifestation of religiosity. The Soviet government encouraged controversy among believers. A clear confirmation of this was the so-called The chador taking campaign, which has been met with serious controversy in the region. Examining the problems related to the wearing of the chador, presenting the issue of women in the context of anti-religious policies is the main task of our research.

The methodological basis of the research is the universal scientific principles of objectivity, comprehensiveness and systematics, historical-comparative and historical-typological methods.

According to the factual materials presented in the article, the analysis of the documents kept in the Adjara Archive Division clearly shows the Soviet policy of neglecting and insulting the religious feelings of the believers, which led to large-scale anti-Soviet protests in mountainous Adjara in 1929

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. აჭარის საბჭოების ყრილობები 1921-1937 წწ. დოკუმენტებისა და მასალების კრებული, ბათ. 1971;
2. ბაღიაური მ., მაკალათია ნ. მიცვალებულის კულტი არხოტის თემში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. III. 1940;
3. ბარამიძე რ., რუმიანცევი რ., ბათუმის მეჩეთები (წარსული და თანამედროვეობა), – ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა, I, ბათუმი, 2009;
4. ბოლქვაძე ნიაზ, აღისულთან ბოლქვაძე // ღირსებისა და თავისუფლებისათვის: ბოლქვაძეთა გვარის ისტორია: კულტურული მემკვიდრეობა /ნიაზ ბოლქვაძე. თბილისი, 2016;
5. გიორგაძე დ. დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში (თუშ-ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით), თბ., 1987;
6. ზოსიძე რ., ისლამი, მორწმუნე, თანამედროვეობა, ბათუმი, 1978;
7. თურმანიძე ო., აჭარის პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორია (1921-1940), რედაქტორი ავთანდილ სონღულაშვილი) „გამომცემლობა აჭარა“, ბათ. 2012;
8. მაკალათია ს. ხევსურეთი. თბ., 1984;

9. მანველიძე ი., პოლიტიკური მდგენელები აჭარაში 1922-1925 წლებში, – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, IV, ბათუმი, 2002;
10. ოზიაური ა. მიცვალებულის კულტი როშკასა და უკენ ხადუს თემებში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. III. 1940;
11. რელიგიური თემები და ორგანიზაციები ბათუმში (დოკუმენტების კრებული), II, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ. 2013, რედაქტორი თ. ფუტკარაძე);
12. სიზანიშვილი ნ. ეთნოგრაფიული ნაწერები. თბ., 1940;
13. ჩხარტიშვილი იზოლდა, ანტირელიგიური ბრძოლა საქართველოში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი, 1982;
14. Барамидзе Р., Мечети Аджарии (проблемы периодизации и классификации), – Лавровский Сборник: материалы XXXVI и XXXVII Среднеазиатско-Кавказских чтений 2012-2013, этнология, история, археология, культурология, СПб, МАЭ РАН, 2013;

საარქივო ფონდები:

1. ასს ცსა (შემდგომში: აჭარის საარქივო სამმართველო, ცენტრალური სახელმწიფო არქივი) ფ. პ-1, ან. 1, ს. 10 ფურც. 1, 4,
2. ასს ცსა ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 77. ფურც.171;
3. ასს ცსა ფ.პ-1, ა.1, ს.119. ფურც. 19;
4. ასს ცსა ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 145, ფურც. 35;
5. ასსცსა, ფონდი პ-1, ან. 1. საქ. 232, ფურც. 13, 16.
6. ასს ცსა, ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 241, ფურც. 3,4,5;
7. ასს ცსა, ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 358, ფურც. 2, 4, 6,7,10, 12, 17, 18;
8. ასსცსა, ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 465, ფურც. 10;
9. ასს ცსა ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 590, ფურც 8;
10. ასსცსა, ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 733, ფურც. 19-23
11. ასს ცსა ფ.პ-1, ა.1, ს.1038. ფურც. 9, 15;
12. ასს ცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 2ა, ფურც.7;
13. ასს ცსა, ფ. რ-2, ან. 17, ს. 7, ფ. 20;
14. ასს ცსა, ფ. რ-2, ს. 21, ან. 1, ფურც. 6;
15. ასს ცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 91, ფურც. 34;
16. სპა, ფ. 14, ან. 1, ს. 301, ფურც. 150;
17. ასს ცსა, ფ 14, ა. 4, ს. 301. ფურც. 153;
18. ასს ცსა, ფ. რ-4, ან. 1, ს. 298, ფურც. 1,6, 14, 17, 40,144
19. ასს ცსა, ფ. რ-4, ან. 1, საქმე 299, ფურც. 1-3, 14
20. ასს ცსა, ფ. რ-4, ან. 1, საქმე 340, ფურც. 31;
21. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიული ფონდი, ანაწერი N5, საქმე N52, ჩამწერი: ლევან კალანდარიშვილი, 1969 წლის 23 ივლისი. მოხრობელი: მახარაძე შაისუფ თეუფის ძე, 36 წლის, ხულოს რ-ნი სოფ.ჩაო;

ფოტოდოკუმენტები:

1. ქალები, რომლებმაც პირველებმა მოიხადეს ჩადრი. ასსცსა, ფოტოფონდი, ან. 1, ფოტო 20, 21.

ინტერნეტმონაცემები:

1. ნეიმანი ა. ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, მე-3 გამოც. თბ., 1978.-
<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=17&t=4519>
2. ოჩიაური ა. მიცვალებულის კულტი როშკასა და უკენ ხადუს თემებში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. III. 1940;
3. როგორ მოიხადეს ქალებმა ჩადრი აჭარაში, ბათუმელები.-[https:// batumelebi.netgazeti. ge/ weekly1/12728/](https://batumelebi.netgazeti.ge/weekly1/12728/)

ნატო ქიქავა
ციცი ცინცაძე
თამაზ ფუტკარაძე

**ხელმარდიანი ოსტატი
მუზეუმ „ბორჯღალოს“ შემოქმედი**

საქართველოში ბევრი მუზეუმი, მხარეთმცოდნეობითი, ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური და ა. შ. მაგრამ არც თუ ისე ბევრია კერძო მუზეუმები. მათგან გამორჩეულია ბათუმის ცენტრიდან რამდენიმე კილომეტრში, ხელვაჩაურისაკენ მიმავალი ცენტრალური გზატკეცილის მარჯვენა მხარეს, შარაშიძის ქ. 14-ში სამი ათას კვადრატული მეტრის ტერიტორიაზე **განფენილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ყოფისა და კულტურის (ეთნოგრაფიული) მუზეუმი**.



ამ მუზეუმის სულისჩამდგმელი, შემქმნელი და დამფუძნებელი ქედის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ღამაზ სოფელში დაბადებული თვითნასწავლი ხელოვანი, ხეზე კვეთის ოსტატი, საქვეყნოდ აღიარებული პიროვნება, შესანიშნავი ადამიანი და საუკეთესო, ერთგული მეგობარი **ქემალ თურმანიძეა**, რომელმაც ბავშვობის მოგონებებთან ერთად მშობლიური ქვეყნისა და მისი ერთ-ერთი კუთხის – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორია ერთ მუზეუმში ჩაატია.



სიმბოლური შინაარსის შემცველი სახელიც მორგებულადაა შერჩეული. მუზეუმის შემოქმედმა მას „ბორჯღალო“ დაარქვა. მუზეუმის სპეციფიკა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ იგი არის ერთი კაცის შექმნილი. იგი არატრადიციული, ინტერაქტიული სამუზეუმო დაწესებულებაა. შემოქმედი წლების განმავლობაში ეძიებდა, შრომობდა, აგროვებდა ყოფისა და კულტურის ამსახველ ექსპონატებს. ხეზე

კვეთილობის სიყვარული ქემალს ბაბუისა და მამისგან გამოეყვა. ბავშვობიდან შეეძლო ქემალს სამასაღე ხის შერჩევა მისთვის საჭირო ნივთის დასამზადებლად.

მუზეუმისათვის ქ. თურმანიძეს არც შენობა ჰქონდა და არც ექსპოზიციისათვის საჭირო ფართი. თავდაპირველად, ძველ ბათუმში, იტალიურ ეზოში ჰქონდა პატარა სახლ-სახელოსნოში გამოფენილი ექსპონატები. ექსპოზიციისათვის სივრცე ძალიან პატარა იყო და ამავე დროს მოუხერხებელიც, თუმცა ვიზიტორების ნაკლებობას იგი არასდროს განიცდიდა. ქემალ თურმანიძემ თავისი პრინციპულობით, თავდაუზოგავი შრომით, შეუპოვრობით იმუშაინდელ პოლიტიკოსთა გაქცევებული გულის მოღბობაც შეძლო და ბოლოს და ბოლოს მუზეუმისათვის გამოუყვს შესაბამისი ფართი, რომელიც სახელმწიფოსაგან სიმბოლურ ფასად – ერთ ლარად შეისყიდა. არც თუ ისე დიდი ხანია, რაც სა-



ხეში გამოკვეთილი „ხორუმი“

მუზეუმო ექსპონატები გადაიტანა ახალ სივრცეში, რომელიც დღეს აჭარის საეზიტო ბარათად იქცა. მის მიერ შექმნილი და მოძიებული ექსპონატები რაოდენობრივად ისე გაიზარდა, რომ შესაძლებელი გახდა მუზეუმის გახსნა.

ქემალ თურმანიძის შვილებმა – ფინანსისტმა გვანცამ და ინგლისური ენის სპეციალისტმა თამთამ შესანიშნავად აითვისეს მამის პროფესია, მიატოვეს სამსახური და დამსახურებულად დაიმკვიდრეს ადგილი ამ შესანიშნავ დაწესებულებაში. გვანცამ თავი დაანება ბანკში მუშაობას და გიდობა დაიწყო, მოგვიანებით

კი ფინანსები და ბუღალტერია ჩაიბარა, თამთა რეკლამირებას უწევს მუზეუმს და თანამშრომლობს უცხოურ ტურისტულ სააგენტოებთან.

სამუზეუმო ექსპონატების მოძიება ქემალ თურმანიძის მრავალწლიანი შრომის შედეგია. ამ საქმეს მან შეაღია თავისი ცხოვრების ოთხი ათეული წელი. 1980-იანი წლების დასაწყისიდანვე გაუჩნდა მუზეუმის გახსნის იდეა, თუმცა საბჭოთა პერიოდში ამის განხორციელება შეუძლებელი იყო. ხეზე კვეთის საუკეთესო ოსტატი ქ. თურმანიძე მოთმინებით,



რუღუნებით ქმნიდა, ეძიებდა და თავს უყრიდა უნიკალურ მასალებს. თავდაპირველად ხის ნაკეთობების შეგროვება დაიწყო, შემდეგ სპილენძის ნაკეთობათა შეგროვებასაც მიჰყო ხელი. შესაბამისად დაუგროვდა საკმარის რაოდენობის ეთნოგრაფიული ნივთი. გამოჩნდნენ მათი დათვალიერების მსურველნიც, რამაც ქ. თურმანიძეს პატარა სივრცეში მათი გამოფენის სურვილი აღუძრა.

დღეისათვის მუზეუმში ოთხი ათასზე მეტი ექსპონატია, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ან მის მიერაა შესყიდული, ან საკუთარი ხელით დამზადებული.



საექსპოზიციო დარბაზებში ტრადიციულ-ყოფიტი კულტურის ამსახველი ექსპონატები ნუმისმატიკურ მასალებთან და არქეოლოგიურ არტეფაქტებთან ერთად დინამიკაშია წარმოდგენილი. მუზეუმის ინფრასტრუქტურა მნახველს აძლევს აჭარის მოსახლეობის ტრადიციული კულტურის შესახებ ობიექტური შეხედულების ჩამოყალიბების შესაძლებლობას.



მუზეუმში ვიზიტორს შეუძლია ნახოს სამეურნეო ყოფის – მემინდვრობის, ზოგადად მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, ხალხური რეწვის სხვადასხვა დარგები, მატერიალური კულტურის, ოჯახისა და საოჯახო ურთიერთობის ამსახველი ექსპონატები.



დარგობრივ კუთხეებს თან ერთვის შესაბამისი მუსიკალური გაფორმება. ვიზიტორთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს რეგიონისათვის დამახასიათებელი მატერიალური კულტურის ამსახველი მონაცემები, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, ასევე რელიგიური დაწესებულებების მაკეტები, ე.წ. ტოლერანტობის სახლი, სახალხო მეურნეობა, ყოფითი ცხოვრება და ა. შ.



ფოლკლორული მუსიკის თანხლებით წარმოდგენილია ადამიანების საქმიანობის სხვადასხვა სფერო შესაბამისად გამოწყობილი მანეკენებით, სამუშაო გარემოთი და იარაღ-ინვენტარით. 1900-ნი წლების ცხოვრება მუზეუმში 62 მანეკენითაა წარმოდგენილი.